საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№26 (261)
16 - 22 ივლისი, 2014
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## უკრაინული კოშმარი და ქართული რეალობა
6

## თვითმკვლელობა თუ ლიკვიდაცია?
## კინწმარიშვილის დაღუპვის ვერსიები



„რა თვითმკვლელობა, რის თვითმკვლელობა, გეგმებს აწყობდა კაცი. ასე მითხრა, პატივცემულო, ვბრუნდები „დიდ ავიაციაში“, ტელევიზიის გაკეთებას ვაპირებო“

## «ეროსიმ რაღაც იცოდა და მოიშორეს...»
2

## პროკურატურაში სანდრა რულოვსსაც დაიბარებენ?
10



«ჩემი ინფორმაციით, გიგა ბოკერიას დაიჭერენ. აქ აურზაური არა მხოლოდ დასავლელი პარტნიორების მხრიდან ატყდება, არამედ კოალიციის მხრიდანაც — ბოკერიას კოალიციაშიც ბევრი მოკავშირე ჰყავს»



## ყოფილმა მთავარმა პროკურორმა ყოფილ აგენტს შეუნდო
14

## «მოსახლეობას გარეკავენ, მიწა დარჩებათ უცხოელებს»
8

## «მეგობრების» სიცილ-ხარხარი შევარდნაძის დაკრძალვაზე



ამ ფოტომ, რომელიც სააგენტო „როიტერმა“ გაავრცელა, მსოფლიო შემოიარა: აი, ასე ხარხარებდნენ აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა ექსმინისტრი ჰანს დიტრიხ გენშერი (რომლებსაც ედუარ შევარდნაძე მეგობრებად თვლიდა) და მისი მეუღლე ბარბარა ედუარდ შევარდნაძის დაკრძალვის ცერემონიაზე.

ისინი, ალბათ, არ იცინიან გარდაცვლილზე, არც ანეკდოტს ყვებიან და არც პოროშენკოს უკრაინის მომავალზე მსჯელობენ, თუმცა სულერთია, რაზე იცინიან. **მთავარია, რომ იცინიან საქართველოში დაკრძალვის ცერემონიაზე ყოფნისას, ამასთანავე, აცნობიერებენ, რომ ყურადღების ცენტრში არიან, როგორც საქართველოს ექსპრეზიდენტთან გამოთხოვების ცერემონიის მთავარი პერსონები.** შევარდნაძის შვილიშვილი კი დამწუხრებულია.

საინტერესოა, **თუ მოეწონებოდათ გერმანელებს ან ამერიკელებს, მათ ქვეყანაში ყოფილი პირველი პირის დაკრძალვის ცერემონიაზე ქართველი ანალოგიურად რომ მოქცეულიყო?!** ქართველებისთვის და, საზოგადოდ, კავკასიელებისთვის მიცვალებული ხომ წმინდათაწმინდაა და დაკრძალვისას ატეხილი სიცილ-ხარხარი — უდიდესი შეურაცხყოფა!

თუმცა რა — **სწორედ ასეთია დასავლეთის დამოკიდებულება საქართველოსა და ქართველების მიმართ. ისინი ხომ ჩვენ თანატოლ, სრულფასოვან ადამიანებად არ გვთვლიან და მხოლოდ თავიანთი მერკანტილური ზრახვების განსახორციელებლად ვჭირდებით!..**

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რაც შეეხება იმას, რომ ენაზე კბილის დაჭერა არ შეუძლია, სიმართლეს ამბობს პრეზიდენტყოფილი, რომელიც არაერთხელ დაამტკიცა, როცა თავისი ამერიკელი ბოსები „ჩაუშვა“, განსაკუთრებით — აგვისტოს ომის შემდეგ. თუმცა მას ენაზე კბილის დაჭერა არც ადრე შეეძლო, როცა ინტელიგენციას „ჩარეცხილები“ უწოდა, და არც ახლა, როცა უმჯობესი იქნებოდა (მისთვის), საერთოდ გაჩუმდეს და ისედაც გაღიზიანებული ხალხი კიდევ უფრო არ გააღიზიანოს.**

# თვითმკვლელობა თუ ლიკვიდაცია?

**„რუსთავი 2“-ის დამფუძნებელი და „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი შემოქმედი ეროსი კიწმარიშვილი 15 ივლისს გარდაცვლილი იპოვეს. კიწმარიშვილის ცხედარი სამართალდამცველებმა მის საცხოვრებელ სახლთან, ავტოფარეხში, საკუთარ ავტომანქანაში ნახეს. იქვე აღმოჩენილია ცეცხლსასროლი იარაღი. ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების ფაქტზე პროკურატურამ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რომელიც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.**

ოფიციალური ვერსიის არ სჯერათ ეროსი კიწმარიშვილის მეგობრებს, ახლობლებსა და ზოგიერთ ჟურნალისტს. ისინი თვითმკვლელობას გამორიცხავენ და აცხადებენ, რომ ეროსი არ იყო ისეთი პიროვნება, რომელიც თავს მოიკლავდა. ჩვენ კიწმარიშვილის პრესამსახურის ყოფილ უფროს ლია კამლაძეს ვესაუბრეთ. ისეთი სიცოცხლის მოყვარული ადამიანი, როგორიც ეროსი იყო, თავს არასდროს მოიკლავდაო, გვითხრა. მართლაც და, რატომ უნდა მოეკლა თავი? კიწმარიშვილის მეგობარი ბადრი ნანიტაშვილიც გამორიცხავს თვითმკვლელობას, ჯერ კიდევ გუშინ სამომავლო გეგმებზე ვსაუბრობდით, საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციისა და ტელეკომპანიის შექმნას აპირებდაო. ნანიტაშვილმა აღნიშნა, რომ ახლახან ესაუბრა ტელეფონით ეროსის და საეჭვო არაფერი შეუნიშნავს. თვითმკვლელობის ვერსიას გამორიცხავს ეროსი კიწმარიშვილის თანაშემწე თიკო ბეჟაშვილიც.

მოკლედ, ჩნდება კითხვები — **ვინ და რატომ მოკლა ეროსი კიწმარიშვილი? საიდან მოიტანა გამოძიებამ, რომ კიწმარიშვილმა თავი მოიკლა?**

„ჩვენი საქართველოს“ ლიდერი ვალერი გელბახიანი, რომლის პარტიის სახელითაც კიწმარიშვილი რუსთავში კენჭს იყრიდა, აცხადებს, რომ სამართალდამცველებმა ნაჩქარევი განცხადებები გააკეთეს.

**„ტაბულას“ მთავარი რედაქტორის — თამარ ჩერგოლეიშვილის თქმით, ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობა-თვითმკვლელობა საეჭვოდ ემთხვევა დროში კალაძის განცხადებას იმის შესახებ, რომ არჩევნების შემდეგ „რუსთავი 2“ კანონიერ მფლობელს დაუბრუნდება.** თავდაპირველად „რუსთავი 2“ ეროსი კიწმარიშვილმა გაყიდა. ის ამ საქმის მთავარი მოწმეა. ნებისმიერი შეტევა „რუსთავი 2“-ზე კიწმარიშვილის თვითმკვლელობის ვერსიას საფუძველს გამოაცლის და დამარწმუნებს, რომ დაკვეთილ მკვლელობასთან გვაქვს საქმე.

**მოკლედ, უამრავი ვერსია ვრცელდება — მკვლელობა უკავშირდება ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს, ტელეკომპანია „მაესტროს“, ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებს — მერობის სამი კანდიდატი რაღაცაზე შეთანხმდა და კიწმარიშვილი იქ მოხვდა, სადაც არ უნდა მომხვდარიყო.** რამდენიმე დღის წინათ



## ეროსი კიწმარიშვილის დალუპვის ვერსიები

ისიც კი ითქვა, გიგა ბოკერია ვინმე ცნობილ ფიგურას თავის ზონდერებს მოაკვლევინებს, რათა „ოცნებას“ დაარტყასო. თუმცა ეს მხოლოდ ვერსიებია, ჭეშმარიტება გამოძიებამ უნდა დაადგინოს, თანაც რაც შეიძლება მალე.

**„საქართველო და მსოფლიოს“ ბრიუსელში მოღვაწე ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე ესაუბრება:**

— 13 ივლისს, კვირა საღამოს, ეროსიმ დამირეკა და ორ თემაზე ვისაუბრეთ. გამიკვირდა მისი ზარი, რადგან მასთან დიდი ხანია, არ მილაპარაკია, არ გვქონია ხშირი კონტაქტი. მე და ეროსი სამედიცინო ინსტიტუტიდან ვმეგობრობდით, მას კარგად ვიცნობდი. მოკლედ, მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი და საქმეზე გადავედით. იმაზეც ვისაუბრეთ, კოალიცია რომ გააკეთა და ვითომ „ნაცებს“ დაუჭირა მხარი, ვუთხარი, ეგ როგორ გააკეთემეთქი. პატიოსანი კაცია და იმიტომო, მითხრა. ჩვენი საუბრის ძირითადი თემა იყო შემდეგი — საკაბელო ტელევიზიის გაკეთებას ვაპირებო, ზუსტად ასე მითხრა, სიტყვა სიტყვით. დიახ, პატივცემულო, ვბრუნდები დიდ ავიაციაში, საკაბელო ტელევიზიის გაკეთებას ვაპირებ და შენზე მაქვს სწორება და კიდევ რამდენიმე ადამიანზეო. ვუთხარი, თუ იმ ბავშვებს დაასაქმებ, რომლებიც „მეცხრე არხიდან“ წამოსულები არიან და უმუშევრები დარჩნენ, გვერდით დაგიდგები, საინფორმაციოსაც აგაწყობინებ და მერე ბრიუსელიდანაც ვითანამშრომლებ-მეთქი. ალბათ, 10 წუთი ვილაპარაკეთ. **და რა თვითმკვლელობა, რის თვითმკვლელობა, გეგმებს აწყობდა კაცი. დიდი გეგმები ჰქონდა. ის არ მიკითხავს, ფული საიდან-მეთქი, რადგან ეს იყო კაცი, რომელსაც შეეძლო არაფრისგან გაეკეთებინა საქმე. ის ყოველთვის შოულობდა ფულს.**

**— ვისთან ერთად და როდიდან აპირებდა ტელევიზიის გაკეთებას?**

— ეგ არ უთქვამს, მითხრა, რაღაც მონახაზი არისო. სექტემბრის დასაწყისიდან უკვე დავიწყებ ამაზე მუშაობასო. მითხრა, მქონდა ამაზე ლაპარაკი ვილაცებთანო. პირველი, ვისაც მათ შემდეგ ვურეკავ, შენ ხარო. აი, ეს იყო.

**— რას ფიქრობთ, გჯერათ ოფიციალური ვერსიის თუ ეროსი მოკლეს? ვის უნდა მოეკლა და რატომ, ათასი ვერსია ვრცელდება...**

— ეროსი არ იყო ის ფიგურა, მტრები არ ჰყოლოდა. ადამიანს, რომელიც ძალიან აქტიურობდა პოლიტიკასა და ბიზნესში, ყოველთვის ჰყავს მტრები. მაგრამ ლაპარაკი იმაზე, რომ ეროსიმ ვილაც გაამწარა ისე, რომ მას მოსაკლავად დასდევდნენ, ტყუილია. ვერსია ათასნაირია, ახლა ყველაფერს შეიძლება გამოაბან კუდი, რადგან მას თავისი წვლილი ყველაფერში ჰქონდა შეტანილი. **იმავე „მაესტროში“, „რუსთავი 2“-ში. რაზე ვილაპარაკეთ კიდევ, იცი? ვუთხარი, რომ შენი დამსახურებაა, დღეს რაც ტელევიზიები მუშაობენ, რადგან ყველამ „რუსთავის 2“-ის სტილი გადმოიღო, მაგრამ დაძველდა ეს სტილი-მეთქი. და აი, ზუსტად ახალის გაკეთებას ვაპირებ და ამიტომ გირეკავო.**

რაც შეეხება გარდაცვალების ოფიციალურ ვერსიას, მეც ძალიან გამიკვირდა, თავი მოიკლა და იარაღი გვერდზე დაიდო, წარმოუდგენელია! ერთი ვიცი: ყველაფერთან შეიძლება ეს დააკავშირო, მაგრამ არა ოქრუაშვილთან. ფაქტია, რომ **ეროსიმ რაღაც იცოდა და მოიშორეს, მაგრამ ვინ მოიშორა, ვერ ვიტყვი, არ ვიცი. მეც შეიძლება მქონდეს ჩემი ვერსიები, მაგრამ ასე „უპრაგონოდ“ ამ ვერსიების ლაპარაკი რთულია, ამ ეტაპზე სჯობს თავი შევიკავოთ.**

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

**ენას, განსაკუთრებით მიხეილ სააკაშვილის ენას, რომ ძვალი არ აქვს, ადასტურებს ინტერვიუ, რომელიც საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა აზერბაიჯანულ გამოცემა Haqqin.az-ს მისცა.**

# «უუნაგირო ცხენს» ენაზე კბილის დაჭერა არ შეუძლია

„ამერიკის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ძალიან შეასუსტა პოზიციები, განსაკუთრებით — პოსტსაბჭოთა რეგიონში. ცივი ომის დასრულების შემდეგ მათ აქ არაფერი დარჩათ – არც სერიოზული ანალიტიკა, არც სადაზვერვო ქსელი. ამერიკულ დაზვერვას საერთოდ დაავიწყდა ჩვენი რეგიონი. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მათ პრიორიტეტები შეეცვალათ. საუკეთესო ძალები ისლამურ სახელმწიფოებში ტერორიზმთან ბრძოლისთვის გადაისროლეს. შედეგად, უკრაინაში განვითარებული მოვლენები ამერიკული დაზვერვისთვის სრული მოულოდნელობა იყო. ამიტომ საუბარი იმაზე, რომ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აქტიურად მუშაობს ჩვენს რეგიონში და რაღაც სცენარებს ამზადებს, სრული აბსურდია. რომც მოინდომონ, ამერიკული სპეცსამსახურების ახლანდელი მდგომარეობისა და პრიორიტეტების პირობებში, ამის გაკეთებას ვერ შეძლებენ, ამიტომ კრემლში ან უნდათ, რომ ეს დაიჯერონ, ან, უბრალოდ, ამ გზით ამართლებენ თავიანთ ქმედებებს, რომლებიც მიმართულია რუსული გავლენის ზონის გაფართოებისკენ“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

**ჟურნალისტი, აგრეთვე, დაინტერესდა იმ ბრალდებებით, რომლებიც ისმის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან თანამშრომლობის თაობაზე.**

„მე არ ვარ ის ადამიანი, რომლის კონტროლიც შესაძლებელია. ცხოვრებაში არასდროს მყოლია უფროსი. ვიყავი დამოუკიდებელი იურისტი ამერიკაში, შემდეგ — დეპუტატი. დიახ, რაღაც დროის განმავლობაში გახლდით მინისტრი, მაგრამ ძალიან დამოუკიდებელი. შემდეგ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ვიყავი. საბოლოოდ, ქართულ ოპოზიციას ჩავუდექი სათავეში და საქართველოს პრეზი-



დენტად ამირჩიეს. ამიტომ ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება ჩემი გამოძახება და რაიმე დავალებების მოცემა. არ ვიცი, ეს როგორი სანახავი იქნებოდა. **მე, როგორც იტყვიან, უუნაგირო ცხენი ვარ. ბუნებით ისეთი ადამიანი ვარ, რომ არც ერთი სპეცსამსახური არ მომენდობოდა. ენაზე კბილის დაჭერა არ შემიძლია.** საიდუმლოს ვერ ვინახავ და არც მიყვარს საიდუმლოებები“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

**რა შეიძლება ითქვას სააკაშვილის განცხადებებზე?**

1. თვითონ დასავლური მე**დია და ცნობილი პოლიტიკოსები ამტკიცებენ (ფაქტებიც ამაზე მეტყველებს: გავიხსენოთ თუნდაც აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის — ვიქტორია ნულანდისა და უკრაინაში აშშ-ის ელჩის — ჯეფ პაიეტის სატელეფონო საუბარი, რომელიც ინტერნეტში გამოქვეყნდა), რომ უკრაინაში კრიზისი — მაიდნის აქციები და უკრაინელი ნაციონალისტების მიერ საშინელი სისასტიკით ჩადენილი დანაშაულები, სწორედ აშშ-ის მიერ არის დაფინანსებული და ორგანიზებული.**

**ისე, აშშ-ის ადმინისტრაციას სააკაშვილის დაცვა რომ დასჭირდება, მართლა ცუდად არის მისი საქმე და მართლა “უძლურია”, როგორც ამას ამერიკელი ჟურნალისტი ტომ ენგელგარდტი წერს.**

**2. დამტკიცება იმისა, რომ კა-გე-ბეს ჯარში ნამსახურები სააკაშვილი აშშ-ის სპეცსამსახურების აგენტია, ძნელია, მაგრამ ის, რომ სწორედ ამერიკამ ამოსდო ლაგამი და დაგვასვა თავზე სააკაშვილი, რომელმაც ცხრა წლის განმავლობაში სისხლსა და ცოცხებში აბანავა საქართველოს მოსახლეობა, და ახლაც ამისთვის რომ ამზადებენ, ფაქტია.**

3. უუნაგირობაში კი, ნაპრეზიდენტალი, ალბათ, ტელეკამერების წინ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ბერნარდ კუშნერის თანდასწრებით მიწაზე ხოხვას გულისხმობს ან ჰალსტუხის ღეჭვას.

4. რაც შეეხება იმას, რომ ენაზე კბილის დაჭერა არ შეუძლია, სიმართლეს ამბობს პრეზიდენტყოფილი, რომელიც არაერთხელ დაამტკიცა, როცა თავისი ამერიკელი ბოსები „ჩაუშვა“, განსაკუთრებით — აგვისტოს ომის შემდეგ. თუმცა მას ენაზე კბილის დაჭერა არც ადრე შეეძლო, როცა ინტელიგენციას „ჩარეცხილები“ უწოდა, და არც ახლა, როცა უმჯობესი იქნებოდა (მისთვის), საერთოდ გაჩუმდეს და ისედაც გაღიზიანებული ხალხი კიდევ უფრო არ გააღიზიანოს.

**ნიკა მაისურაძე**

## „ქვეყნის პოლიტიკური სისტემა პარალიზებულია: კონგრესსა და პრეზიდენტს ელემენტარულ საკითხებზეც კი არ შეუძლიათ შეთანხმება, მაგალითად, გზების გარემონტებაზე. „ეს არის უძლური ამერიკა მოჩვენებითი ზესახელმწიფოს შიგნით“

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„აშშ დიდძალ თანხას ხარჯავს უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, ქმნის ასეულობით სამხედრო ბაზას და ფორპოსტს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ ამერიკული არმია უძლურია მსოფლიოში მიმდინარე არეულობებთან ბრძოლაში, ვაშინგტონი კი, სამხედრო და ეკონომიკური ძლიერების მიუხედავად, უამრავ სიძნელეს აწყდება, როცა ცდილობს, თავისი ნება მოახვიოს თავს სხვა ქვეყნებს“**

# ტომ ენგელგარდტი: აშშ უძლურ ზესახელმწიფოდ გადაიქცა



**„სიმდიდრისა და ძლევამოსილების მიუხედავად, აშშ ბოლო წლებში სულ უფრო უუნარო ხდება, მიაღწიოს წარმატებას საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში“, — წერს ამერიკელი პუბლიცისტი ტომ ენგელგარდტი The Nation-ში გამოქვეყნებულ წერილში.**

ენგელგარდტის აზრით, თანამედროვე ამერიკაში ჩამოყალიბდა ორი ცენტრი — ესენი არის არა პრეზიდენტი და კონგრესი, არამედ ნაციონალური უსაფრთხოების სისტემა და კორპორაციები. და რაც უფრო ძლიერდება ეს ორი სექტორი, მით უფრო ნაკლებად ინარჩუნებს აშშ ძალაუფლებას, მისი ტრადიციული გაგებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ქვეყნის პოლიტიკური სისტემა პარალიზებულია: კონგრესსა და პრეზიდენტს ელემენტარულ საკითხებზეც კი არ შეუძლია შეთანხმება, მაგალითად, გზების გარემონტებაზე. **„ეს არის უძლური ამერიკა მოჩვენებითი ზესახელმწიფოს შიგნით“,** — აი, ასე ახასიათებს ვითარებას ენგელგარდტი.

**აშშ დიდძალ თანხას ხარჯავს უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, ქმნის ასეულობით სამხედრო ბაზას და ფორპოსტს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ ამერიკული არმია უძლურია მსოფლიოში მიმდინარე არეულობებთან ბრძოლაში, ვაშინგტონი კი, სამხედრო და ეკონომიკური ძლიერების მიუხედავად, უამრავ სიძნელეს აწყდება, როცა ცდილობს, თავისი ნება მოახვიოს თავს სხვა ქვეყნებს. „აშშ ვერ ახერხებს „თავისი ძლიერების ტრანსფორმირებას წარმატებაში“**, — წერს სტატიის ავტორი.

ამ მოსაზრებას ეთანხმება The Hufsington Post-ის ჟურნალსტი ამიტავ აჰარია — ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში, რომელიც ამბობს, რომ, აშშ-ს ადრინდელივით აღარ შესწევს უნარი, შემოიღოს წესები და პირველობა შეინარჩუნოს საერთაშორისო ინსტიტუტებში.

**ამიტავ აჰარია თვლის, რომ ერთპოლუსიანმა მსოფლიომ არსებობა შეწყვიტა.**

იწყება არა მრავალპოლუსიანი, არამედ „მულტიპლექსური მსოფლიოს“ ეპოქა, რომელშიც გაერთიანებული იქნება არა მხოლოდ სახელმწიფოები, არამედ საერთაშორისო ინსტიტუტები, ორგანიზაციები და კორპორაციები და მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით და არა — ცალ-ცალკე, შეძლებს ეს „მულტიპლექსური მსოფლიო“ მსოფლიოს პრობლემების მოგვარებას.

THE Nation.



# ევროპა უარს ამბობს უკრაინული პროდუქციის შესყიდვაზე?

**უკრაინის მიერ ევროკავშირთან ასოცირების ეკონომიკურ ნაწილზე ხელმოწერამ პირველი ნაყოფი გამოიღო. ევროპის ქვეყნებმა უარი განაცხადეს უკრაინული პროდუქტების შესყიდვაზე უკრაინისთვის შეთავაზებული კვოტების მიხედვით.**

უკრაინული საინფორმაციო კომპანია „პროარგოს“ მონაცემებით, უკრაინისთვის შეთავაზებული პრეფერენციები არარეალიზებული დარჩა, რადგან ევროკავშირისთვის საექსპორტო პროდუქციის ყველა კვოტის არჩევა ვერ მოხერხდა.

უფრო ადრე ბრიუსელი და კიევი შეთანხმდნენ ევროკავშირისთვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაბალი საბაჟო გადასახადით მიწოდებაზე, რომელიც 2014 წლის ნოემბრამდე იმოქმედებს. მაგრამ ევროპას უკრაინაში დამზადებული პროდუქტებიდან მხოლოდ წვენები მოეწონა და მასზე ყველა კვოტა შეივსო. 50%-ით შესრულდა ნატურალური თაფლის მიწოდების კვოტა, 12,7%-ით — ხორბლის, 14%-ით — ბურღულისა და მარცვლეულის და ა.შ. გარდა ამისა, ევროპელი მყიდველი ზოგიერთი პოზიციით საერთოდ არ დაინტერესდა, კერძოდ, ლაპარაკია, სპირტზე, სპრედებზე, თამბაქოს ნაწარმზე, ნიორზე, სიმინდზე.

ექსპერტები ევროპის დაუინტერესებლობის ერთ-ერთ მიზეზად უკრაინის პროდუქტების ხარისხსა და ფასს შორის შეუსაბამობას ასახელებენ.



# დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრად ფილიპ ჰამონდი დაინიშნა

**დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა დევიდ ქემერონმა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ოფიციალურად დაამტკიცა ფილიპ ჰამონდი. ამ ინფორმაციას სააგენტო „როიტერი“ ავრცელებს.**

ფილიპ ჰამონდი დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრის პოსტს 2011 წლიდან დღემდე იკავებდა.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ფილიპ ჰამონდმა უილიამ ჰეიგი შეცვალა, რომელმაც თანამდებობა 15 ივლისს დატოვა.

უილიამ ჰეიგის გადადგომა დიდი ბრიტანეთის მთავრობაში განსახორციელებელი ცვლილებების ნაწილია. ჰეიგის გარდა, თანამდებობა დიდი ბრიტანეთის კიდევ რამდენიმე მინისტრმა დატოვა.





# გერმანიის სამინისტროებში ამერიკელი ჯაშუშები მუშაობენ

**გერმანული გამოცემა „ბილდის“ ცნობით, აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გერმანიის სამინისტროებით (მათ შორის, თავდაცვისა და ეკონომიკის) 12 მეტი თანამშრომელი გადაიბირა.**

სამინისტროებს შორის, რომლებიც ამერიკულმა სპეცსამსახურებმა სამიზნეში ამოიღეს, არის შინაგან საქმეთა და განვითარების საკითხების (ამ სამინისტროს საფარქვეშ მუშაობდა გერმანიის საგარეო დაზვერვის სამსახური BND) სამინისტროებიც.

გერმანიის კანცლერმა ანგელმა მერკელმა ტელეარხ ZDF-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ გერმანიასა და აშშ-ს აქვთ „ფუნდამენტურად განსხვავებული“ თვალსაზრისი სპეცსამსახურების მუშაობაზე. მისი აზრით, პარტნიორები ერთმანეთის მიმართ ჯაშუშობას არ უნდა ეწეოდნენ, თუმცა აღიარა, რომ ეეჭვება, ამაში ამერიკელები დაარწმუნოს.



## რომის პაპი:

# კათოლიკე მღვდელმსახურთა 2 პროცენტი პედოფილია!

**იტალიურ გაზეთ La Republica-სთვის მიცემულ ინტერვიუში რომის პაპმა ფრანცისკმა განაცხადა, რომ, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, კათოლიკე მღვდელმსახურთა 2 პროცენტი არის პედოფილი.**

რომის პაპმა ბავშვებზე სექსუალური ძალადობა შეადარა კეთრს, რომელიც კათოლიკურ ეკლესიას მოედო და პირობა დადო, რომ ამ დანაშაულს შეებრძოლება.

რომის ეკლესიის მეთაურმა ინტერვიუში განაცხადა, რომ მღვდელმსახურთა შორის პედოფილთა 2 პროცენტის არსებობაზე ინფორმაცია მრჩევლებმა მიაწოდეს. ეს ნიშნავს, რომ ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობა ჩაიდინა კათოლიკური ეკლესიის 8 ათასმა სასულიერო პირმა (414 ათასიდან).

**„პედოფილთა 2 პროცენტში შედიან — მღვდლები, ეპისკოპოსები, კარდინალები. მაგრამ გაცილებით მეტია იმ სასულიერო პირთა რაოდენობა, რომლებმაც ამის შესახებ იციან, მაგრამ დუმან“,** — განაცხადა რომის პაპმა.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2012-ის ოქტომბერში ენაჩაგდებული ნაცისტები ნელ-ნელა რომ მოფერიანდნენ და შეტევაზე გადმოვიდნენ, სამართალმა რომ დააგვიანა, განა ეს იყო თქვენი დაპირება? სინდისზე ლაპარაკი „იგულავა" მერთან და მის ამფსონებთან განა რაიმეს მომტანია?**

# სინდისის დეფინიცია და ბრინკას «ცივილიზებული» სიამაყე

**„არ ვყიდულობ მანდარინს. არ მიყიდია ქართული ყურძენი. არ ვჭამ ქართულს არაფერს. არ ვსვამ (სტილი დაცულია) ქართულ ღვინოს, წვენებს, ბორჯომს... ადგილობრივი წარმოების მხოლოდ პურს ვყიდულობთ (სამწუხაროდ უფრო ხშირად)...**

ჰაერს ვსუნთქავ ქოცებთან თანაზიარად (სტილი დაცულია-მეთქი!) და ესეც მწყენს. ქართულ-საბჭოურ-მართლმადიდებლური ყველაფერი გულს მირევს. ველოდები თქვენს გადაშენებას და ახალი ერის, თანამედროვე, განვითარებული, ღირსეული ერის დაბადებას!"

ამის დამწერს სოციალურ ქსელში ზედმეტსახელად „ბელზებელი" აქვს მითითებული, რაც, ნაწერის შინაარსიდან გამომდინარე, სულაც არ გამოიყურება უცნაურად; **ქართული ჰაერიც კი წყენს, ხილსა და წყალზე რომ არაფერი ვთქვათ. ის ჩვენს გადაშენებას ელის და „ქართულ-საბჭოურ-მართლმადიდებლური ყველაფერი გულს ურევს".** ახალგაზრდა ქალი ავადაა, მაგრამ პატრონი არ ჰყავს, სამეგობროდ კი ბაჩო ახალაიას თანამეცხედრე შეურჩევია, რომელიც მის დაავადებას ვერაფრით უშველის – უფრო თუ დაუმძიმებს!

ეს დაავადება ერთეული შემთხვევებით არ შემოიფარგლება. **ჯალათების საახლობლო ახლა ცრემლს ღვრის „უმანკო" გიგის დაპატიმრებაზე და ვირტუალურ წერილებს სწერს მას.** ამ წერილებს პასუხებიც მოჰყვება, ოღონდ გიგისგან კი არა, მათგან, ვინც ბოლო ათი წელი ნაცისტებთან ბრძოლას შესწირეს. იმას უხსენებენ, თუ როგორ ნებივრობდა „იგულავა" მერი საკუთარ „ბომონდთან" ერთად, როცა მაღაზიის სახურავზე გაკოჭილი გვამები იყო შემოწყობილი, ოქროყანის ტყეში სანდრო გირგვლიანი კვდებოდა, ხოლო ასობით ადამიანს აწამებდნენ და აუპატიურებდნენ!

**გიორგი უძილაური:** „დღევანდელმა მმართველმა კოალიციამ... ან, შენები როგორც ამბობენ, „შენმა პოლიტიკურად დამტერორებელმა" კოალიციამ ადგილობრივ არჩევნებზე ამომრჩეველთა დაბალი აქტივობა იმიტომ მიიღო, რომ არ აჰყვა მათ მოთხოვნებს და 2012-შივე არ გაგიშვათ „ნაციონალი ბელადები" ციხეში, როგორც ანტიჰუმანური ჯალათური რეჟიმის კრეატორები. რომ საერთოდ არ აკრძალა „ნაციონალური მოძრაობა", როგორც ჯალათების პარტია. სინდისის დეფინიცია რომ ესმოდეს შენს პარტიას, დღეს კოალიციას მადლიერების სანთლებს უნდა უნთებდეთ, განაწამებული ხალხის რისხვას რომ გადაგარჩინათ და ცივილიზებულად მოგიყვანათ დღემდე.

დღეს სწორედ დემოკრატია და კანონი გიცავთ შენც, მერაბიშვილსაც და ახალაიასაც თქვენი რეჟიმის მსხვერპლთა ანგარიშსწორებისგან...

9 წელზე საუბარი არ მომწყინდება, პირიქით, საზოგადოებამ ბოლომდე უნდა დაინახოს თქვენეული მმართველობის სახე, რომ არასდროს გაუჩნდეს ცდუნება, სხვა პოლიტიკური ძალა მიუშვან იმავე ზღვრამდე".

რატომ, გიორგი, რატომ?

რატომ იცავთ მაგათ დემოკრატია და კანონი?

განა ისინი კანონისა და დემოკრატიის სახელით არ კლავდნენ, აწამებდნენ, ბიუჯეტს ფლანგავდნენ და ურცხვად ილხენდნენ ჟამიანობისას?

რატომ არის ეს საამაყო?

„ხალხს არ აჰყვნენ", დაგიცვეს „რეჟიმის მსხვერპლთა ანგარიშსწორებისგან", „2012-შივე არ გაგიშვეს ნაციონალი ბელადები ციხეში", „საერთოდ არ აკრძალეს „ნაციონალური მოძრაობა", როგორც ჯალათების პარტია", განა ამას ჰპირდებოდნენ ამომრჩეველს?

**2012-ის ოქტომბერში ენაჩაგდებული ნაცისტები ნელ-ნელა რომ მოფერიანდნენ და შეტევაზე გადმოვიდნენ, სამართალმა რომ დააგვიანა, განა ეს იყო თქვენი დაპირება? სინდისზე ლაპარაკი „იგულავა" მერთან და მის ამფსონებთან განა რაიმეს მომტანია?**

ესეც დაავადებაა, ოღონდ სხვა სიმპტომებით მიმდინარე; საბერძნეთში ერთი მოზარდის მოკვლისთვის მთელი ქალაქი დაარბია მოსახლეობამ, ჩვენთან ასზე მეტი ახალგაზრდაა ლიკვიდირებული პოლიციის მიერ და ამ დანაშაულებში მონაწილე ზოგიერთი პირი არამცთუ დასჯილი, არამედ დაწინაურებულია!

**2002 წელს შვეიცარიაში, ორი თვითმფრინავის შეჯახების გამო, 71 მგზავრი დაიღუპა, მათგან 45 ბავშვი იყო. ვიტალი კალოევმა იმ კატასტროფაში ცოლი და ქალ-ვაჟი დაკარგა. როდესაც სამართლიანი სასამართლოს იმედი გადაეწურა, კალოევი შვეიცარიაში ჩავიდა და საკუთარი ხელით მოკლა დისპეტჩერი, რომლის დაუდევრობასაც მისი ოჯახი შეეწირა.**

მკვლელობა საზარელია, მისი გამართლება — შეუძლებელი, მაგრამ კალოევის მიმართ არავის წამოსცდენია საყვედური. **როცა სახელმწიფო არ ასრულებს საკუთარ მოვალეობას, ადამიანები თავად იწყებენ სამართლის აღსრულებას. ყველგან... მაგრამ არა საქართველოში! დროდადრო ვინმეს წამოუთაქებენ ხოლმე – ეს არის და ეს! ნაცემი „ნაცები" კი „პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე" იწყებენ კივილს!** ანგარიშსწორებას მართლაც იმსახურებენ, თანაც ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე, მაგრამ ჯერ არც ერთი მკვლელობისთვის არც კანონით უგიათ პასუხი და არც სხვა გზით. როცა ერთადერთ (ან თუნდაც, ერთ-ერთ!) შვილს ცივსისხლიანად მოგიკლავენ და წლების განმავლობაში სამართალს ვერ მიაღწევ, რაღა გრჩება დასაკარგი? თითქოს არაფერი, მაგრამ ახალი ტრადიცია უკვე ჩამოყალიბდა: **ისინი „ცივილიზებულობით" ამაყობენ და სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ მათგან, ვინც ასევე ამაყია საკუთარი „ცივილიზებულობით".**

მართლა ამით ჩანს, რომ ჩვენი საზოგადოება ავადაა. შესაძლოა, დასაწყისში მოტანილი ციტატის ავტორს ანალოგიური დიაგნოზი არ აქვს, მაგრამ არც შორს არის მისგან.

„ცივილიზებული" სიამაყის კიდევ ერთი ნიმუში ლალი მოროშკინას „მალიავაა" გიგი „იგულავას" მიმართ: „დილიდან ისე კარგად ვარ, მგონია, შენი ლოცვები მომივიდა... ხედავ, როგორ გაგიმართლა, რომ მე მოვასწარი შენ მოსვლამდე „პალაჟენია დამელაგებინა". პირველად, ალბათ, „კარანტინში" მლოცავდი, რომ არ მოგიწია, ჩვეულებისამებრ, „კარიდორში" „დუბინკების" და წიხლების თანხლებით გავლა; მეორე ლოცვა, ალბათ, სიცხით გათანგულმა ძილის წინ გამომიგზავნე, იმიტომ, რომ ჩემი იდეა იყო ზორბა ტანის პატიმრებისთვის „ნარების" გაფართოება; შემდეგი ლოცვა აუცილებლად საკვების მიღების დროს მომივიდოდა. გახსოვს, თქვენ დროს ტექნიკურ ზეთს რომ ასხამდით „ბალანდას" და ბიჭებს „პაგალოვნად" ცეროზი აკიდეთ? ნახე, რა დავხვეწეთ კვების რაციონი? ისე, შენი დიეტაც შეგიძლია გააგრძელო, ყველა სახის პროდუქტი სახეზეა; შემდეგი დალოცვა საშხაპიდან იქნებოდა, სადაც არ გეშინია, რომ თუ საპონი დაგივარდა, ვიღაც ალმაცერად შემოგხედავს... ხედავ, რა ინფრასტრუქტურული საკნები გავაკეთეთ? ხო, თუ ახალგაზრდობას გაიხსენებ და სტიქარს დაუბრუნდები, ნებისმიერ დროს შეგიძლია გაესაუბრო სასულიერო პირს. ალბათ, შენი ლოცვა მაშინაც მომივა, როდესაც „პრაგულკის" დროს არაფერს „გაგიჩალიჩებენ" და „ზაჟიგალკაზე" ორწლიან „რასკრუტკაზე" არ გაგიშვებენ... ალბათ, ლოცვას მაშინაც აღავლენ, როდესაც ელემენტარული წამლის მოთხოვნის დროს მაგრად არ გცემენ და ტკივილისგან გულწასულს არ შეგეკითხებიან: „ჰა, კიდევ გინდა წამალი, თუ გაგიარა?" და კიდევ: აუცილებლად დამლოცე, როდესაც ცოლთან პირადი პაემნის დროს არ გადაგიღებს კამერა და მერე არ დაგაშანტაჟებენ ამ კადრების გასაჯაროებით. სულ საკუთარი ხელით „ამოვჩიჩქნე" კედლებიდან შენი დროის საყვარელი ატრიბუტი".

**ცდება ლალი მოროშკინა – „იგულავა" სტიქარს არ დაუბრუნდება, მასაც „ქართულ-საბჭოურ-მართლმადიდებლური ყველაფერი გულს ურევს". არც დალოცავს, არც მადლობას ეტყვის. მეტიც — თუ სასწაული მოხდა და ძალაუფლება დაიბრუნა, „უმანკო" თანამებრძოლებთან ერთად სიამოვნებით გაატარებს მოროშკინას იმ ჯოჯოხეთს, რომლის „ამოჩიჩქნით" ლალი „ცივილიზებულად" ამაყობს. „დუბინკა", გაუპატიურება და ტექნიკური ზეთი მონაგონი იქნება!** „ჰა, კიდევ გინდა წამალი, თუ გაგიარა?" – ეს ყველაზე ზრდილობიანი და ჰუმანური გამონათქვამი იქნება მათ შორის, რასაც მოასმენინებენ.

**სინდისის დეფინიცია მათთვის ასე გამოიყურება: როცა ჩვენ გვაქვს ძალაუფლება, ჩვენთვის ყველაფერი ნებადართულია, როცა სხვას აქვს — მაინც ჩვენთვის უნდა იყოს ყველაფერი ნებადართული. „პალაჟენია" ყოველთვის მათთვის ხელსაყრელი უნდა იყოს!** არც ეს არის ახალი ხილი; დღეს რეპრესირებულთა შვილობას ისინი იბრალებენ, ვისი მშობლებიც თავად ხვრეტდნენ ადამიანებს მასობრივად და შემდეგ უკვე მათ წამოეწია რევოლუციური სამართალი!

**სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ეს დაავადება ადგილობრივი არ არის. იგი ოკეანისგაღმიდან არის შემოტანილი.** ხალხის იმედის მიუხედავად, ისტორიული 2012 წლის არჩევნების შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა. პირიქით, გარედან გავლენა გაფართოვდა და გაძლიერდა. ახალი ხელისუფლება ისევე არის მიბმული მარიონეტების მმართველზე ძაფებით, როგორც ძველი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ახლა ამ ძაფებზე ორივე ძალაა გამობმული და შიგა გადაადგილებებისას ეს ძაფები ხანდახან იკვანძება. კვანძის გახსნა კი მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც მარიონეტებს ატარებს, ძაფებიც მის ხელშია და მთელი ხელისუფლებაც — საკანონმდებლოც, აღმასრულებელიც და სასამართლოც.

„ამხანაგი ნორლანდი ვაშინგტონის ობკომიდან" ყველაფერს ზედამხედველობს. თუ სადმე ძაფი გაწყდება ან გაიკვანძება, უმალ იქ გაჩნდება ხოლმე. აბა, პროცესს თვითდინებაზე ხომ ვერ მიუშვებს?! მერედა, მართლაც „ხალხის ნებას რომ აჰყვნენ" მთავრობა და პარლამენტი? ვინმემ რომ იკითხოს, რა სარგებელი აქვს საქართველოს და ქართველ ხალხს „სტრატეგიული მოკავშირისგან", გარდა ჩვენივე ინიციატივით მსოფლიოს ცხელ წერტილებში გაგზავნილი იაფი ჯარისკაცებისა? რა ეშველება მერე დემოკრატიას? იმ დემოკრატიას, რომლის შუქურადაც ეს ათი წელი საკაშვილს გვიცხადებდნენ? იმ დემოკრატიას, რომელიც დღეს ნაცისტების ბანდას იცავს?

მართლაც, ხალხი ერთ მშვენიერ დღეს რომ მიხვდეს, დემოკრატია ხალხის მმართველობაა და არა „ვაშიგტონის ობკომის" მმართველობა მარიონეტების ხელით? **სინდისის დეფინიცია ისეთი უნდა, თეიმურაზ ხევისთავს რომ ჰქონდა, ვერც ცივილიზებულობას დაუწუნებდით. ეგ არის, საბოლოოდ ცვედანი აღმოჩნდა და ულამაზესი მარგო ჯაყოს ჩაუგდო ხელში! იქნებ ამან მაინც გასწავლოთ, მეოცნებეებო, რომ უსინდისოს სინდისიერად არ უნდა მოექცე — მაინც „ბრინკას" დაგიძახებს!**

**სინდისის დეფინიცია მათთვის ასე გამოიყურება: როცა ჩვენ გვაქვს ძალაუფლება, ჩვენთვის ყველაფერი ნებადართულია, როცა სხვას აქვს — მაინც ჩვენთვის უნდა იყოს ყველაფერი ნებადართული. «პალაჟენია» ყოველთვის მათთვის ხელსაყრელი უნდა იყოს!**

**თამარ დავითულიანი**

სააკაშვილის მმართველობის წლებში მერია საბიუჯეტო მაროდიორობისა და პოლიტიკური კორუფციის ბუდედ გადაიქცა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ „ნაციონალებმა“ იქ თავისებური „საკადრო ნაკრძალი“ და ძალზე უცნაური პარალელური პოლიტიკური რეალობა შექმნეს, რომელიც ახლა არსებობის ბოლო საათებს ითვლის.



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ერი და ბერი + ახალი მერი

**არჩევნების მეორე ტურმა სიურპრიზების გარეშე ჩაიარა. ,,ქართულმა ოცნებამ“ კონკურენტი პარტიების ოცნებებს ბულდოზერით გადაუარა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მის დომინირებას პოლიტიკურ არენაზე რეალური საფრთხე ჯერჯერობით არ ემუქრება. ეს არ იყო მაღალტექნოლოგიური გამარჯვება, რომლითაც შეიძლება პოლიტიკურმა კონსულტანტებმა იამაყონ, თუმცა ეს უმნიშვნელო ნიუანსია — გამარჯვებულებს არ ასამართლებენ, თუნდაც მათი წინასაარჩევნო კამპანია ნაკლებად ნიჭიერი იყოს.**

თბილისის მერიის ისტორიაში მთელი ეპოქა სრულდება. **სააკაშვილის მმართველობის წლებში მერია საბიუჯეტო მაროდიორობისა და პოლიტიკური კორუფციის ბუდედ გადაიქცა. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ „ნაციონალებმა“ იქ თავისებური „საკადრო ნაკრძალი“ და ძალზე უცნაური პარალელური პოლიტიკური რეალობა შექმნეს, რომელიც ახლა არსებობის ბოლო საათებს ითვლის.** ცხადია, არავის აქვს ილუზიები იმასთან დაკავშირებით, რომ დავით ნარმანია ავგიას თავლას ჰერაკლეს მონდომებით გაწმენდს, თუმცა ბევრი რამ, სავარაუდოდ, მალე შეიცვლება. „მუშაობას ყველა პროფესიონალი კადრი გააგრძელებს, მაგრამ ადამიანები, რომლებიც ხელს გვიშლიდნენ ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში, **ადამიანები, რომლებიც გაფორმებული იყვნენ სხვადასხვა სამეთვალყურეო საბჭოში, სხვადასხვა უწყებაში და დატვირთული იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით, თბილისის მერიაში ვერ იქნებიან.** შემიძლია ძალიან მკაცრად ვთქვა: თითოეული ადამიანი, რომელიც არის კვალიფიციური, როცა გამოცხადდება ვაკანსიები, დაიკავებენ იმ ადგილს, რომელსაც ელოდებიან“, — განაცხადა დავით ნარმანიამ არჩევნების მეორე ტურის შედეგების გამოცხადების შემდეგ (ინტერპრესნიუსი).

არაერთგზის ითქვა, რომ „ნაცმოძრაობა“ „ელექტორალურ რეზერვაციაში“ მოექცა, რომლის საზღვრების გაფართოება არ ძალუძს და, ალბათ, საინტერესო იქნება დაფიქრება იმაზე, რა მოხდება ახლო მომავალში ამ „რეზერვაციაში“. საპრეზიდენტო არჩევნებში ბაქრაძემ თბილისში 92 693 ხმა მიიღო, ხოლო მელიამ მერის არჩევნებში — 92 125 პირველ ტურში და 84 350 — მეორეში. ამომრჩევლების აქტიურობის მაჩვენებელს ამ შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რადგან სამივე შემთხვევაში ყოფილი მმართველი პარტიის ელექტორატი თითქმის 100%-ით მობილიზებული იყო. „ნაციონალები“ ვერ ზრდიან მხარდამჭერების რაოდენობას, მაგრამ ბოლო დრომდე ინარჩუნებდნენ ერთგვარ „ბირთვს“, რომლის შიგნით ახლო მომავალში შეიძლება საინტერესო პროცესები დაიწყოს. საქმე ისაა, რომ ამ „ბირთვის“ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ ის ადამიანები და მათი ოჯახის წევრები, რომელთა შემოსავალი დაკავშირებული იყო მერიასთან და მის სამსახურებთან, საუბარია დაბალი რანგის მოხელეებზე, საბიუჯეტო დაფინანსების სხვადასხვა წყაროზე მიბმულ კოორდინატორებზე, ზონდერებზე, „ვარდისფერი ინტელიგენციის“ წარმომადგენლებზე და ა. შ. მიხეილ სააკაშვილის თქმის არ იყოს (ახლა საზეიმო ვითარებაში დავუბრუნებთ 2007 წლის ფრაზას), ეს „ყოფილი გაიშნიკები“ ახლო მომავალში სერიოზული არჩევანის წინაშე დადგებიან. თუ ადრე მათ შემოსავალს, თბილისის მერიის „პარალელურ რეალობაში“, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთგულება უზრუნველყოფდა, ახლა შეიძლება ჩათვალონ, რომ მისი შენარჩუნების საწინდარი ყოფილი პატრონებისგან დროული გამიჯვნაა. წარმოვიდგინოთ, როგორ შეიძლება გაშიფრონ მათ დავით ნარმანიას განხილული განცხადება.

**ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ წერილის ავტორს შესაძლებლობა ჰქონდა, დაკვირვებოდა ერთი, არცთუ დაბალი რანგის პოლიციელის და მისი ოჯახის წევრების პოლიტიკურ ტრანსფორმაციას. ადრე სააკაშვილზე მზე და მთვარე ამოსდიოდათ. სიმართლე გითხრათ, მათზე თანმიმდევრული, ნერვულად აღგზნებული და ყველაფერზე ხელის მომწერი „მიშისტები“ არ მინახავს. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, გარკვეული პერიოდი თავდახრილები დადიოდნენ და, სავარაუდოდ, კოგნიტურ დისონანსს ებრძოდნენ. იმ პოლიციელს საკადრო წმენდა არ შეხებია** (არადა, მიქარული ნამდვილად აქვს) **და ძალიან მალე მართლმორწმუნე „ბიძინისტად“ ჩამოყალიბდა, ისევე, როგორც მისი ოჯახის დანარჩენი წევრები.** უბრალოდ, უნდა ნახოთ, როგორი მოწიწებით ახსენებენ ისინი „ბატონ ბიძინას“ და, რომ მიუშვა, არათუ „ნაციონალების“, მერყევი „მეოცნებეების“ ცოცხლად გატყავებას დაიწყებენ. ეს ერთდროულად სასაცილოცაა და გულისამრევიც, თუმცა აქ მთავარია სხვა რამ: თბილისის მერიაზე მიბმულია არაერთი ასეთი ტიპი, რომლებიც მალე ახალი რეალობის მიმართ ადაპტირებას შეეცდებიან. იდეოლოგია აქ საერთოდ არაფერ შუაშია, ამ კატეგორიისთვის მთავარია ფული და სტაბილური სოციალური სტატუსის განცდა (თქმული ეხება არამხოლოდ



**ადამიანები, რომლებიც გაფორმებული იყვნენ სხვადასხვა სამეთვალყურეო საბჭოში, სხვადასხვა უწყებაში და დატვირთული იყვნენ მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით, თბილისის მერიაში ვერ იქნებიან**

თბილისს, არამედ რეგიონებსაც, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით).

ამ ადამიანების ვნებები წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს „ერთიანი ნაციონალური ბირთვის“ დეზინტეგრაციის ხელშეწყობისთვის, რომლითაც შეიძლება დაკავდეს არამხოლოდ მმართველი კოალიცია, არამედ ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც „ნაცმოძრაობას“ ქვეყნისთვის მომაკვდინებელ საფრთხედ განიხილავს. თუმცა აქ, ალბათ, მნიშვნელოვანია ერთი გარემოების გააზრება — როდესაც ომში მოწინააღმდეგის მსხვილ დაჯგუფებას ალყაში აქცევენ, მთელ პერიმეტრზე კი არ აწვებიან, არამედ ცდილობენ, მიზანმიმართული დარტყმებით რამდენიმე, ერთმანეთისგან იზოლირებულ ნაწილად დაშალონ, რომელთა განადგურება გაცილებით იოლია. ახლა მსგავსი სიტუაცია ქართულ პოლიტიკაში შეიქმნა. **დღეს ძველი რეჟიმის მოწინააღმდეგეებისთვის, შესაძლოა, გაცილებით აქტუალურია არა ზოგადი ბრძოლა „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ, არამედ მისი ბირთვის დეზინტეგრაციის, ცალკეულ ნაწილებად დაშლის ხელშეწყობა. ეს ძნელად შესამჩნევი, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი ნიუანსია.**

სურს თუ არა „ქართულ ოცნებას“ „ნაცმოძრაობის“ ამოშანთვა პოლიტიკური სივრციდან, როგორც ამას მისი ამომრჩევლების დიდი ნაწილი მოითხოვს? **პოლიტტექნოლოგიის ცინიკური გადასახედიდან „ნაცმოძრაობა“ ძალზე კომფორტული ოპოზიციაა, რომელიც არჩევნებში აპრიორი ვერ გაიმარჯვებს, თუნდაც „ქართული ოცნება“ მნიშვნელოვნად დასუსტდეს. „ნაციონალების“ ლიდერები ერთი და იმავე ტაქტიკური შაბლონების მიხედვით მოქმედებენ და განსაკუთრებულ საფრთხეს ამ ეტაპზე ნამდვილად არ წარმოადგენენ.** მაგრამ თუ სიტუაციას ქართული დემოკრატიის და ზოგადად სახელმწიფოს განვითარების რაკურსით შევხედავთ, ბევრი ჩვენგანი შეიძლება მივიდეს დასკვნამდე, რომ **„ნაცმოძრაობის“ განადგურება აუცილებელია** (ცხადია, ლეგიტიმური პოლიტიკური მეთოდების და არა გილიოტინის გამოყენებით). პარტია, რომელიც ორიენტირებულია სადისტური დიქტატურის რესტავრაციაზე, არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც დემოკრატიული სისტემის ორგანული ნაწილი და ასეთად მისი გადაქცევის მცდელობა ნებისმიერ შემთხვევაში კრახით და განვითარებისთვის აუცილებელი დროის დაკარგვით დასრულდება. ალბათ, თითოეული ჩვენგანი ინდივიდუალურ რეჟიმში უნდა ჩამოყალიბდეს, „ნაციონალურ მოძრაობას“ ლეგიტიმურ პოლიტიკურ ძალად აღიქვამს თუ უდიდეს პრობლემად საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის.

**დამნაშავე მაღალჩინოსნების დასჯა „ქართული ოცნების“ საკვანძო წინასაარჩევნო დაპირება იყო. მისი შესრულების გარეშე, ყველაფერი დანარჩენი აზრს კარგავს.** მარტივად რომ ვთქვათ, არავის სჭირდება კატა, რომელიც მხოლოდ ჭამს, კნავის, თაგვებს კი არ (თუ ვერ) იჭერს. მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მმართველმა კოალიციამ წარმატებას მიაღწიოს, თუ მიზნად ყოფილი მმართველი პარტიის ლიკვიდაციას დაისახავს. მისთვის არანაკლებ და, შესაძლოა, გაცილებით მნიშვნელოვანია მოწინააღმდეგის „შავი სალაროს“ და პროპაგანდისტული მანქანის გავლენის ეტაპობრივი შემცირება. აქაც, სავარაუდოდ, ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ სტრატეგიას წამოადგენს დღესდღეობით ერთიანი „ბირთვის“ სხვადასხვა ნაწილების ერთმანეთთან დაპირისპირების ხელშეწყობა (უპირველესად, მერკანტილური ინტერესების ნიადაგზე). პრინციპში, აქ შეიძლება საკმაოდ პერსპექტიული გამოდგეს კონფლიქტის „ვიეტნამიზაციის“ იდეა („ავღანიზაციის“, „ჩეჩენიზაციის“ და ა. შ.), პრინციპით „კარგი ვიეტნამელები — ცუდი ვიეტნამელების წინააღმდეგ“, შესაბამისად, „კარგი „ნაციონალები“ — ცუდი „ნაციონალების“ წინააღმდეგ“. სააკაშვილის ზოგიერთმა თანმიმდევრულმა მოწინააღმდეგემ შეიძლება თქვას: „კარგი „ნაციონალი“ ვის გაუგონია?“, თუმცა ბრძოლის ახალი ეტაპის ლოგიკამ შეიძლება სწორედ მსგავს სქემაზე გადასვლა მოითხოვოს. თუ რომელიმე „ნაციონალი“ თავისი მოქმედებით ხელს შეუწყობს პარტიის „შავი სალაროს“ ნაწილის ნეიტრალიზებას ან კრიზისის დაწყებას მისი პროპაგანდისტული მანქანის შიგნით, რატომ არ შეიძლება მას „კარგი“ ეწოდოს, მსუბუქი გადაცდომები ეპატიოს და პარტიის ყბადაღებული ოქროს მცირე ნაწილი დარჩეს?! რა მოიტანს უფრო დიდ წარმატებას ამ ეტაპზე: ფრონტალური შეტევები თუ ფარული მაკიაველისტური კომბინაციები? ძნელი სათქმელია, თუმცა მოდელირება ამ ნიადაგზე უდავოდ საინტერესოა. მომენტიც შესაფერისია — იმ რღევისა და ვნებათაღელვის ფონზე, რომელიც თბილისის მერიაზე მიბმულ ნაციონალურ კოჰორტაში დაიწყო.

**დამღლელი, სამი ეტაპისგან შემდგარი საარჩევნო მარათონის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ მიაღწია პრაქტიკულად სრულ კონტროლს ხელისუფლების ყველა რგოლზე. მართალია, სასამართლო ხელისუფლებაში ჯერ კიდევ რჩება სააკაშვილის ჯგუფის რამდენიმე პლაცდარმი, თუმცა მათ წარმოჩენას გლობალური ხასიათის პრობლემად მმართველი კოალიცია, სავარაუდოდ, ვერ შეძლებს და, შესაძლოა, ამის გაკეთებას არც შეეცდება.** „ნაციონალების“ მხრიდან საბოტაჟის თემა ბოლო თვეებში უკვე საკმაოდ ცუდად მუშაობდა (რაც თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ საბოტაჟს ადგილი არ ჰქონია), ხოლო მომავალში, სავარაუდოდ, საერთოდ არ იმუშავებს. მთელ პასუხისმგებლობას იმაზე, რაც ქვეყანაში ახლო მომავალში მოხდება, საზოგადოების უდიდესი ნაწილი მხოლოდ და მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ დააკისრებს. **„ნაცმოძრაობის“ ნარჩენები სხვადასხვა სტრუქტურაში მისთვის მეხამრიდის ფუნქციას ველარ შეასრულებენ, როგორც ეს ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში არაერთგზის მომხდარა. მმართველი კოალიცია ამომრჩევლების პირისპირ დარჩა; თავდავიწყება სწორედ ახლა იწყება.**

რაოდენ დიდი მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს პარლამენტსა და მთავრობას, მოქალაქეთა აბსოლუტურ უმრავლესობას ურთიერთობა, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივ სტრუქტურებთან უწევს. მოსახლეობის კომუნიკაცია გამგეობებისა და მერიის თანამშრომლებთან ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. **მთავრობამ ყველა სფეროში მსოფლიო რეკორდები რომც დაამყაროს, ადგილობრივი რგოლის დაბალი რანგის ერთი სახელმწიფო მოხელის უგულობამ და უყურადღებობამ შეიძლება მოქალაქეების ცნობიერებაში მთელი პოზიტივი გადახაზოს და ათასობით ამომრჩეველი ხელისუფლების მტრად გადააქციოს.** უგულავამ, თავის დროზე, სწორედ უგულო მერია შექმნა. სასურველია, დავით ნარმანიამ ამ პრობლემას ყურადღება მიაქციოს; მერიამ თბილისელებთან ჩვეულებრივი, ადამიანური დიალოგი უნდა დაიწყოს და ყურადღებით მოუსმინოს მათ. ესაა მთავარი, დანარჩენს კი როგორმე მოევლება.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ომი გრძელდება და უკრაინა იხდის ძალიან მაღალ საფასურს მისი ელიტის მრავალწლიანი დეგრადაციისა და დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობისთვის. მსოფლიო კი ძველი უკრაინის აგონიას უყურებს და ჯერჯერობით არავინ იცის, დაიბადება თუ არა საერთოდ ახალი უკრაინა და როგორი იქნება ის.**

## «ენერგო-პრო»: თუ სახელმწიფოს უნდა, რომ ქვეყანაში შექმნილი ვითარება გაუმჯობესდეს, ტარიფები უნდა გაიზარდოს

**თუ სახელმწიფოს და კომისიას უნდათ, რომ ქვეყანაში შექმნილი ვითარება გაუმჯობესდეს, ტარიფები აუცილებლად უნდა გაიზარდოს, — განაცხადა „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალურმა დირექტორმა ნიკოლაი ნიკოლოვმა ელექტროენერგიის ახალი მეთოდოლოგიის პრეზენტაციის შემდეგ.**

„ჩვენი კომპანია, უკვე წელიწადზე მეტია, მუშაობს ამ მეთოდოლოგიაზე. ყველა მონაცემი, რომელიც სჭირდებოდა კომისიას ტარიფების განსაზღვრისთვის, ჩვენ უკვე მივაწოდეთ. მე ვერ ვხედავ ვერანაირ პრობლემას ახალ ტარიფებთან დაკავშირებით. თუ საჭიროა ინვესტიციები, მაშინ, რა თქმა უნდა, ტარიფი უნდა გაიზარდოს. ეს გამომდინარეობს ქსელის მდგომარეობიდან. ასე რომ, თუ სახელმწიფოსა და კომისიას უნდათ, რომ ქვეყანაში შექმნილი ვითარება გაუმჯობესდეს, ტარიფები აუცილებლად უნდა გაიზარდოს“, — განაცხადა ნიკოლოვმა, რომელმაც დასძინა, რომ „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ შეიმუშავა ინვესტიციების სამწლიანი გეგმა და კომპანია წელიწადში დაახლოებით 100 მილიონი ლარის ინვესტირებას გეგმავს.

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ მარიამ ვალიშვილმა განაცხადა, რომ ახალი მეთოდოლოგია დაბალანსებულია და იცავს როგორც მომხმარებლის ინტერესებს (რომ დაცული იყოს მომხმარებელი გაზრდილი ფასებისა და არამიზნობრივი ხარჯებისგან), ასევე გარკვეულ მოტივაციასა და გარანტიას აძლევს ინვესტორს, რომ ინვესტირებული თანხა გარკვეული მოგების ოდენობით ამოღებული იქნება. რაც შეეხება იმას, იმოქმედებს, თუ არა ახალი მეთოდოლოგია ელექტროენერგიის ტარიფზე, ვალიშვილის თქმით, ტარიფის მნიშვნელოვნად (?) გაზრდა ნამდვილად არ მოხდება.

სემეკის წევრის, გოჩა შონიას თქმით, იქნება თუ არა ცვლილებები ტარიფებთან დაკავშირებით, ჯერ უცნობია.

**P.S. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა და ვიცეპრემიერმა კახა კალაძემ ერთი წლის წინ განაცხადა, „ენერგო პრო ჯორჯიასთან” გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით დენის გაიაფებული ტარიფი ორი წლის შემდეგ გადაიხედებაო, როგორც ირკვევა, ამ კომპანიის აბონენტებისთვის 1 სექტემბერიდან დენის ტარიფი 0.5 ან 1 თეთრით გაძვირდება.**

# უკრაინული კოშმარი და ქართული რეალობა

**უკრაინა კვლავინდებურად თვითგანადგურების გზას ადგას და ჯერჯერობით არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ამ მარშრუტიდან გადახვევას აპირებს. პირიქით — დაიწყო კრიზისის ახალი, გაცილებით მძიმე სტადია, დანაკარგები გაიზარდა, ხოლო მშვიდობიანი დარეგულირების ალბათობა შემცირდა. რა მოხდება უკრაინაში ახლო მომავალში და რა დასკვნებს გამოიტანს ამ მოვლენებიდან ქართული პოლიტიკური ელიტა?**



### პრაგმატიზმს თავი არ სტკივა

ბოლო ხანს საქართველოს ხელისუფლების რიტორიკა უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით შეიცვალა. ემოციური განცხადებები „ევრომაიდნელების“ და უპირობო მხარდაჭერით წარსულს ჩაბარდა. მთავრობა, სავარაუდოდ, ცდილობს, შედარებით ფრთხილი და კონსტრუქციული პოზიცია დაიკავოს. გასულ კვირას „სიენენ“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შემდეგი განაცხადა: „მინდა, ჩვენს მეგობარ უკრაინასა და უკრაინელებს მშვიდობა და სტაბილურობა ვუსურვო. ვიმედოვნებ, რომ უკრაინაში მალე აღდგება მშვიდობა და სტაბილურობა. ვერ ვეტყვი უკრაინის ხელისუფლებას, რომელ გზას უნდა გაჰყვეს მათი ქვეყანა, თუმცა ამისთვის უკრაინას საქართველოს მაგალითი აქვს. ჩვენ უკვე გავუგზავნეთ მათ კარგი მაგალითი — ერთი მხრივ, ჩვენ მივყვებით ევროკავშირისკენ მიმავალ გზას და ეს პროცესი შეუქცევადი გახდა 27 ივნისს, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით. ამავე დროს კი, ჩვენ ვისწრაფვით რუსეთთან ნორმალური, კონსტრუქციული ურთიერთობებისკენ და თანამშრომლობისკენ. ფაქტია, რომ რუსეთი ჩვენი მეზობელია და ჩვენ ნორმალური, კონსტრუქციული დიალოგი უნდა გვქონდეს მასთან“.

**პრემიერმა აღნიშნა, რომ რეგიონში მშვიდობა და სტაბილურობა რუსეთის ინტერესებშიც უნდა შედიოდეს. მისი თქმით, ქართულმა მხარემ დაამტკიცა, რომ კონსტრუქციულ მთავრობას, კონსტრუქციულ ხალხს წარმოადგენს და ნორმალური დიალოგი აქვს ყველასთან, მათ შორის რუსეთთანაც.** „თავის მხრივ, ურთიერთობის ნორმალიზება ეტაპობრივად რუსეთმაც დაადასტურა. კერძოდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისთვის ბაზრის გახსნით“, — განაცხდა ღარიბაშვილმა. მან, აგრეთვე, გამორიცხა მედიატორობა რუსეთსა და უკრაინას შორის: „ვფიქრობ, ეს შეუძლებელია, რადგან არ მაქვს პირდაპირი დიალოგი პრეზიდენტ პუტინთან, ამიტომ ვერ ვიქნები რუსეთ-უკრაინას შორის მედიატორი. ჩვენ ჯერაც საკუთარი პრობლემები გვაქვს მოსაგვარებელი რუსეთთან“ (ინტერპრესნიუსი).

სხვათა შორის, **ღარიბაშვილის ბოლო ფრაზა, კრემლმა შეიძლება აღიქვას, როგორც მინიშნება იმაზე, რომ ოფიციალური თბილისი სასურველად მიიჩნევს ორი ქვეყნის ლიდერებს შორის პირდაპირი დიალოგის დაწყებას.** თუმცა მთავარი აქ, ალბათ, სხვა რამ არის — პირველად ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, შესაბამისი რიტორიკით და ქვეტექსტებით, შესაძლოა, გაცილებით უფრო ახლოა ბერლინის და არა ვაშინგტონის მიდგომასთან. ეს მომენტი ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან უთანხმოება აშშ-სა და გერმანიას შორის ბოლო დროს გაიზარდა, გაჩნდა ერთგვარი ნაპრალი, რომლის ამოვსება ჯერჯერობით შეუძლებელი ჩანს. თუ რუსეთი სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში ჯარებს შეიყვანდა, ეს დასავლელი მოკავშირეების კონსოლიდირებას მოახდენდა, მაგრამ, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ბერლინი ინარჩუნებს შესაძლებლობას, არ დაწვას „აღმოსავლეთის ხიდები“ და ეძებს გადაწყვეტილებას, რომელიც უკრაინის კრიზისს რუსეთის ინტერესების გათვალისწინებით დაარეგულირებს. ვლადიმერ პუტინის

**ღარიბაშვილის ბოლო ფრაზა კრემლმა შეიძლება აღიქვას, როგორც მინიშნება იმაზე, რომ ოფიციალური თბილისი სასურველად მიიჩნევს ორი ქვეყნის ლიდერებს შორის პირდაპირი დიალოგის დაწყებას**

სტრატეგიაში მნიშვნელოვან ადგილს სწორედ აშშ-გერმანიის (უფრო ფართოდ კი — ევროკავშირის) წინააღმდეგობებზე თამაში იკავებს. ამ სიტუაციაში აღმოსავლეთ ევროპის სუსტი ქვეყნები მნიშვნელოვანი არჩევანის წინაშე დგებიან: ან ვაშინგტონის რუპორის როლი შეასრულონ, ან ბერლინის პოზიციას მიემხრონ. ეს საკმაოდ რთულია, იმის გათვალისწინებით, რომ ეს პოზიციები დიამეტრალურად განსხვავებული არაა, თუმცა სხვაობა ნიუანსებში, ამ შემთხვევაში, პრინციპულ ხასიათს ატარებს.

**სააკაშვილის ხელისუფლება ევროინტეგრაციის პროცესში ვერ ხედავდა სხვა როლს საქართველოსთვის, „ვაშინგტონის ტროას ცხენის“ გარდა. ის ორიენტირებული იყო პოლონეთისა (კაჩინსკის პერიოდი) და ბალტიისპირეთის მთავრობების ქცევის მოდელზე.** საიდუმლო არავისთვის არის, რომ, მეგობრული რიტორიკის მიუხედავად, გერმანია-საქართველოს ურთიერთობებში მაშინ ლამის „გამყინვარების პერიოდი“ დაიწყო. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ სიტუაცია ნაწილობრივ შეიცვალა — მიუხედავად იმისა, რომ მმართველი კოალიციის ნაწილი კვლავინდებურად ინარჩუნებს ორიენტაციას ვაშინგტონური ისტებლიშმენტის რადიკალურ ფრთაზე (და არა იმ ჯგუფებზე, რომელთაც ობამას ადმინისტრაცია ეყრდნობა), ხელისუფლება ცდილობს, ხელი შეუწყოს დაახლოებას გერმანიასთან, რომელშიც ხედავს არა იმდენად დონორს (თუმცა არც უამისობაა), რამდენადაც საკვანძო შუამავალს რუსეთთან ურთიერთობაში.

**თავი დავანებოთ შორეული 1918 წლის ამბებს, როდესაც კაიზერის გერმანიამ გზა გადაუღობა თავისი თურქი მოკავშირეების შემდგომ წინსვლას სამხრეთ კავკასიაში, გავიხსენოთ თუნდაც ბოდენისა და შტაინმაერის სამშვიდობო გეგმები.** მათი პრეზენტაციის პერიოდში გერმანელი დიპლომატების წინადადებები არასაკმარისად და არასრულყოფილად გვეჩვენებოდა, აგვისტოს ომის შემდეგ კი კონფლიქტების დარეგულირების ეს სქემები სანატრელი გაგვიხდა. **მარტივად რომ ვთქვათ, 2008-ში, ბოლო მომენტში, გერმანელებს ჩვენი გადარჩენა შეეძლოთ, მაგრამ სააკაშვილის რეჟიმმა გოროზად უარი თქვა სამაშველო რგოლზე (სამშვიდობო გეგმასა და თანმდევ შუამავლობაზე). გვაქვს თუ არა იმის ფუფუნება, რომ სამშვიდობო დარეგულირების ამ უზარმაზარ (პირობითად, „გერმანულ“) რესურსზე უარი კიდევ ერთხელ ვთქვათ?**

ცხადია, მანევრირება სამკუთხედში „ვაშინგტონი-მოსკოვი-ბერლინი“ მკვეთრ მოძრაობებს გამორიცხავს,. თუმცა უდავოდ აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელისუფლება (ფრთხილად, მაგრამ მაინც) გამოხატავს პოზიციას, რომელიც, ასე თუ ისე, ახლოა გერმანული საგარეო პოლიტიკის სულისკვეთებასთან (მოჰყვება თუ არა ამას ბერლინის ხედვის გაზიარება ევროპა-რუსეთის ურთიერთობის მომავალზე, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია) და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, წინამორბედისგან განსხვავებით, უარს ამბობს მკვეთრ კონფრონტაციულ რიტორიკაზე. კაცმა რომ თქვას, ამ რიტორიკას მხოლოდ ის უნდა მიმართავდეს, ვისაც კონფრონტაციის თავი ▶

## ანაკლიის პორტი 3 წელიწადში აშენდება

**„ანაკლიის პორტი ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი უმოკლესი გზა იქნება“, – განაცხადა საქართველოს პრემიერმინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ბიზნესმენებთან შეხვედრისას.**

„ჩვენ ამ საკითხზე ძალიან ბევრი ვიმუშავეთ და პორტის აშენების გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ მივიღეთ, რაც ჩატარდა სერიოზული სამუშაოები და დაიდო კვალიფიციური დასკვნა. კვლევა საერთაშორისოდ აღიარებულმა იაპონურმა კომპანიამ ჩაატარა, რომლის მიხედვით, ანაკლია ყველაზე ხელსაყრელი ადგილია. საქართველოში ახალი პორტის მშენებლობა ძალიან მალე დაიწყება. ის ხელს შეუწყობს საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში საქართველოს ინტეგრაციას, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და პირიქით — ტვირთების საქართველოს მიმართულებით მოზიდვას. ანაკლიის პორტი ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი უმოკლესი გზა იქნება. ევროპასა და აზიას შორის სავაჭრო ტვირთბრუნვის გათვალისწინებით, ეს პროექტი დიდ სარგებელს მოუტანს ყველას, განსაკუთრებით — ჩვენს ქვეყანას. საქართველო უმოკლეს გზას სთავაზობს ჩინეთსა და ევროპას. 17-18 დღეში იქნება შესაძლებელი ჩინეთიდან ტვირთის გადაზიდვა კონსტანცაში. ვვარაუდობთ, რომ პორტის მშენებლობას 3 წელი დასჭირდება“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.



პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საინტერესოა, რომ ბოლო დროს „ნაციონალების“ რიტორიკა უკრაინასთან დაკავშირებით ერთობ გაუფერულდა და ნაწილობრივ გათავისუფლდა ისტერიული ენთუზიაზმისგან. შესაძლოა, ამის მიზეზი ისაა, რომ სააკაშვილს და მისი ჯგუფის წევრებს კიევში მიანიშნეს, რომ მათი რადიკალური ხასიათის რჩევები დიდად არავის სჭირდება.

◀ აქვს. ჩვენ მშვენივრად გვახსოვს, სანამდე მიგვიყვანა ამ მხრივ სააკაშვილის „ხტუნაობამ“, რომელსაც სერიოზულად მხოლოდ მისი მიმდევრები აღიქვამდნენ, დანარჩენი მსოფლიოსთვის ის, უბრალოდ, სასაცილო იყო. მოკლედ, მთავრობა, ტაქტიკური შეცდომების მიუხედავად, განხილულ პრობლემასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, სწორ გზას ადგას და იმედია, ასე გააგრძელებს.

**საინტერესოა, რომ ბოლო დროს „ნაციონალების“ რიტორიკა უკრაინასთან დაკავშირებით ერთობ გაუფერულდა და ნაწილობრივ გათავისუფლდა ისტერიული ენთუზიაზმისგან. შესაძლოა, ამის მიზეზი ისაა, რომ სააკაშვილს და მისი ჯგუფის წევრებს კიევში მიანიშნეს, რომ მათი რადიკალური ხასიათის რჩევები დიდად არავის სჭირდება,** თუმცა არსებითი მნიშვნელობა ამას არ აქვს, რაც უნდა გააკეთონ „ნაციონალებმა“ უკრაინაში, განსაკუთრებულს ვერაფერს შეცვლიან — პრობლემების მასშტაბი მათ ინტელექტუალურ რესურსს აშკარად აღემატება.

### აღმოსავლეთის ფრონტზე ცვლილებებია

ომი გრძელდება. შესაძლოა, **უკრაინის ახალ პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს ჰქონდა იმედი, რომ ქვეყანას „მშვიდობის მტრედად“ მოევლინებოდა, დაამშვიდებდა და გააერთიანებდა მას, მაგრამ შეიარაღებული დაპირისპირების ინერციამ, მისმა ლოგიკამ საპირისპირო მიმართულებით უბიძგა. ის, უბრალოდ, ერთ-ერთი მეომარი მხარის ლიდერად იქცა, რომელსაც პრობლემები მხოლოდ ფრონტის ხაზზე არ აქვს.**

უკრაინის არმია კვლავინდებურად ინარჩუნებს უდიდეს უპირატესობას მძიმე შეიარაღებაში. მას ჯერ კიდევ აქვს ყველა დასახლებული პუნქტიდან ამობოხებულების განდევნის შანსი, მაგრამ ის თანდათან მცირდება — წინააღმდეგობა სულ უფრო მედგარი და ორგანიზებული ხდება. ჩვენ ხშირად ვაკრიტიკებდით ჩვენს სარდლობას არასწორი გადაწყვეტილებების გამო, მაგრამ სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ის, რასაც დღეს უკრაინული გენშტაბი სჩადის, ქართველ გენერლებს აზრადაც არ მოუვიდოდათ. ზოგიერთ შემთხვევაში, აშკარად იდიოტური დირექტივები კიევიდან და მეთაურების უნიათობა უკრაინელ სამხედროებს სამხრეთ-აღმოსავლეთში უმძიმეს მდგომარეობაში აგდებს.

**თუ თვე-ნახევრის წინ საბრძოლო მოქმედებების ერთი დღე უკრაინას 2, მაქსიმუმ 3, მილიონი დოლარი უჯდებოდა, ამჟამად, ექსპერტების შეფასებით, ამ მაჩვენებელმა 5 მილიონ დოლარს გადააჭარბა. ხარჯები ძალიან სწრაფად იზრდება. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ, როდესაც ის დღეში 10 მილიონ დოლარს მიაღწევს, კიევი იძულებული გახდება, დათანხმდეს ზავს, თუნდაც მძიმე პირობებით ან ოპერაციების მასშტაბის მკვეთრად შეზღუდვით, რათა თავიდან აიცილოს უკრაინული სახელმწიფოს და მისი სამხედრო მანქანის სწრაფი კრახი.** ეს, ცხადია, არ არის ერთადერთი ნეგატიური ფაქტორი. მაგრამ, ძველი გამოთქმის არ იყოს, ომის წარმოება, უპირველესად, მოითხოვს „ფულს, ფულს და ფულს“, რომელიც წინასადეფოლტო მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას არ აქვს. ამას ემატება ტოტალური კორუფცია და ლოჯისტიკის მართლაც რომ აფრიკული სტანდარტები — სამხედროების ნაწილი წინა ხაზზე ჯავშანჟილეტების გარეშე იმყოფება, ყველაზე დრამატულ მომენტებში ხშირად მომარაგების გარეშე რჩება, უკრაინის ცენტრალური(!) ჰოსპიტალი ეხვეწება მოსახლეობას, დაჭრილებისთვის წამლები მოიტანოს და ა. შ.

სლავიანსკთან არტილერიის კონცენტრაციამ და მისმა აქტიურმა გამოყენებამ საბოლოოდ მისცა შესაძლებლობა უკრაინულ არმიას, ქალაქი დაეკავებინა, მაგრამ ამას ერთობ პარადოქსული შედეგი მოჰყვა. ცნობილმა საველე მეთაურმა იგორ სტრელკოვმა პრაქტიკულად უპრობლემოდ გაარღვია ალყა და თავისი რაზმით დონეცკში გადაინაცვლა. ადრე დონეცკში სახელისუფლო სტრუქტურების მნიშვნელოვან ნაწილს ოლიგარქ რინატ ახმეტოვთან დაკავშირებული ძალოვანები და ოფიციალური პირები აკონტროლებდნენ, ნაწილს კი მეამბოხეების რადიკალური ფრთა. არაერთი გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ ახმეტოვი, თავისი კადრების მეშვებით, ამზადება ნიადაგს დაზავებისთვის ცენტრალურ ხელისუფლებასთან (პრინციპით: „იურისდიქციის აღიარება — რეგიონის უფლებების გაფართოების სანაცვლოდ“; საუბარი, სავარაუდოდ, ეხებოდა დაახლოებით ისეთივე „ოლიგარქიული რესპუბლიკის“ შექმნას, როგორიც იგორ კოლომოისკიმ დნეპროპეტროვსკში ჩამოაყალიბა). სტრელკოვის დაბრუნებამ დონეცკში სიტუაცია შეცვალა. მან, სლავიანსკელ მებრძოლებზე დაყრდნობით, ხელისუფლების კონსოლიდირება მოახდინა და „ახმეტოველების“ პოზიციები მნიშვნელოვნად შეზღუდა. ამის შემდეგ დაიწყო ამბოხებულების აქტიური იერიშები მძიმე მდგომარეობაში მყოფ უკრაინულ დაჯგუფებებზე (დონეცკის აეროპორტი, საურ-მოგილას მიდამოები და ა. შ.) უკრაინელმა ძალოვანებმა საპასუხოდ წამოიწყეს იერიში ლუგანსკთან ჯავშანტექნიკის მასირებული გამოყენებით, სადაც ბრძოლები გარდამავალი უპირატესობით გრძელდება. მსხვერპლი ორივე მხრიდან ბოლო დღეებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. უკრაინელი სამხედროების წინაშე დადგა დონეცკის მჭიდროდ დასახლებული უბნების მასირებული საარტილერიო დაბომბვისა და უმძიმესი შტურმის პერსპექტივა, რომელიც, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით, უდიდეს დანაკარგებს უკავშირდება. კიევისთვის გაცილებით მომგებიანი იქნებოდა შეთანხმება ახმეტოვთან, თუმცა ამ ეტაპზე ის საეჭვოა, რადგან დონეცკში სტრელკოვი და მისი თანამოაზრეები დომინირებენ.



**უკრაინის ახალ პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს ჰქონდა იმედი, რომ ქვეყანას «მშვიდობის მტრედად» მოევლინებოდა, დაამშვიდებდა და გააერთიანებდა მას, მაგრამ შეიარაღებული დაპირისპირების ინერციამ, მისმა ლოგიკამ საპირისპირო მიმართულებით უბიძგა. ის, უბრალოდ, ერთ-ერთი მეომარი მხარის ლიდერად იქცა, რომელსაც პრობლემები მხოლოდ ფრონტის ხაზზე არ აქვს**

### აგონიას ბოლო არ უჩანს

სანამ სტრელკოვი დონეცკში მეამბოხეთა ძალებს აკონტროლებდა, კიევში საპირისპირო რამ ხდებოდა. პეტრე პოროშენკო და ზოგიერთი ოლიგარქი აშკარად დაუპირისპირდა იგორ კოლომოისკის, მათ შორის დაუფარავი მედიაომი დაიწყო. კოლომოისკი აკონტროლებს უკრაინული პოლიტიკური ელიტის ნაწილს და აფინანსებს მთელ რიგ ბატალიონებს სამხრეთ-აღმოსავლეთში (შეიძლება ითქვას, რომ ეს მისი კერძო არმიაა, რომელსაც უკრაინელ სამხედროებთან საკმაოდ რთული ურთიერთობა აქვს; ისინი ხშირად ცვლიან ბრალდებებს „განსაცდელში მიტოვებასთან“ დაკავშირებით). მიუხედავად იმისა, რომ კოლომოისკის სეპარატისტული ლოზუნგები არ გამოუფენია, მან დნეპროპეტროვსკის და მიმდებარე რაიონების ფაქტობრივ რეცესიას მიაღწია. ცენტრალური ხელისუფლებისა და მის მიერ დანიშნული მოხელეების გავლენა იქ ძალზე ფარდობითია, ფაქტობრივად, სიმბოლური. ამ ფაქტორის განეიტრალების გარეშე, პოროშენკო ვერ მოახდენს სახელისუფლო ბერკეტების კონცენტრირებას, რომელიც აუცილებელია ომის წარმატებული გაგრძელებისთვის. არის სხვა ფაქტორებიც: კოლომოისკის „ოლიგარქიული რესპუბლიკა“ დონეცკის კლანების აქტივების სრული მისაკუთრებისკენ მიისწრაფვის და საბოლოოდ დაარღვევს ძალთა ბალანსს სხვადასხვა გავლენიან ჯგუფს შორის, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია უკრაინის ცენტრალური ხელისუფლების სტაბილურობა. ასეა თუ ისე, უკრაინის მმართველი ელიტის შიგნით გაჩნდა ბზარი და კონფლიქტის გაღრმავება შეიძლება დასრულდეს, როგორც სრული ქაოსით, ისე დიქტატრული რეჟიმის ჩამოყალიბებით. ეს კი ძალზე სევდიანი ფინალი იქნება „მაიდნისთვის“, რომელიც დემოკრატიულ ლოზუნგებს აფრიალებდა.

**ამგვარად, სლავიანსკის დაკავებას ერთობ უცნაურად მოჰყვა ამობოხებულების ძალთა კონსოლიდირება და დაპირისპირება უკრაინის მმართველ ელიტაში. რაც შეეხება პროპაგანდისტულ ეფექტს, ის ნაწილობრივ ნიველირებული იქნა 11 ივნისის მოვლენებით, როდესაც ამბოხებულების „გრადებმა“ ათეულობით უკრაინელი სამხედროს სიცოცხლე შეიწირეს** (ზოგიერთი წყაროს ცნობით, მსხვერპლი შეიძლება ასს აღემატებოდეს). სამხედრო თვალსაზრისით, სლავიანსკის დაკავებამ, მიუახლოვა უკრაინელი სამხედროები დონეცკს, მაგრამ ვერ გადააწყვეტინა მნიშვნელოვანი ამოცანები: რუსეთ-უკრაინის საზღვრის სრული გაკონტროლება, კონფლიქტის ზონის სამხრეთში, ფაქტობრივად, ალყაშემორტყმული უკრაინული ქვედანაყოფების დებლოკირება, ლუგანსკსა და დონეცკს შორის კომუნიკაციების გაწყვეტა და ა. შ. რეგიონი ჰუმანიტარული კატასტროფის ზღარზეა, საფრთხე ასიათასობით მშვიდობიან მოქალაქეს ემუქრება. სამშვიდობო შეთანხმების ალბათობა მცირეა, მხარეთა ხედვა ძალზე შორია ერთმანეთისგან, ისინი თავს კუთხეში მიმწყვდეულად, როგორც ჩანს, ჯერჯერობით არ გრძნობენ და, სავარაუდოდ, შეეცდებიან, ახლო მომავალში გადამწყვეტ სამხედრო წარმატებებს მიაღწიონ. **ომი გრძელდება და უკრაინა იხდის ძალიან მაღალ საფასურს მისი ელიტის მრავალწლიანი დეგრადაციისა და დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობისთვის. მსოფლიო კი ძველი უკრაინის აგონიას უყურებს და ჯერჯერობით არავინ იცის, დაიბადება თუ არა საერთოდ ახალი უკრაინა და როგორი იქნება ის.**

**დიმიტრი მონიავა**



## ალეკო ელისაშვილი: ყველას ვთავაზობ, უარი ვთქვათ პერსონალურ ავტომობილებზე

**ავტომობილები, ძირითადად, თავმჯდომარისა და მოადგილეების ოჯახის წევრებს ემსახურება, — განაცხადა საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა. მისი თქმით, საკრებულოს ემსახურება 38 მანქანა, რომლისთვისაც გამოყოფილია 432 000 ლარის საწვავი, რაც დიდი თანხაა. ალეკო ელისაშვილი პერსონალურ ავტომობილებზე უარის თქმის ინიციატივით გამოდის.**

„პერსონალურ ავტომობილებზე ვთქვათ უარი, ავტოპარკი დარჩეს საკრებულოს და მისმა წევრებმა საქმის მიხედვით გამოიყენონ ავტომობილები, რომ არ იყოს ისე, როგორც იყო წინა მოწვევის საკრებულოში. მოდით, ახალი ქცევა და კულტურა შევთავაზოთ მოქალაქეებს. კოპენჰაგენის მერი დადის ველოსიპედით, მე ყველას ვთავაზობ, უარი ვთქვათ პერსონალურ ავტომობილებზე. ჩვენ ვცხოვრობთ ძალიან ღარიბ ქვეყანაში და თითოეულ თეთრს სჭირდება გაფრთხილება. ჩემი ინიციატივა ემსახურება იმას, რომ ფუფუნებაში არ იცხოვრონ ხელისუფლების წარმომადგენლებმა. ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლები თავიანთ პოსტებს ზომავენ არა პასუხისმგებლობით, არამედ „ჯიპების“ სიდიდით. ღარიბ ქვეყანაში საკრებულოს თავმჯდომარეები და დეპუტატები არ უნდა ცხოვრობდნენ ფუფუნებაში. ჩემი ინფორმაციით, საკრებულოს ემსახურება 38 მანქანა, რაც არანორმალურია. მხოლოდ საწვავში იხარჯება 432 000 ლარი. დღეში იხარჯება იმდენი საწვავი, რაც პატრულის ეკიპაჟისთვის. რეალურად, თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, მანქანას ძირითადად მოიხმარენ სამსახურში მოსასვლელად და წასასვლელად. დანარჩენი საწვავი იხარჯება მათი ოჯახის წევრების, ახლობლების აგარაკზე, მაღაზიებში, ბაზრობასა და სხვა ადგილებში წასაყვანად“, — განაცხადა ელისაშვილმა.

## ნიკოლოზ მჟავანაძე: უახლოეს პერიოდში გიგა ბოკერიას, გიორგი ბარამიძის და კახა ბენდუქიძის დაკავება იგეგმება

**„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, უახლოეს პერიოდში გიგა ბოკერიას, გიორგი ბარამიძისა და კახა ბენდუქიძის დაკავება იგეგმება, ვინაიდან მათ წინააღმდეგ გამოძიებას საფუძვლიანი მტკიცებულებები აქვს. ისინიც, უგულავას და სხვა მაღალჩინოსნების მსგავსად, ჩართულნი იყვნენ სახელმწიფო თანხების დატაცებაში.**

„უფლებადამცველთა გაერთიანება“ თბილისის საკრებულოს მოუწოდებს, ჩატარდეს მერიის ყველა რგოლის რევიზია იმ დარღვევებთან დაკავშირებით, რომლებზეც, წლებია, საუბრობენ. „გიგი უგულავასთან ერთად დედაქალაქის ბიუჯეტის მიმართ უყაირათო და დანაშაულებრივი პოლიტიკა სხვა მაღალჩინოსნებსაც ჰქონდათ. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება, თუ უახლოეს პერიოდში მათი პასუხისმგებლობის საკითხი დადგება“, — აცხადებს მჟავანაძე.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ, რომ არ მიგვიღებენ ნატოში. ეს უკვე ღიად განგვიცხადა თანამედროვე მსოფლიოს ორმა უმნიშვნელოვანესმა პოლიტიკურმა ფიგურამ: ობამამ და მერკელმა.“**



# აკაკი ასათიანი: აი, რა იქნება შედეგი — მოსახლეობას გარეკავენ, მიწა დარჩებათ უცხოელებს...

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერი აკაკი ასათიანი.**

**— ბატონო აკაკი, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ერთხმად აცხადებდნენ, რომ არჩევნების შემდეგ „ნაცმოძრაობა“ მოქკავშირის ბედს გაიზიარებდა და პოლიტიკური ასპარეზიდან გაქრებოდა, თუმცა დღეს ყველაფერი პირიქითაა — „ნაცები“ არა თუ არ იშლებიან, სულ უფრო აქტიურდებიან და ბოლო არჩევნებიც ამის ნათელი მაგალითია. თქვენი აზრით, რითაა ეს განპირობებული: მათი რეიტინგის ზრდით თუ რამე სხვა მიზეზით?**

— მგონი, აშკარად ჩანს, რაც ხდება და არა მგონია, დიდი აღმოჩენა გავაკეთო: „ნაციონალებს“ თუ ვინმე ჰყავთ გულწრფელი ამომრჩეველი, ეს, ალბათ, ხუთიდან ათ პროცენტამდეა და რაც მთავარია, მათ ზურგს უმაგრებს ორგანიზებული სტრუქტურა, რომელიც აწყობილი იყო იმ ფინანსურ საშუალებებზე, რომლებიც ამ პარტიას ჰქონდა იმავე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ყოფნით. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მარტო თბილისში დაახლოებით ათი ათას კაცამდე ჰყავდათ დასაქმებული და პლიუს კიდევ მათი ოჯახები, ახლობლები, ნათესავები... ეს არის საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა. ასე რომ, აქ არაფერი მოულოდნელი და გაუგონარი არ მომხდარა. ზოგადად, ბევრი ამომრჩეველი როცა მოვა, მათი პროცენტები შემცირდება, ხოლო თუ არ მოვა, მაშინ ყველა უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ეს პარტია კიდევ დიდხანს დარჩება პოლიტიკურ ასპარეზზე.

**— ყველა აღიარებს, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც, რომ ამომრჩეველთა აქტივობა ძალიან დაბალი იყო. თქვენი აზრით, რამ განაპირობა ეს?**

— ვფიქრობ, ეს იყო ხალხის გამაფრთხილებელი სიგნალი ხელისუფლებისთვის, — შეცვლი ქვეყანაში პოლიტიკურ ვითარებას, დაგიჭერ მხარს, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემდეგ არჩევნებზე მივალ და სხვას მივცემ ხმას. ახლა მთავარია, როგორ აღიქვა ეს ხელისუფლებამ და შეძლებს თუ არა იგი მდგომარეობის გამოსწორებას.

**— რაც შეეხება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც, ანუ „ნაცებიც“ და „ქოცებიც“ ერთხმად აცხადებენ, რომ საქართველომ ისტორიული არჩევანი გააკეთა, რომ მალე აქ რაღაც არნახული აღმშენებლობა დაიწყება და ქვეყანა ეკონომიკური წინსვლის გზას დაადგება. თქვენი აზრით, რას უნდა ველოდოთ, რა პერსპექტივებს გვიქმნის რეალურად ეს შეთანხმება?**

— არ ვიცი, რა აღმშენებლობაზე საუბრობს ხელისუფლება, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: **უახლოეს 2-3 წელიწადში, რაც უნდა მოხდეს, ჩვენ ვერანაირ სიკეთეს ვერ ვიგრძნობთ. აქ, მინიმუმ, 5 წელი მაინც არ უნდა ველოდოთ კონკრეტულ შედეგებს და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ყველაფერი იდეალურად, სწორად გაკეთდება.**

ნუ დაგავიწყდებათ, რომ თურქეთმა ასეთივე ასოცირების ხელშეკრულება გააფორმა სამოციან წლებში და, სანამ არ მოვიდა თურგუთ ოზალის მთავრობა, რომელმაც თვითონ ქვეყნის შიგნით გააკეთა საქმე, მანამდე თურქეთს არაფერი დატყობია. ასე რომ, ეს ასოცირების ხელშეკრულება თავისთავად აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს, ის შეიძლება რაღაცას ნიშნავდეს იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის შიგნით დალაგდება სიტუაცია და შეიქმნება ნორმალური გარემო, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

**— კი, მაგრამ ის, რომ ხუთასმილიონიანი ბაზარი გაგვეხსნა, ეს არაფერს ნიშნავს?**

— რეალურად ეს ხელშეკრულება პრობლემაა ჩვენთვის და ამას მომავალში დავინახავთ, ანუ რას ვგულისხმობ, ხუთასმილიონიანი ბაზარი კი გაგვეხსნა, მაგრამ ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ჩვენგან გატანილი ყველა პროდუქტი იბეგრება: ხილი, ბოსტნეული, ყურძენი... სამაგიეროდ არ იბეგრება ბანანი და ანანასი. ახლა რა გამოდის, ეს ყველაფერი არის გათვლილი იმათ სასარგებლოდ.

**— და როგორ ფიქრობთ: ხელისუფლებას არ შეეძლო, თავისი პირობები წაეყენებინა ევროკავშირისთვის?**

— საქმეც ესაა. ესენი საერთოდ არ შეეწინააღმდეგნენ არაფერში, პირდაპირ, ბრმად მიიღეს მათი შემოთავაზებული დოკუმენტი. რომ ემსჯელათ, ეკამათათ, ალბათ, რაღაც ანგარიშს გაგვიწევდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, არ აღმოჩნდა ხელისუფლებაში ადამიანი, რომელიც ამას გაბედავდა.





## ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა თუ იქნება, საქართველოში ქართველი სანთლით საძებარი გახდება...

**— გამოდის, ხუთასმილიონიანი ევროპისთვის სამმილიონიანი ქართული ბაზარი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამის გამო ასოცირების ხელშეკრულება გაგვიფორმეს?**

— ცხადია, აქ მარტო ბაზრის ამბავი არ არის, მაგრამ, რა თქმა უნდა, ესეც გარკვეული ფაქტორია. აბა, ერთი ჰკითხეთ უნგრეთს, რატომაა მათი დღევანდელი პრემიერი ორბანი ანტიევროპულად განწყობილი და რატომ ცდილობს რუსეთთან დაახლოებას? იმიტომ, რომ, როგორც კი შევიდნენ ევროკავშირში, ქვეყნის ეკონომიკამ ნგრევა დაიწყო...

**— გვემუქრება ჩვენც იგივე საფრთხე?**

— ჩვენ შეიძლება უარესი დაგვემართოს, თუ პოლიტიკური ხელმძღვანელობა გონს არ მოვა. გონს მოსვლაში ვგულისხმობ ისეთი დაუფიქრებელი განცხადებებისგან თავის შეკავებას, რომლებიც ბოლო ცხრა წლის მანძილზე, ფაქტობრივად, ყოველდღე გვესმოდა. ეს ეხებოდა იმავე ევროინტეგრაციას, ნატოში შესვლას და ა. შ. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ, რომ არ მიგვიღებენ ნატოში. ეს უკვე ღიად განგვიცხადა თანამედროვე მსოფლიოს ორმა უმნიშვნელოვანესმა პოლიტიკურმა ფიგურამ: ობამამ და მერკელმა. მეტი რაღა გვინდა ახლა, ღმერთი არ გამოგვეცხადება და არ გვეტყვის ამას.

**— ძალიან დიდი მოლოდინი არსებობს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შემოღებასთან დაკავშირებითაც. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ეს იქნება დამღუპველი საქართველოსთვის. კერძოდ, რას ვგულისხმობ: სულ ახლახან მორატორიუმი რომ მოხსნეს უცხოელებზე მიწის მიყიდვაზე, ეს გამოიწვევს საშინელ შედეგს — ყველაფერს ისინი იყიდიან; უვიზო მიმოსვლა თუ იქნება ევროკავშირთან, ჩათვალეთ, რომ საქართველოში ქართველი სანთლით საძებარი გახდება. აი, რა შედეგს მივიღებთ — მოსახლეობას გარეკავენ, მიწა დარჩებათ უცხოელებს. მტერი რომ შემოდიოდა ხოლმე, ის სხვას კი არაფერს აკეთებდა აქ...

**— ამ ყველაფერთან ერთად, კრემლიც, ალბათ, გადახედავს ჩვენთან ეკონომიკურ ურთიერთობას. ლავროვმა თქვა კიდეც ადრე, თუ კი საქართველო, მოლდოვა და უკრაინა ასოცირების ხელშეკრულებას გააფორმებენ, რუსეთს თავდაცვითი ზომების მიღებაზე მოუწევს ფიქრიო.**

— რუსეთთან დაკავშირებით ამ ხელისუფლების პოლიტიკაში ერთადერთი ის მომწონს, რომ ლანძღვა-გინება, შეურაცხმყოფელი და უაზრო განცხადებების კეთება შეწყდა. ამას, ბუნებრივია, ისინიც ხედავენ და ახლა თვითონაც თავშეკავებულად ლაპარაკობენ ჩვენზე.

რაც შეეხება ურთიერთობების გადახედვას, რა თქმა უნდა, რუსეთი აწი ბევრად უფრო ფრთხილი იქნება, მას მოუწევს გარკვეული თავდაცვითი ეკონომიკური ზომების მიღება ჩვენთანაც და უკრაინასთან დაკავშირებითაც, მაგრამ ამაში საგანგაშო არაფერია, ეს არის აბსოლუტურად ლოგიკური რეაქცია სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც არ არის ევროკავშირის წევრი, არც ისწრაფვის ამ გაერთიანებისკენ და ცდილობს, საკუთარი წესებით ითამაშოს ყველასთან, იქნება ეს ევროპა, ამერიკა თუ რომელიმე სხვა გეოპოლიტიკური ოჯახი.

**— ღარიბაშვილმა ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა, მადლობელი ვართ რუსეთის, რომ ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებაში ხელი არ შეგვიშალესო. თქვენი აზრით, რეალურად შეეძლოთ მათ ამ პროცესის შეფერხება?**

— რუსეთი რომ ამ პროცესში არ ჩაერეოდა, ეს იმთავითვე ცხადი იყო, მაგრამ „ნაციონალების“ პროვოკატორობის ამბავი ხომ იცით, ზოგიერთმა ცხელმა ტვინმა იმდენი იძახა, მოსკოვიდან საფრთხეს უნდა ველოდოთო, მართლა გაჩნდა მოლოდინი, რომ რაღაც შეიძლებოდა მომხდარიყო. სინამდვილეში მოსკოვს ეს არ სჭირდებოდა და არც ახლა სჭირდება. უბრალოდ, ამ შიშის დანერგვით ვიღაც ხელს ითბობს. თავის დროზე ასეთი შიში დანერგა შევარდნაძემ, იმიტომ, რომ ასე აძლევდათ ხელს მისიანებს. სამაგიეროდ, დასავლეთიდან მიიღეს მილიონიანი კრედიტები, რომლებიც, რა თქმა უნდა, თავად შეჭამეს.

**— სააკაშვილმა რა მიიღო?**

— სააკაშვილმა მიიღო ყველანაირი მხარდაჭერა — დაწყებული პოლიტიკურიდან, დამთავრებული ფინანსურით. წარმოიდგინეთ ახლა, კაცს, რომელიც ქუჩაში სასაკლაოს მოაწყობს, მერე დემოკრატიის შუქურას უწოდებ, ამაზე მეტი მხარდაჭერა რაღა გინდა?! გარდა ამისა, მას გადაუხადეს ძალიან დიდი თანხა, რათა ვიღაც-ვიღაცების მითითებებით ემოქმედა. თუნდაც 2008 წლის აგვისტო რომ ავიღოთ, იმ ომში სააკაშვილმა 5 მილიარდი მიიღო...

**— ვისგან?**

— ვისგან მიიღებდა? ამერიკისგან. ესე იგი რაღაც შეუსრულა მათ, ხომ? ახლა მოდი, ასე შევხედოთ ამ ყველაფერს: ვთქვათ მე და შენ მივდივართ რაღაც წვეულებაზე და შენ მეუბნები: კაკო, აქ კარგი ხალხია, კარგი საზოგადოებაა და არ იჩხუბოო. კარგი-მეთქი, გეუბნები, მაგრამ, შევედით თუ არა, კიდეც ვიჩხუბე, დავლეწე ყველაფერი და შეგარცხვინე. ამის შემდეგ გამოხვალ და ოთხ ლარს მომცემ ტაქსის ფულს? კარგად მეყოლეო, ხომ მეტყვი? მაგრამ თუ ჩხუბის მერე ოთხას ლარს მომცემ, — ეს შენ, კაკო, ყოჩაღო. რა გამოვა? — შენ წაგიქეზებივარ, რომ მეჩხუბა, აბა, რაში მაძლევ ამ ფულს?!

მათ ხუთი მილიარდი მისცეს სააკაშვილს, ეს ხომ, ფაქტობრივად, დანაშაულის აღიარება იყო?! ამით ხომ გაიშიფრა ყველაფერი?!

**— ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი, მაგალითად, ქალბატონი ფანჯიკიძე და ბატონი პეტრიაშვილი, ხშირად აცხადებენ, რომ რუსეთს საქართველოსთან დაკავშირებით ბერკეტები არ გააჩნია. რას ფიქრობთ ამაზე? რამდენად ადეკვატურია ეს შეფასება?**

— ეს შეფასება, რბილად რომ ვთქვათ, ლოგიკას მოკლებულია. **რუსეთი საქართველოზე კი არა, მთელ მსოფლიოზე ახდენს ზემოქმედებას. აგერ იმავე უკრაინაში რა ხდება ან სირიაში რა მოხდა, ყველამ ვნახეთ. ამიტომ, ჩემი აზრით, ჩვენ ახლა ყველაზე მეტად გვჭირდება თავშეკავება, ანუ ხმამაღალი განცხადებები და ქადილი, რომ აი, თვით რუსეთი რომ რუსეთია, ისიც კი ვერ გვაჩერებს, არაფერს მოგვცემს.** ამან შეიძლება ისევ დაგვაბრუნოს დაძაბულობის რეჟიმში. ახლა ისევ ბერკეტებს რაც შეეხება, ღმერთმა ნუ ქნას, რუსეთმა რაღაც მოქმედება გადაწყვიტოს ჩვენს წინააღმდეგ, თორემ ბერკეტებს და შესაძლებლობებს მერე ნახავთ... არა მგონია ეს არ ესმოდეთ „ქართულ ოცნებაში“ და მიკვირს, როცა არაადეკვატურ, გაუაზრებელ განცხადებებს ვისმენ.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**„მიუხედავად იმისა, რომ თვალყურს სულ ვადევნებ მის ყველა აქტივობას, არ შემიძლია იმის თქმა, თუ რა იცის კარგად ბიძინა ივანიშვილმა. ის იმდენად წინააღმდეგობრივი და პრიმიტიულია, რომ აუცილებლად ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ მის საქმიანობას, არ უნდა მივცეთ საშუალება, სერიოზულად ჩაერიოს ქვეყნის მართვის პროცესში“.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

თემურ ქორიძე:

# ივანიშვილის მთელი ჟურნალისტური საქმიანობა იქნება ტიპური ბოლშევიკური მედიის რესტავრაცია

**ბიძინა ივანიშვილი ჟურნალისტიკაში მიდის. ამ ახალი ამბით კიდევ ერთხელ შეძლო მან ქართული საზოგადოების გაკვირვება. მისმა გადაწყვეტილებამ აზრთა სხავადასხვაობა გამოიწვია: ზოგი ამბობს, რომ ის ამით ერთობა; ზოგი თვლის, რომ ეს ბუნებრივი იყო, რადგან საზოგადოებაზე ზემოქმედების მოხდენა უნდა. რატომ გადაწყვიტა ივანიშვილმა შოუმენობა? ამ თემაზე სასაუბროდ „საქართველო და მსოფლიო“ ცნობილ ლიტერატორს, ეროვნული მთავრობის ყოფილ წევრს — თემურ ქორიძეს ესტუმრა.**




**— ბატონო თემურ, ბიძინა ივანიშვილი მოვიდა, რამდენიმე მილიონად ეს ქვეყანა თუ პოლიტიკოსები შეისყიდა, პრემიერი გახდა, მერე ქვეყნის პირველი მოქალაქეობა დაიჩემა, ახლა კი სურს, შოუმენი გახდეს. როგორ ფიქრობთ, რა უნდა ამ ადამიანს?**

— როგორც მოქალაქეთა უმრავლესობა, მიმდინარე პროცესებს მეც ვაკვირდები, განვიცდი, ვაანალიზებ და შეძლებისდაგვარად დასკვნებსაც ვაკეთებ. საზოგადოების ასეთი ინტერესი ივანიშვილის ბოლო განცხადებისადმი, რომელიც ჟურნალისტიკაში წასვლას ეხება, გასაკვირი არ არის.

**ჟურნალისტიკას, პირობითად, მეოთხე ხელისუფლებას უწოდებენ, ერთი ხელისუფლებიდან ივანიშვილმა გადაინაცვლა სამოქალაქო სექტორში, რომელიც ასევე საზოგადოებრივ ხელისუფლებას წარმოადგენს, ხოლო შემდეგ ძალიან სწრაფად, იმაზე სწრაფად, ვიდრე შეიძლებოდა წარმოგვედგინა, გადაწყვიტა, ჟურნალისტიკაში გაეგრძელებინა საქმიანობა. სამოქალაქო სექტორში მას არაფერი გაუკეთებია, თუმცა ამბობდა, სამოქალაქო სექტორში იმისთვის მიდის, რომ ხალხს ასწავლოს ხელისუფლების კონტროლი და კრიტიკა. ვფიქრობ, გადამეტებული წარმოდგენა აქვს საკუთარ შესაძლებლობებზე, რადგან ჩვენს საზოგადოებას, რაც კარგად ეხერხება, ხელისუფლების კრიტიკაა. პრობლემა ისაა, რომ ხელისუფლება ამ კრიტიკას არ ისმენს. საზოგადოება ამ კრიტიკისთვის მადლობას იმსახურებს და არა უსაგნო ქირქილს.**

ივანიშვილის ჟურნალისტიკაში გადაბარგებას რაც შეეხება, ვიცით, მისი დამოკიდებულება ჟურნალისტების მიმართ, განსაკუთრებით ბოლო შეხვედრაზე სასტიკად დატუქსა ჟურნალისტები იმის გამო, რომ ხელისუფლებას აკრიტიკებენ. მისი აზრით, მუდმივი კრიტიკა მინისტრებს მუშაობის სურვილს დაუკარგავს, ამიტომ მოითხოვა, — შეაქეთ. მსგავსი რამ, ანუ ჟურნალისტების ისეთი დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი, როგორიც ივანიშვილს სურს, საზოგადოებისთვის მუხრუჭი იქნება. **ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ვიტყვი, რომ ივანიშვილის ჟურნალისტური საქმიანობისგან რაიმე პოზიტიურს არ ველი. მე არ მაქვს ივანიშვილის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე მაღალი აზრი. საამისოდ არგუმენტირებული საფუძველი გამაჩნია და, თუ საჭირო გახდება პოლემიკა, ამ არგუმენტებს დავეყრდნობი. გავეცანი მის ინტერვიუებს, შეხვედრებს ამა თუ იმ თემაზე, წიგნები ჯერ არ დაუწერია, თუმცა გვპირდებოდა... ამიტომ, ბუნებრივია, რომ მის შესაძლებლობებს საკმაოდ სკეპტიკურად ვუყურებ.**

ბიძინა ივანიშვილი თავის მთავრობას ორ ნაწილად ყოფს — კარგი და ძალიან კარგი, სხვა კლასიფიკაცია მისთვის არ არსებობს. მას საზოგადოების წინაშე არც ერთხელ არ შეუფასებია კრიტიკულად მიმდინარე პროცესები. არადა, პროცესები იმდენად ცუდად მიმდინარეობს, რომ შეშფოთების საფუძველი ნამდვილად არსებობს. **ივანიშვილი, თითს თომას მორივით შორეულ სივრცეში იშვერს, ხან კი კარლ მარქსივით — შორეულ მომავალში. გამუდმებით საუბრობს, რომ 20 წელიწადში ქვეყანა აშენდება. 2016 წელს საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს და ივანიშვილი ხედავს, რომ ქართული საზოგადოება არ არის მისი მთავრობით კმაყოფილი. ჟურნალისტებსაც ამიტომ უწყრება და თითს უქნევს, რატომ პოზიტივს ვერ ხედავთო.**

**ივანიშვილი ჟურნალისტიკაში იმიტომ მიდის, რომ მთავრობას ადვოკატობა გაუწიოს, სხვაგვარად მისი ამ გადაწყვეტილების აუცილებლობას ვერ ვხედავ, რადგან, ხელისუფლების გაკონტროლება თუ სურდა, ყველაზე კარგად ამას პრემიერმინისტრი აკეთებს, მისი ჟურნალისტიკაში მოსვლა იმას ნიშნავს, რომ ერთი ჰიმნოგრაფი შეემატოს მინისტრთა კაბინეტს. ის დარევია ყველა განსხვავებული აზრის მქონე გამოცემებსა და ტელეკომპანიებს. ის იმდენად განიცდის თავისი პირმშოების მდგომარეობას, რომ გასაკვირი არ არის მისი ჟურნალისტიკა.**

ერთი ასეთი ამბავი მახსენდება. **ლუდოვიკო მეთოთხმეტემ გადაწყვიტა, პოეზიაშიც ეცადა ბედი და თავის ლექსების გასაცნობად ბუალო მიიწვია. გაეცნო ლექსებს ბუალო და მეფეს ასეთი რამ უთხრა: „თქვენო უდიდებულესობავ, თქვენთვის შეუძლებელი არაფერია. აი, თქვენ მოისურვეთ, დაგეწერათ უხეირო ლექსები და შესანიშნავად გაართვით თავი ამ საქმეს“. ასევე, ბიძინა ივანიშვილის მსგავსი ფინანსური შესაძლებლობების მქონე ადამიანისთვის შეუძლებელი არაფერია და ჩვენ ეს დაგვანახა კიდეც.**

**— ეს ყველაფერი გასაგებია, ბატონო თემურ, მაგრამ მაინტერესებს, ამის იქით რა იქნება? ამას წინათ ვილაცამ იხუმრა, ალბათ, დიზაინერი გახდებაო...**

— ბუნებრივია, რომ ეს კითხვა გიჩნდებათ, **რა იქნება ხვალ? ალბათ, გახსოვთ, ჩაპლინის გენიალური ფილმი „დიდი დიქტატორი“, სცენა, სადაც ბუშტს ათამაშებს და ამ ბუშტზე დედამიწაა გამოსახული.**

ივანიშვილმა საქართველო იყიდა, თანაც ძალიან იაფად, სულ რაღაც 2 მილიარდ ლარად და ათამაშებს კიდეც, მაგრამ, თამაშით მარტო თვითონ რომ არ ტკბება, ამის კონკრეტულ მაგალითს გეტყვით. ერთი პიროვნება, რომელიც ივანიშვილის მრჩეველი იყო, ამჟამად სამოქალაქო სექტორშია და თავისუფალი აზრის მამამთავრად ითვლება, ასეთ რამეს წერს: „არ შეიძლება პრეზიდენტი ეკამათებოდეს ბიძინა ივანიშვილს“. მგონი ეს შეშფოთებას უკვე იწვევს, მაგრამ მოითმინეთ, ეს მხოლოდ დასაწყისია ამ მარაზმისა, რომელშიც ქართველი საზოგადოება იმყოფება. საზოგადოებაში მსგავსი აზრი როდესაც გაკრთება და ამას ხალხი დუმილით ხვდება, იქ, ძალიან ცუდად არის საქმე. გავაგრძელებ ისევ ამ ავტორის ციტირებას: „ივანიშვილმა რომ მითხრას, ადი მესამე სართულზე და გადმოხტიო, გადმოვხტები“, — ეს ხდება არა, კიმ ჩინ ირის ჩრდილოეთ კორეაში, არამედ საქართველოში, რომელმაც ახლახან ხელი მოაწერა ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას. აი, კიდევ ერთი ამ ადამიანის ნააზრევითაგანი: „ბიძინა ივანიშვილის ზურგის გარეშე არავინ არის ვინმე ამ ქვეყანაში“. თავი დავანებოთ ჩიქორთულს, ყურადღება გავამახვილოთ აზრზე. ეს არის ხელმოწერა ადამინის თავისუფების ლიკვიდაციაზე. ჩვენ არათუ ევროპას ვუახლოვდებით, არამედ ღრმა უფსკულისკენ მივექანებით. ველოდი, რომ ბიძინა ივანიშვილი ამ მარაზმს გამოეხმაურებოდა ან შეიძლება ჟურნალისტიკაში მოსვლის შემდეგ მაინც თქვას ამის შესახებ რამე, წინააღმდეგ შემთხვევაში, თურმე უნდა შევეგუოთ, რომ ივანიშვილის ზურგის გარეშე „არავინ არის ვინმე ამქვეყნად“. პირადად მე არც თქვენზე მაქვს ასეთი აზრი და არც ის მგონია, რომ ივანიშვილის გარეშე რამეს არ წარმოვადგენ.

თვით მარქსისტულ მოძღვრებაშიც კი არ წამიკითხავს ადამიანის შეურაცხმყოფელი მსგავსი შეხედულებას.

ივანიშვილზე საუბარი ძალიან გაგვიგრძელდა, მაგრამ თავს თავად არ გვავიწყებს — ხან რა სახით გვევლინება და ხან რა სახით.

**ბიძინასნაირი ფინანსური შესაძლებლობების ადამიანს ნამდვილად შეუძლია, ქართულ ჟურნალისტიკას კარგი საქმე გაუკეთოს. მას შეეძლო ჟურნალისტური გამოძიება ჩაეტარებინა ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც ბურუსით არის მოცული. ასევე, არის ისეთი სოციალურ-პოლიტიკური თემები, რომელთაც კვლევა-ძიება სჭირდება. ივანიშვილს ამის შესაძლებლობა აქვს, მაგრამ მას ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს ჟურნალისტიკაზე და დარწმუნებული ვარ, რომ ამ სიტყვის ეტიმოლოგიაც არ იცის, რადგან, რასაც ის ჟურნალისტებისგან მოითხოვს, ძალიან ინფანტილური დამოკიდებულებაა. მას ყველაფერზე ზედაპირული აზრი გააჩნიაა.**

**— ბატონო თემურ, თქვენი აზრით, რა იცის კარგად ბიძინა ივანიშვილმა? მის რომელ გამოცდილებას შეიძლება, რომ ვენდოთ და დავეყრდნოთ?**

— ვერ გეტყვით, **მიუხედავად იმისა, რომ თვალყურს სულ ვადევნებ მის ყველა აქტივობას, არ შემიძლია იმის თქმა, თუ რა იცის კარგად ბიძინა ივანიშვილმა. ის იმდენად წინააღმდეგობრივი და პრიმიტიულია, რომ აუცილებლად ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ მის საქმიანობას, არ უნდა მივცეთ საშუალება, სერიოზულად ჩაერიოს ქვეყნის მართვის პროცესში.**

**— როგორ შეიძლება ამ ადამიანმა საქართველოში თავის მოღვაწეობა დაასრულოს?**

— ვფიქრობ, **მომავალი წლიდან საქართველოში დიდი უკმაყოფილების ტალღა დაიწყება, რადგან ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომლის გაუმაძღრობაც თვალში საცემი გახდა, მათი სიხარბის ალაგმვისთვის არავითარი მორალური რესურსი არ არსებობს და მთავრობის წევრების სიხარბის დასამუხრუჭებლად საჭირო გახდა კანონების მიღება. არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში მსგავსი საჭიროება არ ყოფილა, არსად არ ხდება, რომ ხელისუფალს კანონის ძალით გააგებინონ, რომელ მანქანაში უნდა ჩაჯდეს. მათ ამ საქციელს კორუფციისკენ ლტოლვა ჰქვია, ხრწნის გზაზე დადგომა. ეს არ არის ხელისუფლება, რომელიც დღეს საქართველოს სჭირდება.**

ვილაც გამოვა, უფრო ზუსტად ივანიშვილი, და დაიწყებს, ესა და ეს ხომ გაკეთდაო, არ არსებულა დედამიწაზე ხელისუფლება, რომელიც არ ცდილობდა, თუნდაც ეგოისტური მოსაზრებიდან გამომდინარე, პროგრესის ნიშნები არ შემოეტანა. სურს თუ არა ხელისუფლებას, საზოგადოებას ერთ წერტილზე მაინც ვერ გაყინავს, ის მუდმივ ცვალებადობაშია. რაზეც დღეს ხელისუფლება გველაპარაკება, ეს ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში მოხდებოდა.

ბიძინა ივანიშვილი ხშირად მიგვითითებს და გვმოძღვრავს, რომ საქართველოს კიდევ ოცი წელი სჭირდება, რომ ის დაემსგავსოს მოწესრიგებულ ქვეყანას. გეტყვით, რომ ოცი წელი ამისთვის საკმარისი არ არის, შესაძლებელია 50 წელი დასჭირდეს. მინდა, ზვიად ძიძიგურის სააკაშვილის გუნდისადმი წაყენებული მოთხოვნა გავიხსენო — „შედეგი გვინდა დღესვე და აქვე!“.

ის, რომ ოცი თუ მეტი წლის შემდეგ საქართველო უკეთესი იქნება, ბიძინას დამსახურება არ იქნება, საზოგადოება თავად ისწრაფვის განვითარებისა და სიცოცხლისკენ. არავის სჭირდება იმის სწავლება, საქართველო 20, 30 და 100 წლის შემდეგ წალკოტი რომ იქნება, უბრალოდ, ეს არ არის შეღავათი იმ ახალგაზრდებისთვის, რომელთაც დღეს ცხოვრება სწყურიათ. ეს ხელისუფლება არ არის დღევანდელ მოთხოვნათა შესაფერისი, ამიტომ ივანიშვილს მეტისმეტი პრეტენზია ნუ ექნება.

ივანიშვილის მთელი ჟურნალისტური საქმიანობა ტიპური ბოლშევიკური მედიის რესტავრაცია იქნება. ივანიშვილს სურს ქართულ ჟურნალისტიკაში ქამუშაძის როლის შესრულება. ბიძინა ივანიშვილი თავის შექმნილ ტელევიზიებს დიდ პატივს სცემს, თუმცა ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ მის მიერ შექმნილი ტელევიზიები, სამარცხვინოა. მათ არც გემოვნება ეტყობათ და არც შინაარსი. სამარცხვინოზე მატად, სასაცილოა, მისი ტელეეთერი კოტიკო თოლორაიასთან ერთად. ივანიშვილი სამარცხვინო იქნება ქართულ ჟურნალისტიკაში.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მერიის მუშაობის კომპლექსური, დოკუმენტური რევიზია უნდა ჩატარდეს კონტროლის პალატასა და სხვა უფლებამოსილ ორგანოებთან ერთად. საერთოდ, სპეციალური საგამოძიებო კომისიაც უნდა შეიქმნას, რომელიც საზოგადოებრივი ნდობით იქნება აღჭურვილი და რომლის დასკვნებიც გასაჯაროვდება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავმიჯნოთ სამეურნეო დანაშაული პოლიტიკისგან.“

# პროკურატურაში სანდრა რულოვსსაც დაიბარებენ



ორიოდე დღის წინათ პროკურატურაში სააკაშვილის დაცვის ყოფილი უფროსი თემურ ჯანაშია და სანდრა რულოვსის დაცვის ყოფილი თანამშრომელი ვალერი კილაძე, აგრეთვე, ყოფილი პირველი ლედის დამლაგებელი, ქალბატონი გავაზ კულოიანი დაიბარეს საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიზნით. საქმეს, რომელზეც ეს ადამიანები პროკურატურამ დაჰკითხა, გრიფი „საიდუმლო“ ადევს. თემურ ჯანაშიას თქმით, გამოძიებას კითხვები დაცვის სპეციალური სამსახურის საქმიანობაზე ჰქონდა. „ხარჯებზე იყო, ზოგადად, საუბარი; არამიზნობრივია თუ მიზნობრივი, ეს უკვე გამოძიების პრეროგატივაა“, — გვითხრა ჯანაშიამ. ქალბატონმა გავაზ კულოიანმა კი ჩვენთან საუბარი არ ისურვა.

ჩვენ სააკაშვილის ადმინისტრაციის ყოფილ მოადგილესა და საკრებულოს მოქმედ დეპუტატს — ირაკლი ნადირაძეს ვესაუბრეთ. მისი თქმით, არჩევნების მეორე ტურის დამთავრების შემდეგ დაიწყო პოლიტიკური რეპრესიების ახალი ტალღა. „რაც შეეხება ბრალდებას უკანონო ხარჯებთან დაკავშირებით, ეს სრული აბსურდია. ვურჩევ ხელისუფლებას, თავის უკანონო ხარჯებს, თავის 138-მილიონიან პრემიებს და 200-ათასლარიან ბანკეტებს მიხედოს. არ ვიცი, დამლაგებლის დაბარება რაში დასჭირდათ. როგორც ჩანს, ხდება ზეწოლა და დაშინება, რათა ამ ადამიანებს გამოტყუონ რაიმე ინფორმაცია. თემურ ჯანაშია არამხოლოდ სააკაშვილის, არამედ შევარდნაძის დაცვის წევრიც იყო და დარწმუნებული ვარ, ყველა საბუთი წესრიგში აქვს. ალბათ, ყველას დაიბარებენ, ვისაც რაიმე შეხება ჰქონია სააკაშვილთან. **სანდრა რულოვსის დაცვის უფროსიც იყო დაბარებული და არ გამოვრიცხავ, ქალბატონი სანდრაც დაიბარონ პროკურატურაში.** ვიმეორებ: პროკურატურაში დასაბარებელი ადამიანების რაოდენობა, ალბათ, გაიზრდება“, — გვითხრა **ირაკლი ნადირაძემ.** რას ედავება პროკურატურა სააკაშვილის დაცვის ყოფილ თანამშრომლებს, რატომ ადევს საქმეს გრიფი „საიდუმლო”, აპირებს თუ არა ლაშა თორდია ოცნებაში გადაბარგებას და ვის დააკავებენ უგულავას შემდეგ? „საქართველო და მსოფლიოს“ ამ საკითხებზე „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი **სოსო მანჯავიძე** ესაუბრა.



## სოსო მანჯავიძე:

## ჩემი ინფორმაციით, გიგა ბოკერიას დაიჭერენ. აქ აურზაური არა მხოლოდ დასავლელი პარტნიორების მხრიდან ატყდება, არამედ კოალიციის მხრიდანაც — ბოკერიას კოალიციაშიც ბევრი მოკავშირე ჰყავს

**— რამდენიმე დღის წინათ პროკურატურაში სააკაშვილისა და სანდრა რულოვსის დაცვის ყოფილი თანამშრომლები, ასევე ყოფილი პირველი ლედის დამლაგებელი ქალბატონი. როგორც ამბობენ, დაცვის სამსახურისთვის ბიუჯეტის თანხების უკანონოდ გამოყოფა და არამიზნობრივი ხარჯვა სააკაშვილის დაკვეთით ხდებოდა და ხმარდებოდა სააკაშვილის ვოიაჟებს, მისი შვილის სწავლის დაფინანსებას და ა. შ. აი, ამიტომ დაიწყო გამოძიება. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ და კიდევ ვინ შეიძლება დაიბაროს პროკურატურამ?**

— თუ გახსოვთ, ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ საუბრობდა. ივანიშვილი თავის ერთ-ერთ წერილში (რომელიც მან ევროკავშირის თავმჯდომარეს მისწერა) აღნიშნავდა, რომ სააკაშვილი ხარჯავდა შავ ფულს, დაახლოებით ნახევარ მილიონს თითო მოგზაურობაზე. ამან იმხანად დასავლურ წრეებში მწვავე რეაქცია გამოიწვია, მტკიცებულებებსაც კი სთხოვდნენ ივანიშვილს. **სააკაშვილი რომ შავ ფულს ხარჯავდა, ჩვენც მშვენივრად ვიცოდით, მაგრამ ეს ფული კონკრეტულად რომელი უწყებიდან გამოიყოფოდა ან როგორ იგდებდა ხელში, ახალ ხელისუფლებას უნდა გამოეძიებინა.** როგორც ჩანს, ახლა დადგა ეს დრო, ანუ არჩევნების მეორე ტურის შემდეგ და გამოძიებაც დაიწყო.

**— არჩევნების ჩატარებიდან მეორე დღეს ეს ადამიანები პროკურატურაში დაიბარეს, რაც „ნაცებმა“ ზეწოლად და დაშინებად მონათლეს...**

— ხელისუფლებას უკვე აღარ ეშინია სააკაშვილის ლობისტების და დაგროვილი საგამოძიებო მასალებს, რომლებიც ჰქონდა (მოგეხსენებათ, პროკურატურა მუშაობდა ამაზე), მსვლელობა მისცა. მე ასე ვხსნი ამას და პროცესსაც დადებითად ვუყურებ, რადგან სააკაშვილი, სხვა მრავალ დანაშაულთან ერთად, საბიუჯეტო სახსრების ფლანგვითაც იყო დაკავებული. რაც შეეხება „ნაციონალების“ ბჟუტურს, ახლა საჭიროა, გაკეთდეს შემდეგი (მე დავაყენებ კიდეც ამ საკითხს საკრებულოში და დადგენილების პროექტსაც შევიტან): **მერიის მუშაობის კომპლექსური, დოკუმენტური რევიზია უნდა ჩატარდეს კონტროლის პალატასა და სხვა უფლებამოსილ ორგანოებთან ერთად. საერთოდ, სპეციალური საგამოძიებო კომისიაც უნდა შეიქმნას, რომელიც საზოგადოებრივი ნდობით იქნება აღჭურვილი და რომლის დასკვნებიც გასაჯაროვდება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავმიჯნოთ სამეურნეო დანაშაული პოლიტიკისგან.**

ცნობილია, რომ თბილისის მერიას უამრავი დარღვევა ჰქონდა უგულავას მერობის პერიოდში. ეს ყველაფერი უნდა დადგინდეს, მაგრამ არ უნდა ატარებდეს შურისძიების ხასიათს.

**— ითქვა, რომ პროკურატურა ყოფილ პირველ ლედისაც დაიბარებს — არის კი ეს მოსალოდნელი? გარდა ამისა, სააკაშვილს ესპანელი მზარეულისთვის ბიუჯეტიდან სოლიდური თანხა მიუციაო, გსემენიათ რაიმე ამის შესახებ? თქვენი ინფორმაციით, ვის დააკავებენ უგულავას შემდეგ?**

— დაიბარებენ თუ არა პროკურატურაში სანდრა რულოვსს, არ ვიცი. ჩემი ინფორმაციით, **შემდეგი იქნება გიგა ბოკერია, რადგან უშიშროების საბჭოში მისი მოღვაწეობა ამის საფუძველს იძლევა. ეს ძალიან სერიოზული საკითხია, აქ აურზაური არა მხოლოდ დასავლელი პარტნიორების მხრიდან ატყდება, არამედ კოალიციის მხრიდანაც** — მას ბევრი მოკავშირე ჰყავს კოალიციაშიც.

**— ვის გულისხმობთ — ალასანიას?**

— გვარების დასახელებისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ. ერთს ვიტყვი: **ალასანიასა და ბოკერიას ფლირტზე ბევრი გვსმენია. ბოკერია ღარიბაშვილის გუნდის მოწინააღმდეგეების კონსოლიდაციას ცდილობს. ის არის მათი, ასე ვთქვათ, სული, გული და ტვინი და საერთაშორისო კონტაქტების კოორდინატორიც.**

**— როგორ ფიქრობთ, რატომ ადევს საქმეს გრიფით “საიდუმლო“? იურისტების თქმით, ეს უკანონობაა... და კიდევ ერთი: ეს მასალები პროკურატურას ლაშა თორდიას უწყებამ — სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა — მიაწოდა. ბუნებრივია, თორდია ვალდებული იყო, ეს გაეკეთებინა, მაგრამ, ამასთანავე, ხომ არ ცდილობს ის „ოცნებაში“ გადაჯდომას და „ნაცების“ ჩაშვება ხომ არ დაიწყო?**

— რა თქმა უნდა, გრიფი „საიდუმლო“ არ უნდა ედოს ამ საქმეს, რადგან სააკაშვილი პრეზიდენტი აღარ არის. საერთოდ, „ნაციონალური მოძრაობა“ ყველაფერს ადებდა გრიფ „საიდუმლოს“. სტრატეგიულ ინფორმაციას შეიძლება ედოს გრიფი “საიდუმლო“, მაგრამ აქ რა შუაშია, გაუგებარია. ეს არის უკანონობა; მეორეც — შეიძლება, თორდიას გადაჯდომა-გადმოჯდომასთანაც გვქონდეს საქმე, მაგრამ არა მგონია, ეს ახლა აქტუალური იყოს. იმ ინფორმაციას, რომელიც თორდიას უწყებამ პროკურატურას მიაწოდა, უბრალოდ, ვერ დამალავდა, რადგან შემდეგ თავად აღმოჩნდებოდა მძიმე მდგომარეობაში. გარდა ამისა, რაც უნდა მალო, შუბი ხალთაში არ დაიმალება. აი, ეს არის. დარწმუნებული ვარ, ნელ-ნელა ეს პროცესი აუცილებლად მივა იქამდე, რომ ის პოლიტიკური ფიგურები, რომლებიც წლების განმავლობაში ამდენ უკანონობას სჩადიოდნენ, აუცილებლად გამომზეურდებიან.

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

«ალასანიასა და ბოკერიას ფლირტზე ბევრი გვსმენია. ბოკერია ღარიბაშვილის გუნდის მოწინააღმდეგეების კონსოლიდაციას ცდილობს. ის არის მათი, ასე ვთქვათ, სული, გული და ტვინი და საერთაშორისო კონტაქტების კოორდინატორიც»

## სევდია უგრეხელიძე: ივანიშვილი ეჭვით არის შეპყრობილი, ის საკუთარი პარტიის წევრებსაც არ ენდობა

**თბილისის მერის მოვალეობის შემსრულებლის — სევდია უგრეხელიძის განცხადებით, საკრებულოში თანამდებობების გადასანაწილებლად „ნაციონალურ მოძრაობასთან“ არანაირი კონსულტაცია არ მიმდინარეობს. საკრებულოს თავმჯდომარის ორი მოადგილის პოსტზე „ქართული ოცნება“ თავის წევრებს დანიშნავს და, სავარაუდოდ, საკრებულოს ოპოზიციას არც კომისიის თავმჯდომარის პოსტებს შესთავაზებენ.**

საკრებულოს 11 კომისია ეყოლება და ამ კომისიების თავმჯდომარეებად ოპოზიციის წარმომადგენლები არ იქნებიან. სევდია უგრეხელიძე მიიჩნევს, რომ საკრებულოში მიზანმიმართული პოლიტიკა მიმდინარეობს, რომელიც ბიძინა ივანიშვილისაგან მოდის.

„ბიძინა ივანიშვილი ეჭვით არის შეპყრობილი ყველას მიმართ. ის არათუ ოპოზიციას, არამედ საკუთარი პარტიის წევრებს არ ენდობა“, — განაცხადა სევდია უგრეხელიძემ და დასძინა, რომ „ირაკლი ღარიბაშვილს ორჯერ გამეორება არ სჭირდება, ისე ასრულებს მითითებებს“.



ლელა წურწუმიამ, — რა პრივილეგიები, წელიწადში სულ 2 სამთავრობო კონცერტი გვქონდა — ახალ წელს და თბილისობასო(?!). დავუშვათ ,მართლა ასე იყო, მაგრამ მასზე არანაკლებ ნიჭიერ შემსრულებლებს სამოქალაქო პოზიციისა და პოლიტიკური თვალსაზრისის გამო არსად რომ არ აჭაჭანებდნენ, ამაზე რატომ არ უჩნდებოდა პროტესტი?

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მიშას კარის მომღერლების აქცია, ანუ ჭამა ხომ გვინდა და რა ვქნათ?!

**გახსოვთ, ალბათ, 7 ნოემბრის სასტიკი დარბევის შემდეგ დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების წინ მიშას კარის მომღერლების მიერ გამართულ კონცერტზე როგორ უმღერა მერაბ სეფაშვილმა პარტერში მჯდომ, სიამოვნებისგან გაბადრულ „გადამდგარ“ სააკაშვილს: „გაიმარჯვებ იცოდეეე, ჩემო ვაჟკაცოო!“, ამისთვის ქართველი საზოგადოების იმ ნაწილის რისხვა გამოიწვია, რომელსაც დღესაც ყურში ჩაგვესმის მერაბ სეფაშვილის, ამ უდავოდ ნიჭიერი და, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, შესანიშნავი მომღერლის „თეთრი რაში“ თუ სხვა ჰიტები...**







**ეს მიშას კარის მომღერლები ნორმალურ საზოგადოებას 2012 წლის ოქტომბერში უნდა «ჩაერეცხა», მიუხედავად იმისა, რომ თვალთმაქცურად ლუღლუღებდნენ: «მე პოლიტიკაში არ ვერევი», «მე პოლიტიკა არ მესმის»...**

ლელა წურწუმია, სტეფანე და ქართული ესტრადის სხვა „ვარსკვლავები“, რომლებიც ცოტა ხნის წინათ სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს ოსანას უმღეროდნენ და წარბიც არ უტოკდებოდათ რეჟიმის ჯალათების მიერ ჩადენილ არაადამიანურ სისასტიკეზე, ე. წ. მშვიდობის ხიდზე შეიკრიბნენ „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი შავრაზმელის, გიგი უგულავასთვის სოლიდარობის გამოსაცხადებლად. და ეს მოხდა მაშინ, როდესაც ქართველი საზოგადოების წარმომადგენელთა უმრავლესობამ შვებით ამოისუნთქა ვირის აბანოში თბილისის ყოფილი მერის გამწესების გამო.

ქართული ესტრადის **„პრიმადონა“ წურწუმია** იმ ხიდზეც ისე გამოირჩეოდა გიგი უგულავასადმი ალტკინებასიყვარულით, როგორც ე. წ. სამთავრობო მომღერალთა შორის გამოირჩეოდა სიბრმავე-სიყრუით „ნაცების“ მიერ 9 წლის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულების მიმართ. მაგრამ, ვიდრე მამულიჩას კნეინას ტირადიდან ამოგირჩევთ „მარგალიტებს“, სჯობს, დავფიქრდეთ — რა დაგვემართა, ეს რა უბედურება გვჭირს.

ჩამოვთვალოთ ნაცტერორის დროს შექმნილი „მიშას კასტის“, გნებავთ, „მიშას კარის მომღერლები“, რომელთა მოსმენა კაცს სიკვდილს განატრებინებდა:

**მერაბ სეფაშვილი**, რომელმაც, იმის გამო, რომ სააკაშვილს „ჩემი გმირი გიწოდე“ უმღერა, სამუდამოდ მოიჭრა ქართველი მსმენელის გულებისკენ მავალი გზა; **ეკა კახიანი** და მისი ასული **ნინი ბადურაშვილი**, რომელმაც სისხლით მორწყულ რუსთაველზე ისე უმღერა ქართველთა სისხლით გაუმაძღარ სააკაშვილს, რომ წარბიც არ შეიხევია; **ნიკოლოზ, ახლა რაჭველი, ადრე მემანიშვილი, ბუბა კიკაბიძე** და **სოფო ნიჟარაძე**, რომლებმაც მანამდე არ გააგდეს ხელიდან „დირიჟორსკაია პალოჩკა“ და მიკროფონი, ვიდრე სცენაზე ცოცხებით არ შეუვარდნენ და არ ჩაუშალეს „ვერის უბნის მელოდიების“ რიმეიქი; და, რა თქმა უნდა, **დუტა სხირტლაძე** და **ოთარ კობერიძე**, რომლებიც ვოკალური მონაცემების გარეშეც „მიშას კასტის“ უმნიშვნელოვანესი წევრები არიან. პირველი — **დუტა, უცვლელი წამყვანი იყო სააკაშვილის სამთავრობო კონცერტებისა, ხოლო კობერიძე (კიკაბიძესთან ერთად) დღესაც ლამის მესიად გვისახავს მსოფლიოში სიმხდალით განთქმულ იდიოტს.**

**ეს მიშას კარის მომღერლები ნორმალურ საზოგადოებას 2012 წლის ოქტომბერში უნდა „ჩაერეცხა“ (როცა, უკაცრავად ჟარგონისთვის, „დაერხა“ „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის შეურაცხად ბელადს), მიუხედავად იმისა, რომ თვალთმაქცურად ლუღლუღებდნენ: „მე პოლიტიკაში არ ვერევი“, „მე პოლიტიკა არ მესმის“, „პოლიტიკა არ მაინტერესებს“...**

ახლა ისიც ვთქვათ, როგორ „არ ერეოდნენ“ პოლიტიკაში: გახსოვთ, ალბათ, 7 ნოემბრის სასტიკი დარბევის შემდეგ დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნების წინ მიშას კარის მომღერლების მიერ გამართულ კონცერტზე როგორ უმღერა მერაბ სეფაშვილმა პარტერში მჯდომ, სიამოვნებისგან გაბადრულ „გადამდგარ“ სააკაშვილს: „გაიმარჯვებ იცოდეეე, ჩემო ვაჟკაცოო!“, ამით ქართველი საზოგადოების იმ ნაწილის რისხვა გამოიწვია, რომელსაც დღესაც ყურში ჩაგვესმის მერაბ სეფაშვილის, ამ უდავოდ ნიჭიერი და, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, შესანიშნავი მომღერლის „თეთრი რაში“ თუ სხვა ჰიტები...

ნამდვილად არ მინდა ე. წ. საკანი №5-ის აქციის გადაჭარბებით შეფასება, მაგრამ გაჩუმებაც არ ივარგებს. „უცნობის“ პერფორმანსმა სერიოზული რყევები გამოიწვია „ნაცების“ ბანაკში, მაგრამ ახლა სხვა რამ მინდა შეგახსენოთ — **„უცნობის“ მიერ საკანში „შეტყუებულთაგან“ ზოგმა გაუძლო „განაბის როლში შესული“ გია გაჩეჩილაძის პრესს და დივიდენდებით გამოვიდა „სვაბოდაზე“, ზოგმა კი აშკარად ჩაისვარა და ამ ჩასვრილთაგან ერთ-ერთი სწორედ მერაბ სეფაშვილი იყო**, ზემოთ ნახსნები „რკინისებური“ არგუმენტების გამო!

**2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ერთ-ერთ სატელევიზიო შოუში იყო მცდელობა მიშას კარის მომღერლების და მიშასგან შერისხულების შერიგებისა. მახსოვს, იმ გადაცემაში მერაბ სეფაშვილს ჭკუა ეყო და „ვერ მივიდა“, ხოლო ვინც მივიდა სექტანტთაგან, იყო ეკა კახიანი, რომელსაც, სეფაშვილისგან განსხვავებით, ჭკუა არ ეყო და ზემოხსენებულ რკინისებურ არგუმენტებს — „არ ვიცი, არ მაინტერესებს, არ ვერევი“ — ერთი მიწიერი და, აქედან გამომდინარე, გასაგებ-მისაღები არგუმენტიც დაუმატა: „ჩემი პროფესია სიმღერაა და რა მექნა, ჭამა ხომ მინდოდა?!“**

მართლაც, რა უნდა ექნა? და არა მხოლოდ ეკას... მაგრამ ამაზე ქვემოთ, ახლა კი დავუბრუნდეთ ე. წ. მშვიდობის ხიდზე შემდგარ მიშას მომღერლებს, რომლებიც „მეგობარი“ გიგი უგულავას დაცვით შეურაცხგვყოფენ ქართველ საზოგადოებას...

**მამულიჩას კნეინას თქმით, თურმე იმ ხიდიდანაც ჩანს გიგი უგულავას ნაღვაწი — გაბრდღვიალებული ნარიყალას სახით. მერე რა, რომ ეს ხიდი სააკაშვილ-უგულავას ბანდის ვოლუნტარიზმის მკაფიო მაგალითია! მიშას „ვარსკვლავების კასტას“ ეს არ აინტერესებს, მათთვის მთავარია, ჭამონ... ჭამა ხომ უნდათ და რა ქნან?!**

ბოლოს და ბოლოს, რაღაც კარგი ხომ გაკეთდაო, და მაგალითად ისტორიულ რიყეზე გაჩხერილი ორი მახინჯი „ტრუბა“ მოიყვანა ხიდზე გამართული საპროტესტო აქციის მონაწილემ, რუსთაველის თეატრის ყოფილმა დირექტორმა **ზაალ ჩიქობავამ,** — თქვენ შიგნით არ გინახავთ, რა არის, ასეთი დარბაზით ევროპაც იამაყებდაო და, საერთოდაც, მადლიერების გრძნობა უნდა გვქონდეს „დიადი ტანადის“ მიმართო, — დაგვამუნათა უმადური ქართველები...

**მარინე საღარაძეც** ყოფილა მსახიობთა და, რაც მთავარია, უგულავას ხიდის მეგობართა ამქარში — მისი სამსახიობო ტალანტის შესახებ არაფერი ვიცი. თუ ცხონებული გურამ საღარაძის ქალიშვილია, გავჩუმდები, მაგრამ **იძულებული ვიქნები, გურამ საღარაძის ლექსაობა გავიხსენო რუსთაველზე იმ ღამეს, როდესაც წაგებულ ომში გამარჯვებას ზეიმობდა ჰალსტუხჭამია და მიწაზე მფორთხავი პრეზიდენტი!**

ლელა წურწუმიამ, — რა პრივილეგიები, წელიწადში სულ 2 სამთავრობო კონცერტი გვქონდა — ახალ წელს და თბილისობასო(?!). **დავუშვათ მართლა ასე იყო, მაგრამ მასზე არანაკლებ ნიჭიერ შემსრულებლებს სამოქალაქო პოზიციისა და პოლიტიკური თვალსაზრისის გამო არსად რომ არ აჭაჭანებდნენ, ამაზე რატომ არ უჩნდებოდა პროტესტი?**

ვის ჰქონდა პრივილეგიები და ვის — არა, ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ზუმბას ინიციატივით გადაღებული კლიპი „გამარჯობა, აფხაზეთო შენი“ — ზოგს იქ მონაწილეობის პატივი და მსუყე ჰონორარი ერგო, ზოგს კიდევ — ღირსების ორდენი... ჰოდა, მათ, აგრეთვე, მიშას სექტანტების გასაგონად ვამბობ: **სამართლიანობის არაღდგენით ისედაც გალიზიანებულ ქართველებს კიდევ ნუ გვიჩიჩხინებთ, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ „არ იცოდით, არ გესმოდათ, არ ერეოდით და აბა, რა გექნათ, ჭამა ხომ გინდოდათ“, სააკაშვილის 9-წლიანი რეჟიმის თანამონაწილენი თქვენცა ხართ და ქართველი საზოგადოების მოთმინებასაც აქვს საზღვარი! ისე ნუ იზამთ, რომ იმ ხიდიდან მტკვარში გიკრან** თავი ან თქვენი ბელადის მიერ გმირთა მოედანზე აღმართულ სტელაზე შემოგსვან!

**იმ ევროპაში, რომლისკენაც ვიწრაფვით, კერძოდ, გერმანიაში, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ორი დიდი ვარსკვლავი მოღვაწეობდა — მარიკა როკი და მარლენ დიტრიხი. პირველმა ბოლომდე უმღერ-უცეკვა ფიურერს, ხოლო მეორემ დროზე გაასწრო ამერიკაში და თავისი შემოქმედებით იქიდან ებრძოდა ჰიტლერის რეჟიმს.**

მარიკა როკი ადოლფ ჰიტლერის კახპას სახელით შევიდა ისტორიაში, ხოლო მარლენ დიტრიხი — როგორც დიდი მსახიობი!

ეს ისე, ცნობისთვის...

**დავით მხეიძე**

**P.S.** „**აბა, რა მექნა, ჭამა ხომ მინდოდა“... ბუტა რობაქიძეს, გიორგი გამცემლიძეს, სანდრო გირგვლიანსა და ქუჩებში ჩაცხრილულ ათობით ბიჭსაც უნდოდა ჭამა-სმა და, უბრალოდ, სიცოცხლე, მაგრამ...**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყველანაირი უკანონობის გაპრავება ხდება ისევ და ისევ საჯარო რეესტრის მეშვეობით. იქ არაპროფესიონალები და ყოფილი ხელისუფლების კადრები მუშაობენ, თუმცა აღარ განვიხილავ მათ, როგორც ყოფილი და ახალი ხელისუფლება, მიმაჩნია, რომ ერთნი არიან“.**

# რატომ არ უბრუნებენ უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებას მფლობელებს?

**სააკაშვილს, მერაბიშვილსა და ადეიშვილს კანონმდებლობა საკუთარ თავზე ჰქონდათ მორგებული და „ნაცების“ 9-წლიანი სისხლიანი მმართველობის პერიოდში უამრავ ადამიანს უკანონოდ ჩამოერთვა უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც დღესაც ვერ დაუბრუნებიათ; დიახ, დღესაც, როცა ხელისუფლებაში „ქართული ოცნებაა“ და არა „ნაციონალური მოძრაობა“. მთავარ პროკურატურაში უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების შესახებ ათასობით განცხადებაა შესული, მაგრამ იქიდან პასუხი ერთია — იმისთვის, რომ უკანონოდ ჩამორთმეული ქონება კანონიერ მფლობელს დაუბრუნდეს, საკანონმდებლო ბაზა უნდა შეიცვალოს. ისმის კითხვა: რატომ არ შეაქვთ ცვლილებები „ნაცების“ მიერ დამახინჯებულ კანონებში, რატომ არ ასწორებენ ხარვეზებს? არადა, ათასობით დაზარალებულს იმედი ჰქონდა, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ უკანონოდ ჩამორთმეული ქონება დაუბრუნდებოდა, ხმის მიცემისას ამიტომაც შემოხაზეს № 41, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ.**

**უფლებადამცველები და ადვოკატები კანონმდებლობის დახვეწასა და მასში ცვლილებების შეტანას ითხოვენ; იმასაც ამბობენ, რომ ქონების სამართლებრივი მართვის სფეროში კვლავ პრობლემებია, კერძოდ, ქონების მართვის ეროვნული სააგენტო და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო კვლავ მერაბიშვილისა და მისი კადრების მიერ იმართება.**

**„საქართველო და მსოფლიო“ ამ საკითხებით დაინტერესდა და რამდენიმე უფლებადამცველსა და ადვოკატს ესაუბრა.**



**ნონა ფილაური:**

**სწორედ უგულავა იღებდა ადეიშვილისგან კონსულტაციებს და ყველა კანონი და შიგა ბრძანება საჯარო რეესტრის შესახებ მასთან კონსულტაციით ყალიბდებოდა, უგულავა ამაშიცაა გარეული**



**მამუკა ტუსკაძე:**

**უკანონოდ ჩამორთმეული ქონება არათუ დაუბრუნდა ყოფილ მფლობელს, არამედ ჯერ კიდევ მიმდინარეობს მისი წართმევა**

**მამუკა ტუსკაძე**, უფლებადამცველი:

— ვანო მერაბიშვილს საქართველოში იცნობდნენ, როგორც პირველ პოლიციელს, არადა, პირველი თაღლითია, თანაც — მაღალი დონის. მერაბიშვილმა უძრავი ქონების სამართლებრივი მართვა ხელში ჩაიგდო და დაიწყო უძრავი ქონების მართვის პოლიტიკა, რომელიც პირად ინტერესებზე ჰქონდა მორგებული კანონმდებლობით. ის სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებსაც ევალებოდათ ქონების მართვა, ვანოსა და მისი გუნდის კადრებით იყო დაკომპლექტებული და დღესაც იქ არიან თავიანთი პოლიტიკური ფუნქციის შესასრულებლად. **ორ ძირითად ორგანიზაციაში, რომლებიც ქონებას მართავს, დღესაც მერაბიშვილის კადრები არიან მოკალათებულნი, კერძოდ, სახელმწიფო ქონების მართვისა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოებში.** ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ამ ორ დაწესებულებაში მხოლოდ თავმჯდომარეები და რამდენიმე პერსონა შეიცვალა, ძველი კადრები კი ჩანერგილები არიან. მაგალითად, **ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოში აზომვით ნახაზებზე გამოცხადებულ ტენდერებს დღესაც მერაბიშვილის კომპანია იგებს.** ეს იმიტომ, რომ მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციამ, რომელიც მერაბიშვილმა, გიგა ბოკერიამ, დათო გიორგაძემ და ჯაბა ებანოიძემ 1995 წელს დააფუძნეს, უძრავი ქონების ბაზარზე მოიპოვა მონოპოლია. გარდა ამისა, **სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს დღესაც შეუძლია, ყოველგვარი მოკვლევის გარეშე, ერთი ფარატინა ქაღალდით დაარეგისტრიროს სახელმწიფოს სახელზე კერძო მესაკუთრის ქონება, მათ შორის, ტექბიუროში ამ მესაკუთრეზე აღრიცხულიც, და მერე ურცხვად გაგიშვას სასამართლოში,— მედავე თუ ბიჭი ხარო.** ეს კიდევ არაფერი, სასამართლოს სამართლიანი გადაწყვეტილება რომ გამოჰქონდეს საქმეზე. აი, ასეთ რაღაცებს სჩადიან „ვანიჩკას“ კადრები. პირველი ექვს თვეს ეშინოდათ, ამბობდნენ, — ვაიმე, ნეტავ, გადავრჩეთ დაჭერასო; მეორე ექვს თვეს, შეხედეს, რომ ლიბერალური პოლიტიკა მიმდინარეობდა და ცოტა გათამამდნენ; მესამე ექვსი თვის შემდეგ კი კვლავ ის მეთოდები გამოიყენეს, რომლებსაც ვანოს პერიოდში იყენებდნენ. მათ ჰპირდებიან, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები სამსახურიდან ვერ გაგაგდებენ და, თუ მაინც მოხდა მსგავსი რამ, პირველივე საპარლამენტო არჩევნებზე ისევ დავბრუნდებით და სამსახურის პრობლემა არ გექნებათო. მოკლედ, ქონების მართვის სააგენტოში საშინელება ხდება.

**— ხელისუფლება რატომ ეგუება ამას, რატომ არ ათავისუფლებს სამსახურიდან ჩანერგილ ადამიანებს და, საერთოდაც, რატომ არ ატარებს საკანონმდებლო ცვლილებებს?**

— მე რამდენიმეჯერ მივმართე ხელისუფლებას და თითქოს რაღაც კონტურები გამოიკვეთა, რომ დაიხვეწოს კანონმდებლობა. თუნდაც კანონები სარეგისტრაციო სახელმწიფო საკუთრების შესახებ, სარეგისტრაციო წარმოების შესახებ, საჯარო რეესტრის შესახებ, სასოფლო სამეურნეო მიწებისა და არასასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ და კიდევ უამრავი კანონი, რომლებიც უნდა არეგულირებდეს ამ საკითხებს, შესაცვლელია, მაგრამ, როგორც ჩანს, ამისთვის ვერ მოიცალეს, ალბათ, ჯერ სხვა რაღაცებია ქვეყანაში მოსაგვარებელი, მაგრამ ვფიქრობ, მოვიდა დრო, ამასაც მიხედონ.

**— თუ იცით შემთხვევა, რომ ადამიანს უკანონოდ ჩამორთმეული ქონება დაუბრუნდა?**

— უკანონოდ ჩამორთმეული ქონება არათუ დაუბრუნდა ვინმეს, არამედ ჯერ კიდევ მიმდინარეობს უძრავი ქონების წართმევა. ვიმეორებ, **უკანონოდ წართმეული ქონება არავის დაბრუნებია და ვერც დაუბრუნდება, რადგან ამის საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს.** აი, ასეთი პასუხი აქვს პროკურატურას.

**ნონა ფილაური**, ადვოკატი:

— ამ საკითხში ჩართული იყო მთელი სახელმწიფო მანქანა. თავდაპირველად ხდებოდა ქონების უკანონო გადაფორმება ნოტარიუსის მეშვეობით. წინა ხელისუფლებას თავისი ნოტარიუსები ჰყავდა. მათი მეშვეობით, იძულებით ხდებოდა ამ ქონებების გადაფორმება ჩუქების თუ ფიქტიური ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე. შემდეგ **ეს საკითხი უფრო დახვეწა წინა ხელისუფლებამ და, ფაქტობრივად, საჯარო რეესტრს მისცა ნოტარიუსის უფლება.** საჯარო რეესტრის მეშვეობით შესაძლებელი გახდა, მხარეებს ნოტარიუსთან აღარ გაეფორმებინათ იპოთეკის ხელშეკრულება და პირდაპირ წასულიყვნენ საჯარო რეესტრში. **ეს ავბედითი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით, რომელიც ხაფანგი აღმოჩნდა, სწორედ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ამ უკანონობისა.** ანუ კანონით დაკანონდა უსამართლობა. მაგალითად, იპოთეკარს შეეძლო, არ დაედო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, ამ შემთხვევაში მსესხებელი კაბალურ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, თუ მითითებულ ვადაში არ დააბრუნებდა ვალს. პროცენტებიც რომ ყოფილიყო გადახდილი, იპოთეკარი უკვე ხდებოდა მესაკუთრე და ნებისმიერ საბაზრო ფასში შეეძლო გაეყიდა მევალის ქონება. ამით ძალიან დაზარალდა მოსახლეობა. საჯარო რეესტრმა, ფაქტობრივად, შეითავსა არა მხოლოდ ნოტარიუსის, არამედ სასამართლოს ფუნქციაც.

ეს იმ პერიოდში ხდებოდა, როდესაც ზურაბ ადეიშვილი იყო იუსტიციის მინისტრი. სხვათა შორის, ამ საქმეში გიგი უგულავაც იყო გარეული და, დღეს რომ ატეხეს აჟიოტაჟი, უკანონოდ დააკავესო, სასაცილოა. **სწორედ უგულავა იღებდა ადეიშვილისგან კონსულტაციებს და ყველა კანონი, ყველა ბრძანება საჯარო რეესტრის შესახებ მასთან კონსულტაციით ყალიბდებოდა.** აქედან გამომდინარე, **დღეს კანონი საჯარო რეეესტრის შესახებ შესაცვლელია.** უნდა გადაიხედოს არა მხოლოდ კანონი, არამედ პროკურატურამ ნებისმიერ საჩივარზე უნდა მოახდინოს რეაგირება, საზოგადოებამ საკუთარი ქონების თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც დაბრუნება რომ შეძლოს. ეს კაბალური კანონები წინა ხელისუფლებისა და მათი მომხრეების სასარგებლოდ იქნა შემოღებული. რაც შეეხება დღევანდელ დღეს, **მაქვს ინფორმაცია, რომ საჯარო რეესტრში ცდილობენ, კიდევ ერთხელ მოასწრონ ამ ყველაფრის სათავისოდ გამოყენება და სჩადიან უკანონობას.** თუმცა ეს მარტო საჯარო რეესტრში არ ხდება, ეს, საზოგადოდ, ყველა სტრუქტურის სენია, რადგან სააკაშვილის ხელისუფლების კადრები ისევ იქ არიან. რა თქმა ▶

მსოფლიო



## «ბოევიკებმა» ატომური ნივთიერება გაიტაცეს

**ერაყის ხელისუფლებამ გაეროს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ამბოხებულმა სუნიტებმა ქალაქ მოსულის უნივერსიტეტის ლაბორატორიიდან ატომური ნივთიერება გაიტაცეს. ოფიციალური ბაღდადი გაეროს სთხოვს, დაეხმაროს, რათა ტერორისტებმა ატომური მასალა ქვეყანაში ან მის გარეთ არ გამოიყენონ.**

ტელეკომპანია „ბი-ბი-სის“ ცნობით, მოსულის უნივერსიტეტის ლაბორატორიიდან გაიტაცეს 40 კგ ურანის სხვადასხვა შენაერთი, რომელიც შეიძლება მასობრივი განადგურების იარაღის დასამზადებლად გამოიყენონ. ამერიკელი ექსპერტები ამტკიცებენ, რომ გატაცებულ მასალაში არ არის გამდიდრებული ურანი, რომლის გარეშეც ატომური ბომბის დამზადება შეუძლებელია.



# სამწუხაროა, რომ ისევ პოლიტიზებულია სასამართლო, ისევე, როგორც პროკურატურა და მხოლოდ იმ საქმეების გამოძიება ხდება, რომლებიც ხელისუფლების ინტერესშია.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ეხება უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებას, შემიძლია ვთქვა, რომ არავის დაბრუნებია.** სასამართლოში დავა კი მიმდინარეობს, მაგრამ მოსამართლეები შეზღუდულები არიან, დადებითი გადაწყვეტილება ვერ გამოაქვთ დაზარალებულების სასარგებლოდ. პროკურატურაში 10-15 ათასამდე საჩივარია შესული, კბილაშვილის პერიოდში გამოძიება დაიწყო, მაგრამ



## მამუკა ნოზაძე:

## ბიძინა ივანიშვილის გარდა, წართმეული ქონება არავის დაბრუნებია

◀ უნდა, ამ კადრებშიც არის თითო-ოროლა პატიოსანი, მაგრამ ეს საერთო სურათს ვერ ცვლის. მაქვს ინფორმაცია, რომ „ნაცები" მათ ეუბნებიან, ნუ გეშინიათ, არავინ შეგეხებათ, მალე დავბრუნდებითო. **ვფიქრობ, ეს ხალხი არ არის ის ძალა, რომელსაც შეიძლება რომელიმე სტრუქტურა დაეყრდნოს, რადგან ისინი არ არიან პროფესიონალები, კვალიფიციურები. ისე, თითქმის ყველა სტრუქტურაში ერთნაირი სქემა მუშაობს, ანუ ზედა ეშელონი შეცვლილია, ქვედაში კი ცვლილებები არ განხორციელებულა.** ეს ავადსახსენებელი კოაბიტაციის შედეგია.

**— რატომ არ იწყება საკანონმდებლო ცვლილებები?**

— სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ არაფერი შეცვლილა. სხვაობა ერთ რამეშია: **თუ ადრე ამას დაუფარავად აკეთებდნენ, ახლა შედარებით ფარულად, მაგრამ მაინც აკეთებენ. რაც შე**გაჩერდა. მე მაქვს ძალიან ბევრი მოქალაქის საჩივარი შეტანილი პროკურატურაში და ან არის პასუხი, რომ კანონი არ აძლევთ ამის საშუალებას, ან საერთოდ არ არის. ასე რომ, მართლმსაჯულების დახვეწის გადახალისების კუთხით, სამართლიანობის აღდგენის კუთხით, ფაქტობრივად, არაფერი გაკეთებულა.

**მამუკა ნოზაძე, ადვოკატი:**

— მიუხედავად იმისა, რომ ათასობით განცხადებაა შეტანილი მთავარ პროკურატურაში, რომ გამოძიება დაიწყოს და უკანონოდ წართმეული ქონება დაუბრუნდეს ადამიანებს, **ბიძინა ივანიშვილის გარდა, წართმეული ქონება არავის დაბრუნებია.** სამწუხაროდ, სასამართლოს მიდგომა არაადეკვატურია. მოსამართლეები განაგრძობენ იმავე პოლიტიკას, როგორსაც ნაცხელისუფლების დროს ატარებდნენ. კონკრეტულ მაგალითს მოვიყვან: ცოლ-ქმარ სინა ხიჯაკაძესა და ზურაბ ფილიპიას ქუთაისის ცენტრში კერძო სკოლა ჰქონდათ. ადეიშვილისა და მერაბიშვილის სახელით გარკვეული პირები სთხოვდნენ ამ ქონების დათმობას. და ვინაიდან მათ ქონება არ დათმეს, ხელისუფლებამ ზურაბ ფილიპია დააკავა, რომელსაც ორი თვის განმავლობაში აიძულებდნენ, დაეთმო ქონება. ეს მან სიცოცხლის გადარჩენის მიზნით (გული აწუხებდა) გააკეთა — პროკურატურის მითითებით ჩუქება გააფორმა მერიასთან. საჯარო რეესტრმა იმ დღესვე გადააფორმა ეს ქონება საკრებულოსა და მერიაზე. ეს ყველაფერი განხორციელდა უკანონოდ. ჩვენ ყველა დოკუმენტი გვაქვს იმის დამადასტურებელი, რომ ეს ყველაფერი საჯარო რეესტრმა სამუშაო საათების შემდეგ განახორციელა, მაგრამ სასამართლო ამას ყურად არ იღებს. სამოქალაქო კოდექსში არის სპეციალური მუხლი, რომელიც პირდაპირ ადგენს, რომ ზნეობრივი ნორმების დარღვევით დადებული გარიგება არის ბათილი. ხანდაზმულობის ვადაც არ არის გასული. მიუხედავად იმისა, რომ ვითხოვდით ამ მუხლის გამოყენებას, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნა, გვითხრა, ერთწლიან ვადაში უნდა გეჩივლათო. ამ შემთხვევაში კანონი არასწორად გამოიყენეს. გავასაჩივრეთ, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. ხელისუფლების ნება რომ იყოს, სასამართლო იქნებოდა დამოუკიდებელი და მიიღებდა ამ მტკიცებულებებს. მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ზეწოლა განხორციელდა ამ ოჯახზე ქონების წართმევის მიზნით. ამ ქალს ნერვიულობით ინსულტი დაემართა. ეს საქმე არის ნიმუში იმისა, როგორ იქცეოდა წინა ხელისუფლება. **სამწუხაროა, რომ ისევ პოლიტიზებულია სასამართლო, ისევე, როგორც პროკურატურა და მხოლოდ იმ საქმეების გამოძიება ხდება, რომლებიც ხელისუფლების ინტერესშია.**

ქონების გადაფორმება რეესტრის მეშვეობით ხორციელდება და ყველანაირი უკანონობის გაპრავებაც ისევ და ისევ საჯარო რეესტრის მეშვეობით ხდება. იქ არაპროფესიონალები და ძირითადად ყოფილი ხელისუფლების კადრები მუშაობენ, თუმცა მე აღარ განვიხილავ მას ყოფილ და ახალ ხელისუფლებებად, მიმაჩნია, რომ ისინი ერთნი არიან. ამ შეცდომების შედეგად კი ზარალდება საზოგადოება.



## გიორგი ფოფხაძე:

## რატომ არ ცვლიან კანონმდებლობას, «ოცნების» დეპუტატებს უნდა ვკითხოთ, რომლებისთვისაც პრეზერვატივზე მსჯელობა უფრო მნიშვნელოვანია

**გიორგი ფოფხაძე, ადვოკატი:**

— თუ საჯარო რეესტრში რამე დანაშაულებრივი ქმედება ხდებოდა, ეს პირდაპირ იყო გადაჯაჭვული პროკურატურასთან. დღეს რატომ არ ხდება ამ ყველაფრის გამოსწორება, მგონი, გასაგებია — იუსტიციის მინისტრი გამოვიდა და პირდაპირ განაცხადა: ძვირი გვიჯდება სამართლიანობის აღდგენაო. ამას იუსტიციის მინისტრი რომ იტყვის, რაღაზეა საუბარი?! **რატომ არ ცვლიან კანონმდებლობას, „ოცნების" დეპუტატებს უნდა ვკითხოთ, რომლებისთვისაც პრეზერვატივზე მსჯელობა უფრო მნიშვნელოვანია,** ანუ სხვა თემას ვერ პოულობენ და რა ქნან. არადა, **ათასი რამეა მოსაგვარებელი, ესენი კი რით არიან დაკავებულნი, ხედავთ?!**

სააკაშვილის პერიოდში ხალხს იჯარით აღებული მიწები წაართვეს. სოფელ გრიგორაანთკარში წლების განმავლობაში ამუშავებდნენ ამ მიწებს გლეხები, დღეს კი ეს მიწები სახელმწიფოს საკუთრებაშია და ყიდიან სხვადასხვა ადამიანებზე (ბაზალეთის ტერიტორია ბევრს იზიდავს).

გლეხებს ეუბნებიან, წადით და სასამართლოსა და პროკურატურაში გაარკვიეთო. გლეხმა სასამართლოსა და პროკურატურაში ირბინოს თუ მოსავალი მოიყვანოს? სასამართლო, ფაქტობრივად, სამართლებრივად ეუბნება უარს ამ საცოდავ გლეხებს.

**მოამზადა**
**ქეთი ხომერიკმა**



## ნიუ ორლეანის ყოფილი მერი ციხეში ჩასვეს

**ნიუ ორლეანის ყოფილ მერს — რეი ნეიგინს, რომელსაც ქარიშხალ კატრინას შედეგად დაზარალებული ქალაქის აღდგენისას კორუფციულ გარიგებებში ადანაშაულებდნენ, სასამართლომ 10 წლით აღუკვეთა თავისუფლება.** ქალაქის ყოფილ თავს წაყენებული ჰქონდა ბრალდება თაღლითობაში, ფულის გათეთრებაში, ქრთამის აღებასა და გადასახადებისგან თავის არიდებაში. მოსამართლე ჯინჯერ ბერიგანმა გაითვალისწინა 57 წლის რეი ნეიგინის ოჯახური მდგომარეობა და მას უფრო ხანმოკლე პატიმრობა მიუსაჯა, ვიდრე ფედერალური კანონებით ეკუთვნოდა. პროკურორები უფრო მკაცრ სასჯელს ითხოვდნენ.

დემოკრატიული პარტიის წევრი რეი ნეიგინი ნიუ ორლეანის მერის პოსტს 2002-2010 წლებში იკავებდა და ლუიზიანაში 2005 წელს კატრინათი გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციო სამუშაოებს ხელმძღვანელობდა.





## ავსტრიელმა მოსამართლემ საზოგადოებრიობას ინცესტისა და პედოფილიის აღიარებისკენ მოუწოდა

**ავსტრალიელი საზოგადოება, განსაკუთრებით — ბავშვის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აღაშფოთა საოლქო სასამართლოს მოსამართლის — ჰარი ნეილსონის გამონათქვამებმა. მოსამართლემ საჯაროდ განაცხადა, რომ საზოგადოებრიობამ ტაბუ უნდა მოხსნას ისეთ მოვლენებს, როგორიც არის ინცესტი და პედოფილია.**

ჰარი ნეილსონის აზრით, ნაფიცმა მსაჯულებმა შეიძლება დასაძრახი ვერ იპოვონ დაძმის ან მოზრდილისა და მოზარდის ინტიმურ კავშირში. ადრე საზოგადოებრიობა ჰომოსექსუალურ ურთიერთობებსაც არ აღიარებდა, ახლა კი ასეთ კავშირს ბევრი მიიჩნევს ნორმალურ ურთიერთობად.

თემიდის მსახურმა ახსნა, რატომ ადევს ტაბუ ინცესტს. მისი აზრით, ინცესტის აკრძალვის მთავარი მიზეზი არის ის, რომ ასეთი კავშირის შედეგად ბავშვი შეიძლება გენეტიკური გადახრებით დაიბადოს. მაგრამ დღეს არსებობს უამრავი კონტრაცეპტივი, გარდა ამისა, აბორტიც არ არის აკრძალული.

ასეთი ხმამაღალი განცხადებები ნეილსონმა პირველად მიმდინარე წლის აპრილში გააკეთა 58 წლის ავსტრალიელი მამაკაცის პროცესზე, რომელსაც ბრალი უმცროსი დის მრავალგზის გაუპატიურებაში ედებოდა. ბრალდებულმა აღიარა, რომ 1973-1974 წლებში რამდენიმეჯერ გააუპატიურა თავისი და, რომელიც იმხანად 10 წლის იყო. თუმცა 1981 წლის ანალოგიურ ეპიზოდში თავი დამნაშავედ არ ცნო. მას მოსამართლე ნეილსონმა საკმაოდ მსუბუქი სასჯელი გამოუტანა.

მსოფლიო



## უცნობმა პირმა 6 ადამიანი მოკლა, მათ შორის — 5 ბავშვი

**შეიარაღებულმა მამაკაცმა, რომლის ვინაობასაც ჯერჯერობით არ ასაჯაროებენ, ჰიუსტონთან (ტეხასის შტატი, აშშ) ახლომდებარე დასახლებულ პუნქტში 6 ადამიანი მოკლა, მათ შორის — 5 ბავშვი.**

საზარელი ინციდენტი ჰიუსტონიდან 40 კმ-ით დაშორებულ პატარა ქალაქ სპრინგსში მოხდა. ადგილობრივ მცხოვრებლებს ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლის ხმა შემოესმათ, შემდეგ კი მეზობლად მდებარე სახლში ექვსი დახოცილი ადამიანის ცხედარი იპოვეს, მათ შორის — 5 ბავშვის; კიდევ ორი ადამიანი — ქალი და ბავშვი მძიმედ იყვნენ დაჭრილნი. პოლიციამ ბოროტმოქმედი შემთხვევის ადგილიდან 5 კმ-ში დააკავა.



ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„როცა ადამიანს ემუქრება საფრთხე — დაკარგოს სიცოცხლე, თავისუფლება, ქონება, ან როცა ასეთი საშიშროება მის ახლობელს დაემუქრება, იგი არცთუ იშვიათად ჩადის ისეთ ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობის კანონებს.“

# ყოფილმა მთავარმა პროკურორმა ყოფილ აგენტს შეუნდო?

**„საქართველო და მსოფლიოს“ 24-ე ნომერში გამოქვეყნდა ზურაბ ჯორბენაძის ღია წერილი, რომლითაც მან მიმართა საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს და პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს. გულახდილად გეტყვით, ვერ გავიგე, აღსარება იყო ეს პუბლიკაცია, აღიარებითი ჩვენება თუ შეცვლილ გარემოში გმირად არა, მაგრამ მენტორად, საზოგადოებისთვის ჭკუის დამრიგებლად რეინკარნირების მცდელობა. ამის გასარკვევად შეხვედრა ვთხოვე სქართველოს ყოფილ მთავარ პროკურორს — არჩილ კბილაშვილს, ჯორბენაძის ოპუსის მთავარ მოქმედ პირს, ავტორის მიერ „ბრალდებულ“ პიროვნებას.**



**თუ პირი იძულებით ხდება აგენტი, მაშინ ის მსხვერპლია და პასუხი უნდა აგოს მან, ვინც ადამიანი მსხვერპლად აქცია. ძირითადი პასუხისმგებლობა კი იმას ეკისრება, ვინც სამართალდამცავ ორგანოს პოლიტიკური ჟანდარმის ფუნქცია დააკისრა**

**— ბატონო არჩილ, ზურაბ ჯორბენაძე წერს, რომ ის არ არის „ქართული ოცნების“ მტერი, მაგრამ, „რა ვქნა, არ შემიძლია, სიმართლე რომ არ გითხრათ, არ შემიძლია, ხალხის გულისტკივილი რომ არ მოვიტანო თქვენამდე“.**

**ამ კეთილშობილურ მისიას კისრულობს ადამიანი, რომელიც, მისივე აღიარებით, როგორც აგენტი, შეგზავნილი იყო „ქართულ ოცნებაში“, სათვალთვალოდ, ჯაშუშობის მიზნით.**

**ასეთნი, უპირველესად, ხალხის თვალში რეაბილიტაციას ცდილობენ, თავის მართლებას. ჯორბენაძე გაკვრით შენიშნავს, რომ „2010 წლის 10 ოქტომბერს ალკვეთის ღონისძიება შემიცვალეს თანამშრომლობის ხელწერილის დაწერის შემდეგ“.**

**ყოფილი ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი მისი აგენტი ხდება.**

**შემდეგ „მოახერხებს“ და დაგიახლოვდებათ და იწყებს თვალთვალს.**

**პირველი შეკითხვა ასეთია: რისთვის იყო დაპატიმრებული ზურაბ ჯორბენაძე?**

— კარგად არ მახსოვს, რისთვის იყო დაპატიმრებული, თუმცა თავის დროზე შემხვდა და მომიყვა. ადვოკატი იყო და, როგორც მახსოვს, რაღაც ფინანსურ მაქინაციაში დადეს ბრალი. თაღლითობისთვის იყო მიცემული პასუხისგებაში, თუ არ ვცდები.

— **ყოფილი ხელისუფლების „უსამართლობისა და ტერორის“ წინააღმდეგ „დაუფარავად მებრძოლი“ მისი სპეცსამსახურის აგენტი რომ ხდება, ამ ორ, ურთიერთგამომრიცხავ რეალობას რით ახსნით, ბატონო არჩილ?**

— გვინახავს ადამიანები, რომლებიც იძულების გამო აკეთებენ იმას, რისი სურვილიც არ აქვთ, ამიტომ შეიძლება, რომ ეს ორი, ურთიერთგამომრიცხავი ქმედება თავსებადი იყოს: გძულდეს ვინმე, მაგრამ ემსახურებოდე მას.

— **და ეს არის ყოფილი ხელისუფლების ხელწერა, რომელიც აღვიძებდა და აღვივებდა ადამიანში დაბუდებულ, დაფარულ ინსტინქტებს, მაგრამ ვინც თავგადადებულია სიკეთისთვის, ბოროტს რომ „არ შეეკვრის ზავითა“, ამას რა ვუყოთ?**

— ცნობილია, რომ განსაცდელის დროს ადამიანი ავლენს ისეთ თვისებებს, რომლებიც ზოგჯერ სტერილურ ზნეობრივ კანონებს არ შეესაბამება. როცა ადამიანს ემუქრება საფრთხე — დაკარგოს სიცოცხლე, თავისუფლება, ქონება, ან როცა ასეთი საშიშროება მის ახლობელს დაემუქრება, იგი არცთუ იშვიათად ჩადის ისეთ ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობის კანონებს.

როცა ხელისუფლება ქმნის ისეთ პირობებს, რომ ადამიანი წავიდეს კომპრომისზე საკუთარ სინდისთან, ეს, უწინარესად, ხელისუფლების პრობლემაა, ასეთი ხელისუფლება ქვეყანას არ უნდა ჰყავდეს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხელისუფლება ადამიანს უნდა ემსახურებოდეს და არა აიძულებდეს მას, იმოქმედოს ადამიანურობის წინააღმდეგ.

ამიტომ კონკრეტულად ამ შემთხვევაზეც და განზოგადოებულადაც ვიტყვი, რომ მკაცრი და კრიტიკული არ ვარ ასეთ მსხვერპლთა მიმართ. ისინი, ვინც უძლებენ ასეთ განსაცდელს, არ მიდიან კომპრომისზე, ვიტყოდი, რომ გმირობას ჩადიან.

გმირობა კი ერთეულების ხვედრია.

ჩვეულებრივ ადამიანურ განზომილებაში მაინცდამაინც ვერ ვკიცხავ ასეთ მსხვერპლს.

— **უნდა შევუნდოთ?**

— დიახ. რადგან ადამიანი საკმაოდ სუსტი არსებაა, როცა მის წინააღმდეგ სახელმწიფო აპარატი დგას, მით უფრო მაშინ, როცა ქვეყანაში სასამართლო არ არსებობს. ყველა ავტორიტარული თუ დიქტატორული რეჟიმი სწორედ ამის ხარჯზე არის ძლიერი. არ შეიძლება, რომ ამ რეჟიმის პირობებში მცხოვრები მოქალაქეები მხოლოდ გავკიცხოთ. მათ გაგებაც სჭირდებათ და თანაგრძნობაც.

— **ამ კონკრეტულ ჯორბენაძესაც?**

— დიახ, მე ასე აღვიქვამ. ზურაბ ჯორბენაძე სტუდენტობისას გავიცანი, ერთი პერიოდი სტუდქალაქში ერთადაც ვცხოვრობდით. ლექსებს წერს. წამიკითხავს. ავტორის დიდი გრძნობა გამოსჭვივის მის ლექსებში, რომლებიც ადამიანის შინაგან ბუნებას წარმოაჩენს. ამიტომ ვარ დარწმუნებული, რომ იგი გარემოების მსხვერპლია. სხვა შეიძლება თამაშობდეს, სხვა შეიძლება სიამოვნებით ასრულებდა და კიდეც დაკისრებულ მსგავს ქმედებას. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მსხვერპლთან გვაქვს საქმე. როცა მთავარი პროკურორი გავხდი, მოვიდა და ყველაფერი გულახდილად მიამბო. მეწყინა, მაგრამ დასჯა არც მიფიქრია.

— **მიმტევებელი ყოფილხართ... მაგრამ ის თქვენი სტუდენტობის დროინდელი ამხანაგი თქვენ წინააღმდეგ აგროვებდა მაკომპრომენტირებელ მასალებს. იგი წერს: „მოვახერხე და დავუახლოვდი არჩილ კბილაშვილს, ვუსმენდი და ვუთვალთვალებდი მას... აუდიო და ვიდეოჩანაწერები მიმქონდა კუდში და სადაზვერვო სამმართველოში“.**

**გაგწირათ. იძულებით თუ სიხარულით აკეთებდა ამას, ვერ განვსჯი, მაგრამ, რომ აკეთებდა, ფაქტია.**

**ვერაფერს ამჩნევდით?**

— 2011 წლის ზაფხულში ჩამრთეს საარჩევნო კამპანიაში „ქართული ოცნების“ ეგიდით და გავმწესდი, ასე ვთქვათ, ბაღდადში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად კენჭის საყრელად. მაშინ გამოჩნდა ზურაბი, რომელთანაც სტუდენტობის შემდეგ, 20 წლის განმავლობაში ურთიერთობა არ მქონია. გამანდო თავისი სურვილი, ყოფილიყო ჩემ გვერდით და დამხმარებოდა პოლიტიკურ ბრძოლაში. ბუნებრივია, არაფერი მქონდა ამის საწინააღმდეგო ან როგორ და რატომ უნდა დამეშალა?! რამდენიმეჯერ თავისი სურვილით ჩამოვიდა ბაღდათში, საარჩევნო შტაბშიც იმყოფებოდა, ღამითაც კი დარჩენილა და მისთვის ტრადიციული მასპინძლობაც გამიწევია. ღია და გამჭვირვალე ურთიერთობები მქონდა ყველასთან — დაგეგმვა იყო საარჩევნო კამპანიის, შეხვედრები, გეგმები და ა. შ. არაფერი კანონგარეშე იქ არ ხდებოდა. ფიქრადაც არ მომსვლია, ვინმესთვის რამე დამემალა. ათეულობით ადამიანი ესწრებოდა ყველა ჩემს შეხვედრას, მათ შორის — ისიც. ყოველთვის ღიად ვსაუბრობდი. ვისაც აინტერესებდა, დაზვერვის სამსახური იქნებოდა თუ სხვა, პრობლემა არ იყო იმის გაგება, რას და როგორ ვლაპარაკობდი. ეს არის და ეს.

მას თავისი დავალება ჰქონდა.

არც კი მიფიქრია, ვინმესთვის იქით მეთვალთვალა. რასაც ვაკეთებდი, როგორც ვთქვი, იყო კანონიერი, სწორი და დამალვა არ სჭირდებოდა.

— **ციტატას წაგიკითხავთ, ბატონო არჩილ, საგაზეთო პუბლიკაციიდან: „რამდენიმეჯერ შევხვდი არჩილ კბილაშვილს და ვთხოვე, მოეხერხებინა ჩემი შეხვედრა ბიძინა ივანიშვილთან, რათა მისთვის სიმართლე მეთქვა“.**

**გთხოვათ?**

— ასე სპეციალურად, ვერ ვიხსენებ. რაღაც იდეები ჰქონდა. წარმოშობით აჭარიდან არის და თავის აზრს მიზიარებდა, რომ, თუ მას დაასახელებდნენ დეპუტატობის კანდიდატად თავის რეგიონში, გაცილებით ეფექტიანად წარმართავდა საარჩევნო კამპანიას და ყველა შემთხვევაში გაიმარჯვებდა.

შეიძლება მთხოვა კიდეც ივანიშვილთან შეხვედრა, მაგრამ ამას არასერიოზულად აღვიქვამდი, რადგან კანდიდატად შერჩევა ასე, ვილაცის სურვილით არ ხდებოდა, იქ სხვა, შიდა მექანიზმები მუშაობდა და არც მიფიქრია, ეს ინფორმაცია ვინმესთვის გამეზიარებინა.

— **მაგრამ პუბლიკაციის ავტორი დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებას არც ახსენებს, სხვა მიზნით უნდოდა თურმე ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა, სურდა, ემხილებინა იმდროინდელი ხელისუფლების დამქაშები, რომლებიც ფერ და ნირშეცვლილები მის გარშემო შეკრებას ცდილობდნენ.**

**ჯორბენაძე თქვენც და სხვებსაც, ვისაც იგივე თხოვნით მიმართა, ბრალს გდებთ, რომ მისი კეთილშობილური განზრახვის რეალიზაციაში შეგნებულად არ დაეხმარეთ: „ახლა ვხვდები, რომ მათ არ აძლევდათ ხელს ჩემი შეხვედრა ბატონ ბიძინასთან... რადგან ვეტყოდი, ვინ ვისთან არის შეკრული“.**

— ვერ ვიხსენებ, რომ ამ ჩანაფიქრზე ღიად ესაუბროს ჩემთან და ამიტომ ეთხოვა შეხვედრა ბატონ ბიძინასთან.

წინასაარჩევნო პერიოდში უამრავ ადამიანს ვხვდებოდი, მათ შორის, ჯორბენაძესაც, რომელსაც არ აღვიქვამდი, როგორც აგენტს, და არ ვიმახსოვრებდი მის ნათქვამს, რათა შემდეგ რაღაც მნიშვნელობა მიმენიჭებინა ამ ნათქვამისთვის. სხვებიც მთხოვდნენ ბატონ ბიძინასთან შეხვედრაში დახმარებას. ზურაბის თხოვნა ვერაფრით იქნებოდა განსაკუთრებული და გამორჩეული.

რაც მახსოვს, უკვე გითხარით, დანარჩენი ღმერთმა განსაჯოს.

— **გადავიდეთ „ბრალდების შემდეგ ეტაპზე“. მთავარ პროკურორად თქვენი დანიშვნის შემდეგ მას თქვენთვის მოუწოდებია „მნიშვნელოვანი ინფორმაცია“, რომლის საფუძველზეც დაგიწყიათ გამოძიება გრიფით „საიდუმლო“, მაგრამ „არც არავის აინტერესებდა გამოძიება“...**

**ამიხსენით, თუ შეიძლება, ეს წინააღმდეგობრივი სიტუაცია: თუ დაიწყეთ, რატომ აღარ გაინტერესებდათ?**

**ხომ არ ჩაერია მთავარი პროკურატურის საქმიანობაში ყბადაღებული კოაბიტაციის პრინციპი, რომლის ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში განხორციელებამ ჯერ შოკიდან გამოიყვანა „ნაციონალური მოძრაობა“ და შემდეგ ხელისუფლებაში წამყვან ძალად დაბრუნების სურვილი გაუჩინა?**

— როგორც მახსოვს, მან განაცხადა, რომ ფლობდა მნიშვნელოვან ინფორმაციას და, შესაბამისად, დაჰკითხა კიდეც გამომძიებელმა. ამით ეს ინფორმაცია ოფიციალურად დაფიქსირდა.

ეს ინფორმაცია მე პირადად არ მიმიღია. შემდგომ როგორი მსვლელობა მიეცა მას, წმინდა საგამოძიებო საკითხია და ახლა საჯარო საუბრისთვის მიზანშეწონილი არ არის. შემიძლია გითხრათ, რომ მისი ინფორმაცია მიღებული იქნა კანონით დადგენილი წესით.

— **გამოძიება არ დაწყებულა?**

— რახან დაიკითხა, მაშასადამე, გამოძიება დაიწყო კიდეც. ადამიანი ვერ დაიკითხება, თუ გამოძიება არ მიმდინარეობს.

მაგრამ ერთი წყაროს- ▶

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „პროკურატურა არ არის ის ინსტრუმენტი, რომელიც პოლიტიკურ ნებას განსაზღვრავს. ეს მთავრობის ან პარლამენტის დასადგენია. ასეთი ნება არა მარტო მაშინ არ იყო განსაზღვრული, როცა მე პროკურორის თანამდებობაზე ვმუშაობდი, არამედ დღესაც არ არის ჩამოყალიბებული.“


ზურაბ ჯორბენაძე: 2011 წლის ბოლოს, დაზვერვის სამმართველოს დავალებით, შემაგზავნეს «ქართულ ოცნებაში». მოვახერხე და დავუახლოვდი არჩილ ქბილაშვილს, ვუსმენდი და ვუთვალთვალებდი მას...

ბატონო ბიძინა! ბატონო პრემიერმინისტრო!

## გადადგომის შესახებ განცხადება რომ გავაკეთე, ერთ-ერთ გარემოებად დავასახელე, რომ აუცილებელია უკანონოდ ქონებაჩამორთმეულთა და უკანონო განაჩენის მსხვერპლთა საქმეების სასწრაფოდ შესწავლა. ეს აწუხებდა ქართველ საზოგადოებას

◀გან ინფორმაციას რომ იღებ, საჭიროა იმ ჩვენებაში ასახულ გარემოებათა თანხვედრა სხვა გარემოებებთან, რათა რაღაც დამტკიცდეს. მთელი რიგი სამუშაოებისაა ჩასატარებელი. ეს პროცესი მიმდინარეობდა ჩემი პროკურორობის პერიოდში. ამის თქმა შემიძლია.

**— კოაბიტაცია და სამართალი, გამოძიება რა კავშირში შეიძლება იყოს ერთმანეთთან?**

— მე ყოველთვის თავს ვარიდებდი პოლიტიკურ შეფასებებს. პროკურორი ვალდებულია, იყოს არაპოლიტიკური, არ უნდა დაექვემდებაროს საზოგადოების პოლიტიკურ განწყობილებას. ასეთია წესი და ასეთია მისი მოვალეობა.

ამიტომ თქვენი შეკითხვის მხოლოდ სამართლებრივ ნაწილს შევეხები, მიუხედავად იმისა, რომ მთავარი პროკურორი აღარ ვარ.

სამართალდამცავმა ორგანომ უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ სამართლის ნორმებით თუ ანგარიში უნდა გაუწიოს საზოგადოებრიობაში არსებულ მოთხოვნებსაც? დავსვათ ეს შეკითხვა.

ჩემი პასუხი ზოგადად ასეთი იქნება:

სამართალდამცავი ორგანოს უპირველესი ვალდებულებაა, მისდიოს კანონს, სამართალს და, მიუხედავად იმისა, ვინ რომელ პარტიაშია გაერთიანებული, აღასრულოს სამართალი.

ასეთია ფორმულა.

მაგრამ ამ ამოცანის შესრულების დროს სამართალდამცავი ორგანო ანგარიშს უწევს საზოგადოებაში არსებულ მდგომარეობას, ანუ საჯარო ინტერესს. ეს კანონითაც არის აღიარებული. კანონი ამბობს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა, შესაძლოა, არ დაიწყოს, თუ ის სისხლის სამართლის პრინციპებს ეწინააღმდეგებაო, რაც ნიშნავს, რომ დევნა შეიძლება არ დაიწყოს, თუ მისი დაწყება საჯარო ინტერესს ეწინააღმდეგება. თუ რა არის საჯარო ინტერესი, ეს პროკურორის შესაფასებელი და გადასაწყვეტია.

მაგალითად, წინასაარჩევნო პერიოდში ისეთი დანაშაულების შემთხვევაში, რომელთა გამოძიება შეიძლება არ დაზარალდეს დაყოვნებით, პასუხისგებაში შეიძლება არ მიეცეს პირი, რომელმაც, შესაძლოა, ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობს. ეს ხდება იმიტომ, რომ არჩევნების ლეგიტიმურობა არ დადგეს ეჭვქვეშ.

ერთი მხრივ, კანონის შესაბამისად ასეთი დაყოვნება არ უნდა მოხდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, არჩევნების სანდოობის თვალსაზრისით, ალბათ, გამართლებულია გარკვეული თავშეკავება.

ამიტომ სამართალდამცავმა ორგანომ, პროკურატურამ უნდა იმოქმედოს კანონის მიხედვით, მაგრამ ანგარიში უნდა გაუწიოს საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებს ისე, რომ არ იქნეს ხელყოფილი საზოგადოების ინტერესები.

თუ ჩავთვლით, რომ საზოგადოების ინტერესი სამართლიანი, თავისუფალი არჩევნების ჩატარებაა, ამ ღირებულებას კი კონკრეტულ დროში კონკრეტული პირის პასუხისგებაში მიცემაზე მაღლა დავაყენებთ, როცა, სავარაუდოდ, ვერ მოხერხდება ამ ოპერაციის ისე განხორციელება, რომ არ შეილახოს სამართლიანი არჩევნების პრინციპები, რომლებიც ქვეყნის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანია, მაშინ, რა თქმა უნდა, უპირატესობას ვანიჭებთ ამგვარ ღირებულებას და გარკვეულ პირთა პასუხისგებლობის საკითხი მაინცდამაინც იმ დროში არ დგება.

სამართლებრივი ურთიერთობისა და საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების ასეთი დოზით თანხვედრა და ჰარმონია ნორმალურად მიმაჩნია. პროკურატურა და, თუ გნებავთ, პოლიცია, ვერ იქნება იზოლირებული საზოგადოებაში არსებული განწყობისგან. ოღონდ აქ გამოყენებული უნდა იყოს ისეთი დოზა, რომელიც კანონითაც დაშვებულია და ზნეობრივადაც გამართლებული.

წყალგამყოფი ზუსტად არ არის დადგენილი, უფრო შეფასების საგანია.

აქედან გამომდინარე, სამართლიანობის აღსრულება, კანონის მიდევნება, უნდა განხორციელდეს საჯარო ინტერესების გათვალისწინებით.

**— არჩევნები არ დაზარალდება, მაგრამ საზოგადოებაში ხომ უკმაყოფილება დაიბუდებს და გაძლიერდება? სამართლიანობის აღდგენა რომ გვიანდება?**

— მე ის კი არ მითქვამს, რომ მუდამ უნდა იყოს იგნორირებული კანონიერი ინტერესების განხორციელება. ვთქვი მხოლოდ ის, რომ გარკვეულ ვითარებაში, გარკვეული დროით ტემპი და სიჩქარე შეიძლება განსხვავებული იყოს, ისე, როგორც ეს ავტომანქანის მართვის დროს ხდება. თორემ ის, რომ სამართლიანობის აღდგენა არ ხორციელდება იმ ტემპით, რომელიც არა მხოლოდ საზოგადოების მოლოდინია, არამედ მისი ინტერესებიდან გამომდინარეობს, ჩემი პოზიციაცაა.

გადადგომის შესახებ განცხადება რომ გავაკეთე, ერთ-ერთ გარემოებად დავასახელე, რომ აუცილებელია უკანონოდ ქონებაჩამორთმეულთა და უკანონო განაჩენის მსხვერპლთა საქმეების სასწრაფოდ შესწავლა. ეს აწუხებდა ქართველ საზოგადოებას. სხვათა შორის, საერთაშორისო ექსპერტი თომას ჰამერბერგიც იძლევა რეკომენდაციას, რომ მოხდეს ქონების ჩამორთმევის საქმეთა შესწავლა.

ერთი შეხედვით, ვინმემ ეს შეიძლება მხოლოდ პროკურატურის ამოცანად ჩათვალოს. პროკურატურას ევალება ამ ამოცანის შესრულება, მაგრამ ამისთვის საჭიროა შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობა.

პროკურატურა არ არის ის ინსტრუმენტი, რომელიც პოლიტიკურ ნებას განსაზღვრავს. ეს მთავრობის ან პარლამენტის დასადგენია. ასეთი ნება არა მარტო მაშინ არ იყო განსაზღვრული, როცა მე პროკურორის თანამდებობაზე ვმუშაობდი, არამედ დღესაც არ არის ჩამოყალიბებული; ნება, რომელიც უკანონოდ ქონებაწართმეულთა საკითხების შესწავლას და განაჩენის მსხვერპლთა საქმეების გადასინჯვას გაითვალისწინებდა. ამის გარეშე პროკურატურა ვერაფერს შეძლებს.

ამიტომ ვფიქრობდი და დღესაც იმ აზრზე ვდგავარ, რომ საჭიროა გაჭიანურებისა და დაყოვნების გარეშე, სწრაფად და დროულად მოხდეს ამ თემაზე შესაბამისი ნორმატიული ბაზის შექმნა, რომელშიც ხელისუფლების ნება გამოვლინდება.

აქ უამრავი თემა წამოიჭრება: ქონებრივი საკითხები, რომლებიც გამოძიებას შედეგად მოჰყვება, დროისა და ადამიანური რესურსების საკითხები — ათიათასობით საქმის შესწავლას, გადახედვას ადამიანური რესურსები, მატერიალური ბაზა სჭირდება და ა. შ.

ამ ამოცანის განსახორციელებლად აუცილებელია ზუსტად ჩამოყალიბებული, დროში გაწერილი ქცევის წესი (რა და როგორ უნდა მოხდეს), რომლის აღსრულებაში ერთ-ერთი მთავარი როლი უნდა ითამაშოს პროკურატურამ.

ესაა ამოცანა.

ვფიქრობ, რომ დროც დამდგარია (საკმაოდ დაგვიანებულიცაა), რომ ხელისუფლებამ ეს საკითხი გადაწყვიტოს.

**— სამართლიანობის აღდგენა ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო, რომლითაც წინასაარჩევნო პერიოდში „ქართული ოცნება“ გვაიმედებდა. გარეშე ძალებმა ხომ არ აიძულეს ახალი ხელისუფლება, უკან დაეხია?**

— სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, ჩემი პირადი აღქმა ოთხ ელემენტს მოიცავს.

პირველი, ქონების უკანონო ჩამორთმევის გამოძიებაა.

მეორე, უკანონოდ მსჯავრდებულთა საქმეების გადასინჯვაა.

მესამე, ამ უკანონობათა ჩამდენი ადამიანების პასუხისგებაში მიცემაა (აქ, უპირატესად, მხედველობაში უკანონობათა გენერატორები და არა რიგითი ამსრულებლები მყავს).

მეოთხე, როგორც მინიმუმ, — მსგავსი უკანონობის არგამეორება.

რეალობამ გვაჩვენა, რომ პირველი ორი ელემენტი (ქონების და განაჩენების ნაწილში) შეჩერებული იქნა.

**— დღესაც შეჩერებულია.**

— დიახ. რეალურად ასეა. თუმცა გარკვეული პროგრესი ფიქსირდება იმ პირთა დასჯის თვალსაზრისით, რომლებიც ამ უკანონობებს გენერირებდნენ და ჩადიოდნენ. ხაზს ვუსვამ — გარკვეული პროგრესი, მაგრამ არა სრული, ალბათ, დამეთანხმებით. დღეს მსგავსი მეთოდებით ქონების წართმევა და უკანონო განაჩენების გამოტანა რომ არ ხდება, ესეც ფაქტია.

მაგრამ დასახული ამოცანის შესასრულებლად ეს საკმარისი არ არის.

**— რატომ, ბატონო არჩილ, რა უშლის ხელს?**

— რაც აქამდე ხელისუფლების მიერ მიზეზად სახელდება, არის ეკონომიკური ასპექტი: ქონებრივი საკითხების გადასინჯვა და განაჩენების გაუქმება სახელმწიფოს დიდ ეკონომიკურ პრობლემას შეუქმნის.

ეკონომიკური პრობლემა, რა თქმა უნდა, შეიქმნება, მაგრამ მე იმ აზრზე ვდგავარ, რომ იგი დაუძლეველი არ არის. ვფიქრობ, სავსებით შესაძლებელია ისეთი წესის ჩამოყალიბება, რომელიც ამ პრობლემის რაც შეიძლება ჰარმონიულ მოგვარებას გაითვალისწინებს: დროში განწილვადების სახით, მაგალითად, უკანონო განაჩენის მსხვერპლი ადამიანებისთვის კომპენსაციის მიცემით, რომელიც, მორალური ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით, სიმბოლურიც კი შეიძლება იყოს. ამ შემთხვევაში ადამიანებს უსამართლოდ დასჯილის განცდა მოეხსნებათ, რაც დღეს, სამწუხაროდ, არსებობს.

მიმაჩნია, რომ ხელისუფლებას ევალება, სრულად შეასრულოს ის ამოცანები, რომლებიც სამართლიანობის აღდგენას კომპლექსურად შეძლებს.

**— დასასრულ, ადამიანმა დაძალებით თუ ნებით აგენტობა იკისრა. მის მიერ მიწოდებული პატაკების საფუძველზე, სავარაუდოა, დაზარალდნენ ჩვენი თანამოქალაქეები.**

**უნდა გაირკვეს თუ არა ასეთი გადაბირებული კაცის „საქმენი საგმირონი“ თუ იგი თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, რახან აღიარა აგენტობა?**

— სამართალდამცავი ორგანოს აგენტობა, თუ ის ნებაყოფლობითია (და არა შანტაჟის ნაყოფი) და თუ ის სახელმწიფოს ნამდვილ ინტერესს ემსახურება (მაგალითად, ნარკოტიკული დანაშაულის გახსნას), სწორი მოქალქეობრივი საქციელია. თუ პირი იძულებით ხდება აგენტი, მაშინ ის მსხვერპლია და პასუხი უნდა აგოს მან, ვინც ადამიანი მსხვერპლად აქცია. ძირითადი პასუხისმგებლობა კი იმას ეკისრება, ვინც სამართალდამცავ ორგანოს პოლიტიკური ჟანდარმის ფუნქცია დააკისრა. ფორმალური თვალსაზრისით, „აგენტი მსხვერპლიც“ დამნაშავეა, თუმცა, მე რომ პროკურორი ვიყო, „აგენტ მსხვერპლს“ (ცალკეული სპეციფიკის გათვალისწინებით) ყველაზე ნაკლებ პასუხისმგებლობას დავაკისრებდი.

**არმაზ სანებლიძე**

---

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

## გამგებლების არჩევნების მეორე ტურში «ქართული ოცნების» კანდიდატებმა გაიმარჯვეს

**ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამგებლების არჩევნების მეორე ტურის წინასწარი მონაცემები გამოაქვეყნა.**

**ყვარელში** გამგებლის არჩევნების მეორე ტურში კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ილია მზექალიშვილმა ამომრჩეველთა ხმების 79,95% (მიღებული ხმების რაოდენობა — 9142) მიიღო, ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა ხატია დეკანოიძემ — 20,05% (2293);

**თელავში** „ქართული ოცნების“ კანდიდატმა **ალექსანდრე შათირიშვილმა** ამომრჩეველთა ხმების 70,93% (9454) მიიღო, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა გიორგი ბოტკოველმა — 29,07% (3875);

**ახმეტაში** „ქართული ოცნების“ კანდიდატმა **ბექა ბაიდაურმა** 59,19% (8649) მიიღო, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა ზურაბ ფილაშვილმა — 40,81% (5963);

**თიანეთში: ლელა ქიტესაშვილმა** („ქართული ოცნება“) — 64,5% (2881); ილია არჩემაშვილმა („ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“) — 35,5% (2136);

**გორში: დავით ონიაშვილმა** („ქართული ოცნება“) — 66,95% (17908), ბონდო ვათიაშვილმა („ირაკლი ოქრუაშვილი-ქართული პარტია“) — 33,05% (8840);

**თერჯოლაში: თეიმურაზ ჯაფარიძემ** („ქართული ოცნება“) — 61,44% (11374), ტარიელ ფანჩულიძე („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) —38,56% (7137);

**ბაღდათში: ირაკლი გეგეშიძემ** („ქართული ოცნება“) — 56,44% (5711), მევლუდ კიკნაველიძემ („სალომე ზურაბიშვილი — საქართველოს გზა“) — 43,56% (4407);

**ხონში: ჯემალ მებუკემ** („ქართული ოცნება“) — 58,23% (8455), ზურაბ ჯიბუხაიამ („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) — 41,77% (6065);

**ტყიბულში: რობიზონ გვენეტაძემ** („ქართული ოცნება“) — 68,81% (6510), თენგიზ ჭიქაბერიძემ („ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“) — 31,19% (2951);

**ლანჩხუთში: ზაზა ურუშაძემ** („ქართული ოცნება“) — 56,12% (8608), ბარნაბ ჭყონიამ („დავით თარხან-მოურავი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“) — 43,88% (6731);

**მარტვილში: ალექსანდრე გრიგალავამ** („ქართული ოცნება“) — 88,64% (10917), დავით ინჯიამ („ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიცია“) — 11,36% (1399);

**ქობულეთში: სულხან ევგენიძემ** („ქართული ოცნება“) — 76,3% (12146), რევაზ ხარაზმა („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) — 23,7% (4394);

**ხულოში: ბესიკ ბუაჩიძემ** („ქართული ოცნება“) — 59,42% (6265), ემზარ ბოლქვაძემ („დავით თარხან-მოურავი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“) — 40,58% (4278);

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„მოხარული ვარ, რომ თქვენი სახით მოიძებნა საკუთარი თავის პატივისმცემელი ერთი მასწავლებელი მაინც, რომელიც ვასილის ისე ექცევა, როგორც ყველას, და თავხედისაგან მოითხოვს, დაემორჩილოს სკოლის საერთო რეჟიმს. ვასილს რყვნიან თქვენ მიერ მოხსენიებული დირექტორის მსგავსი დონდლო, მჩვარივით ადამიანები, რომელთა ადგილი სკოლაში არ არის და თუ თავხედ ვასილის ჯერ არ დაულუპავს თავი, ეს იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში არიან ისეთი მასწავლებლებიც, რომლებიც ჭირვეულ ვაჟბატონს თავისას არ გაატანინებენ“.

# გენერალისიმუსის პორტრეტისთვის

## სტალინი ოჯახურ გარემოში

**2002 წელს სხვადასხვა წყაროდან შეკრებილი მასალებით მოვამზადე და მცირე ტირაჟით გამოვეცი წიგნი „სტალინი ოჯახურ გარემოში“, რომელიც ჩემს მეგობრებსა და ახლობლებს სამახსოვროდ დავურიგე. დღეს გთავაზობთ ამ წიგნიდან რამდენიმე წერილს, რომლებიც სტალინისადმი ან სტალინის მიერ არის დაწერილი. ვფიქრობ, მასალა ინტერესმოკლებული არ იქნება.**

### სტალინი – დედას

**16 აპრილი, 1922 წელი**
**ჩემო დედა!**
**გამარჯობა!**

იყავი ჯანმრთელად, გულთან ნუ მიიკარებ სევდას. ხომ გაგიგონია: „სანამ ცოცხალ ვარ — ასე ვიქმ, ვახარებ ჩემსა იასა, მოვკვდები — გაუხარდება სამარის მატლსა ჭიასა“.

ეს ქალი ჩემი ცოლია. ეცადე, არ აწყენინო.

**შენი სოსო**

### ნადეჟდა ალილუევა –კეკეს

**29 ნოემბერი, 1922 წელი.**

გამარჯობა, ძვირფასო დედა! ჯანზე როგორ ხარ? დიდი მადლობლები ვართ, რომ გახსოვართ და ყურადღებით გვეკიდებით. იოსები სალ-სალამათად არის, ბევრს მუშაობს, მოკითხვას გითვლის და კოცნას გიგზავნის. იაშა ჯანმრთელადაა, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ცუდად სწავლობს. ვასიკოც ჯანმრთელად არის, მოჩიტდა, მაგრამ ჯერ ვერ ლაპარაკობს. თავის ძვირფას ბებოს იხსენებს და მაგრად გკოცნის. მე ჯანმრთელად ვარ და შინაურებზე ვზრუნავ. ჯერჯერობით სხვას არაფერს ვაკეთებ. მოგვწერეთ, როგორ ცხოვრობთ, ძალიან გაგვეხარდება.

გკოცნი მაგრად და გისურვებ დიდხანს, დიდხანს ჯანმრთელობას.

**თქვენი ნადია**

### ნადეჟდა ალილუევა – კეკეს

**24 დეკემბერი, 1926 წელი.**
**გამარჯობათ, ძვირფასო კეკე!**

დიდი მადლობა საჩუქრებისათვის. იოსები დიდად კმაყოფილია, რადგან მურაბა ძალიან უყვარს. ჩვენთან ჯერჯერობით თითქოს ყველაფერი რიგზეა.

ამ დღეებში იოსები ცოტა შეუძლოდ იყო, სურდო ჰქონდა და ახველებდა, მაგრამ ახლა ყველაფერმა გაუარა და თავს კარგად გრძნობს. წერილი, რომელსაც მოკითხვაზე მეტად ელით, ისევ ვერ დაწერა. ჩემი შვილები კარგად არიან. ამ დღეებში სურათს გადავუღებთ და გამოგიგზავნით. იაშა სწავლობს, სახლში ემზადება უმაღლეს სასწავლებელში მოსაწყობად. რა გამოვა აქედან, ჯერჯერობით არ ვიცი, რადგან სწავლა ეზარება და მაინცდამაინც ნიჭიერიც არ არის. მაგრამ ვნახოთ, იქნებ რაღაც გამოვიდეს. ყოველდღე ამეცადინებს მასწავლებელი. ვასიამ წერა-კითხვა უკვე იცის. ახლა ავადაა, გრიპი აქვს. როგორც კი გამოკეთდება, სურათთან ერთად საკუთარი ხელით დაწერილ წერილს გამოგიგზავნით.

მე ვმსახურობ და სახლში დავფუსფუსებ.

ყველანი მოკითხვას გითვლიან და მრავალი წლის სიცოცხლეს გისურვებენ. გკოცნი მაგრად.

**თქვენი ნადია**

### სტალინი – დედას

**22 დეკემბერი, 1931 წელი.**
**გამარჯობა, დედა!**

შენი წერილი მივიღე. კარგია, რომ არ გვივიწყებ. მე, რა თქმა უნდა, შენს წინაშე დამნაშავე ვარ, რომ ბოლო ხანებში არ გწერდი, მაგრამ სამუშაო თავზე საყრელი მქონდა და წერილისათვის დრო ვერ მოვნახე.

თავს გაუფრთხილდი, თუ რამე დაგჭირდება, მომწერე. წამლებს ნადია გამოგიგზავნის. იყავი ჯანმრთელად, მხნედ.

მე თავს კარგად ვგრძნობ.

იცოცხლე ათას წელს.

**შენი სოსო**

### სტალინი — დედას

**11 ივნისი, 1935 წელი.**

გამარჯობა, დედა! ვიცი, შეუძლოდ ხარ, ავადმყოფობას ნუ შეუშინდები, გამაგრდი, ყველაფერი გაივლის.

Gგიგზავნი ჩემს ბავშვებს, მოეფერე და დაკოცნე, კარგი ბავშვები არიან. თუ მოვიცლი, მეც როგორმე შემოგივლი, გინახულებ.

მე კარგად ვარ.

ჯანმრთელად იყავი. გკოცნი!

**შენი სოსო**

### ნადეჟდა ალილუევა – სტალინს

**2 სექტემბერი, 1929 წელი.**

მივიღე შენი გამოგზავნილი წერილი, მეორე, ეტყობა, ჯერ გზაშია, ძალიან მიხარია, რომ სოჭში თავს უკეთესად გრძნობ, ცხადია, შენ მანდ გამოკეთდები, განსაკუთრებით — თუ თავს მიხედავ. მეკითხები, როგორ გაქვს საქმე სამრეწველო აკადემიაშიო. ახლა უკვე შემიძლია გითხრათ, რომ უკეთესად, ვინაიდან დღეს წერითი გამოცდა მქონდა მათემატიკაში, რომელიც წარმატებით ჩავაბარე. მაგრამ, საერთოდ, ბედი არ მწყალობს. დილით, 9საათზე, უნდა ვყოფილიყავი სამრეწველო აკადემიაში, რა თქმა უნდა, გავედი რვაზე, მაგრამ ტრამვაი გაფუჭდა, ავტობუსს დავუწყე ლოდინი — არა და არ გამოჩნდა. მაშინ გადავწყვიტე, ტაქსში ჩავმჯდარიყავი, ჩავჯექი, მაგრამ ასი საჟენიც არ ჰქონდა გავლილი, რომ გაჩერდა, იმასაც რაღაც გაუფუჭდა. ყოველივე ამან ბევრი მაცინა, მაგრამ ბოლოს სამრეწველო აკადემიაში ორ საათს ველოდებოდი გამოცდას. რა არის ახალი? სიმართლე გითხრა, არ ვიცი, ვინაიდან ჯერჯერობით არსად გავსულვარ, მხოლოდ ზუბალოვოში ვიყავი კვირას. იქ ყველაფერი რიგზეა. გაკაფულია, ციცრები ცოცხლები არიან და ა. შ. წვიმა არ მოსულა და ამიტომ, სამწუხაროდ, აღარც სოკოებია. სულ ცოტა მოვკრიფეთ შენთვის. ჩემს დანახვაზე სვეტლანამ მაშინვე მომაძახა, რატომ მამა არ ჩამოვიდაო.

გუშინ მიქოიანმა დარეკა. აინტერესებდა შენი ჯანმრთელობა და საქმეები, მითხრა, რომ შენთან ჩამოვა. აქვე უნდა გითხრა, რომ მოსკოვში ყველგან დიდი რიგებია, უმთავრესად — რძესა და ხორცზე, ეს უსიამოვნო სანახავია. მთავარი კი არის ის, რომ სწორი ორგანიზებით შეიძლებოდა ამის თავიდან აცილება... ავლაქლაქდი და ის კი დამავიწყდა, რომ გრძელი წერილები არ გიყვარს. მომწერე რამე, მაშინ აღარ ვიქნები ასე მოწყენილი, ძალიან გამეხარდა შენი წერილის მიღება, როცა საქმეები გაირკვევა, ყველაფერს დაწვრილებით მოგწერ. ახლა კი მაგრად გკოცნი. ჯერჯერობით ნახვამდის.

**შენი ნადია**

**P.S. იოსებ, თუ შეიძლება, გამომიგზავნე ორმოცდაათი მანეთი, მე სამრეწველო აკადემიაში ფულს მხოლოდ 15 სექტემბერს მომცემენ, ახლა კი უკაპიკოდ ვზივარ. კარგი იქნება, თუ გამომიგზავნი.**

**ნადია**



სტალინი და ნადეჟდა ალილუევა



### სტალინი – ნადეჟდა ალილუევას

**16 სექტემბერი, 1929 წელი.**
**ტატკა!**

როგორ არის შენი საქმეები, როგორ ჩახვედი? როგორც ჩანს, ჩემი პირველი წერილი (დაკარგული) კრემლში დედაშენმა მიიღო. რამდენად სულელი უნდა იყოს, რომ მიიღოს და გახსნას სხვისი წერილები.

ცოტა უკვე მოვიკეთე.

გკოცნი.

**შენი იოსები**

### სტალინი – ს. ეფიმოვს

**(ზუბალოვოში სამთავრობო აგარაკის კომენდანტი)**
**11 სექტემბერი, 1933 წელი.**

ძიძა და სვეტლანა მოსკოვში დაბრუნდნენ, სვეტლანა დაუყოვნებლივ უნდა მიიყვანოთ სკოლაში, თორემ მთლად გაველურდება. გთხოვთ, თქვენ და პაუკერს იგი სკოლაში მოაწყოთ. ორივე მოეთათბირეთ ძიძასა და კაროლინა ვასილის ასულს და გადაწყვიტეთ, რომელ სკოლაში მოაწყონ.

ძიძის ჩამოსვლის შემდეგ კაროლინა ვასილის ასულმა შევებულება უნდა აიღოს. უთხარით მას, რომ შვებულება უნდა აიღოს, თორემ მთლად დაიქანცება. თუ მოისურვებს სოჭში შვებულების გატარებას, გამოამგზავრეთ, ხოლო თუ რამე მიზეზის გამო არ მოისურვებს ამას, ზუბალოვოში შეუქმენით ყველა აუცილებელი პირობა. ის კარგი ადამიანია და ყოველგვარ ყურადღებას იმსახურებს. თუ მოისურვებს თავისი დის ჩაყვანას ზუბალოვოში, ამის წინააღმდეგი არ ვიქნები.

კაროლინა ვასილის ასულის შვებულების დროს მოსკოვში დარჩეს ძიძა. მიხედეთ ვასიას, რომ ცუდად არ მოიქცეს, თავის ნებაზე ნუ მიუშვებთ და მკაცრად მოეპყარით, თუ ძიძას არ გაუგონებს ან გააჯავრებს, დატუქსეთ.

ველი თქვენს პასუხს.

სალამი!

**ი.სტალინი**

**P.S. ვასიას ანა სერგის ასულს ნუ გააკარებთ: იგი მას რყვნის მავნე და საშიში დათმობებით.**

### კ. პაუკერი (უშიშროების თანამშრომელი) — სტალინს

**15 სექტემბერი, 1933 წელი.**
**ამხ. სტალინს!**

მივიღე თქვენი წერილი. დღეს ეფიმოვთან ერთად ბინაზე ვიყავით, კაროლინა ვასილის ასულს ჯერჯერობით არსად წასვლა არ შეუძლია. ის მოსკოვში მკურნალობს.

ვასიასა და მასწავლებელთან (თითოეულთან ცალ-ცალკე) კაროლინა ვასილის ასულის დასწრებით სერიოზული საუბარი მქონდა. ვასიას მისი ყველა ცოდვა გავახსენე და დავემუქრე. შემპირდა, რომ დღეიდან კარგად მოიქცევა. მასწავლებელს წინადადება მივეცი, არ დამიმალოს ვასიას ოინები და რჩევისათვის არ მიმართოს ანა სერგის ასულს, არამედ ყველაფერზე ელაპარაკოს კაროლინა ვასილის ასულს ან მე დამირეკოს.

კარგი იქნებოდა, ვასია სხვა სკოლაში გადაგვეყვანა, მეოცე სკოლაში ძალიან ბევრი ხელიდან წასული ბავშვია. ვფიქრობ, მოვაწყოთ 35-ე სკოლაში, პიმენის შესახვევში (ტვერსკაიაზე). იქ სიმკაცრე და მტკიცე დისციპლინაა. რომელ ჯგუფში ჩარიცხავენ, მეოთხეში თუ მეხუთეში, გამოცდა გვიჩვენებს. ამავე სკოლაში შეიძლება შევიყვანოთ სვეტლანაც. კარგი იქნება, თუ მასწავლებელს ავუყვანთ. მე დღეს ერთი მოვნახე. იცის გერმანული და ფრანგული ენები. პარტიის წევრია 1919 წლიდან, მარტოხელაა, ორმოცდაერთი წლის, კარგი პედაგოგია, მანვე შეიძლება ვასიას შეასწავლოს ენები. ყველა საკითხზე გთხოვთ თქვენს თანხმობას და პასუხს.

**კ. პაუკერი**

### კ. პაუკერი – ნ. ვლასიკს

**(სტალინის დაცვის უფროსი)**
**23 სექტემბერი, 1933 წელი.**
**დაშიფრული**
**ამხ. ვლასიკს**

საჭიროა, სასწრაფოდ გკითხოთ პასუხი ჩემს წერილზე, შემდეგი საკითხის თაობაზე: 1 — ვასიას სხვა სკოლაში გადაყვანის შესახებ; 2 — მასწავლებლის აყვანისა და და სვეტლანას სკოლაში მიღების შესახებ.

ყოველივე ამის შესახებ მე წერილში თანხმობა ვითხოვე, მაგრამ პასუხი არ არის. დრო მიდის. მინდა სატელეგრაფო ან წერილობითი თანხმობა ყველა ჩემი წინადადების შესახებ. თვითონ ვერ გა- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვასილი საშუალო ნიჭის მქონე განებივრებული ყმაწვილია, ველური (სკვითების ტიპი), ყოველთვის არ ამბობს სიმართლეს, უყვარს სუსტი „ხელმძღვანელის" შანტაჟირება, ხშირად თავხედია, სუსტი, უფრო სწორად — არაორგანიზირებული ნებისყოფის.

◀ დავწყეტ ამ საქმეებს. საერთოდ, ვასიას სასწრაფოდ გადაყვანა აუცილებელია რიგი მოსაზრებების გამო. გკითხეთ, იქნებ ჩამოსვლას დაველოდოთ.

**კ. პაუკერი**

## სტალინი – ვ. მარტიშინს

**(ისტორიის მასწავლებელი)**
**8 ივნისი, 1938 წელი.**
**მასწავლებელ ამხ. მარტიშინს.**

გპასუხობთ დიდი დაგვიანებით მუშაობით გადატვირტულობის გამო. გთხოვთ, მაპატიოთ.

ვასილი საშუალო ნიჭის მქონე განებივრებული ყმაწვილია, ველური (სკვითების ტიპი), ყოველთვის არ ამბობს სიმართლეს, უყვარს სუსტი „ხელმძღვანელის" შანტაჟირება, ხშირად თავხედია, სუსტი, უფრო სწორად — არაორგანიზირებული ნებისყოფის.

იგი გაანებივრეს ათასნაირმა „ნათლიებმა" და „ნათლიდედებმა", რომლებიც ჩასჩიჩნებენ, რომ სტალინის შვილია.

მოხარული ვარ, რომ თქვენი სახით მოიძებნა საკუთარი თავის პატივისმცემელი ერთი მასწავლებელი მაინც, რომელიც ვასილის ისე ექცევა, როგორც ყველას, და თავხედისაგან მოითხოვს, დაემორჩილოს სკოლის საერთო რეჟიმს. ვასილს რყვნიან თქვენ მიერ მოხსენიებული დირექტორის მსგავსი დონდლო, მჩვარივით ადამიანები, რომელთა ადგილი სკოლაში არ არის და, თუ თავხედ ვასილის ჯერ არ დაუღუპავს თავი, ეს იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში არიან ისეთი მასწავლებლებიც, რომლებიც ჭირვეულ ვაჟბატონს თავისას არ გაატანინებენ.

ჩემი რჩევა: უფრო მკაცრად მოსთხოვეთ და ნუ შეგაშინებთ ჭირვეულის ყალბი მუქარა და შანტაჟი „თვითმკვლელობის" თაობაზე, ამაში ჩემი მხარდაჭერა გექნებათ.

სამწუხაროდ, მე არ მაქვს შესაძლებლობა, მივხედო ვასილის, მაგრამ გპირდებით, დროდადრო ჭკუას ვასწავლი.

**ი. სტალინი**

## ნ. მაკეევი (სკოლის დირექტორის თანაშემწე) – ი. სტალინს

**15 ივნისი 1938 წელი**
**ძვირფასო იოსებ ბესარიონის ძევ!**

განათლების სახალხო კომისრის ბრძანებით, მოხსნილი ვარ სასწავლო ნაწილის დარგში დირექტორის თანაშემწის სამუშაოდან. ძირითადი მიზეზი, არსებითად, თქვენი შვილის, ვასიას, აღზრდისა და სწავლების საკითხია. ვ. მარტიშინის თქვენდამი წერილმა და თქვენმა პასუხმა გადამწყვეტი როლი შეასრულა. განსახკომის მოადგილე ამხ. ლიხაჩოვმა ნაჩქარევი დასკვნა გააკეთა. ისე, რომ არ მოისმინა ჩემი ანგარიში, არ მოახდინა არავითარი გამოძიება იმის შესახებ, რა იყო სკოლის არადამაკმაყოფილებელი მუშაობისა და ვასიას აღზრდა-სწავლების ნაკლოვანებათა ნამდვილი მიზეზები.

ვასია 175-ე სკოლიდან გადმოვიდა. მის აღზრდაში უკვე მრავალი ხარვეზი იყო, როგორც თავად ამბობდა, სულ ელაქუცებოდნენ. გადაწყდა: ვასია სტალინი, სტეფანე მიქოიანი, თემურ ფრუნზე და სხვები საერთო სასკოლო რეჟიმს უნდა დამორჩილებოდნენ, ყვარებოდათ ისინი — გაფრთხილებოდნენ, მაგრამ მათდამი ლოიალობას ბოლო მოეღებოდა. თავდაპირველად ყველაფერი რიგზე იყო. ცალკეული გადახრები საერთო სასკოლო რეჟიმიდან სწრაფად სწორდებოდა. მაგალითად, გაკვეთილის დროს ვასიას „კომსორგის" ოთახში შევუსწარი, შენიშვნა მივეცი და მაშინვე კლასში შევიდა. არ მაცნობეს, თემურ ფრუნზე ცუდად იქცევაო, ტელეფონით ველაპარაკე ვოროშილოვს. მან თემურზე სათანადო გავლენა მოახდინა.

მუშაობის შედეგები წლის პირველ ნახევარში ნაყოფიერი იყო. მეორე ნახევარში გართულებები დაიწყო. უნდა ითქვას, რომ მუშაობა სკოლაში განსაკუთრებით მძიმე პირობებში გვიხდებოდა. არ არსებობდა სპეცსკოლის დებულება. ამ საკითხში განსახკომი ინერტულობას იჩენდა. უაღრესად ღარიბი იყო მატერიალური ბაზა. მწვავედ იგრძნობოდა პედაგოგიური კადრების დენადობა. ყოველივე ამას ართულებდა მოსწავლეთა დიდი კონტინგენტის — მაღალი თანამდებობის მუშაკების, კერძოდ, ცეკას, პოლიტბიუროს წევრთა ბავშვების დაშორიშორება.

სწორედ ოჯახის სკოლასთან კავშირის არარსებობაზე ვამახვილებ ყურადღებას, ვინაიდან ეს მიმაჩნია კარდინალურ საკითხად.

ვასილი გაკვეთილებზე იგვიანებს, საშინაო დავალებებს არ ასრულებს, ვიძახებთ სასაუბროდ, ვარკვევთ მიზეზებს. თურმე იგი დიდხანს არის მანეჟში და ა.შ. ამ შემთხვევაში სკოლა ვერ მოახდენს ზემოქმედებას, ვინაიდან იგი დაშორებულია ოჯახს. ამასთანავე, გადმოგვცემენ თქვენს ბრძანებას, რომ ვასილისათვის ვიქონიოთ მეორე დღიური, რომელშიც დაწვრილებით ჩავწერთ მისი დისციპლინისა და მოსწრების შესახებ, ისე, რომ მან არ უნდა იცოდეს. შინსახკომის თანამშრომლები კი ამტკიცებენ, რომ დღიურის დათვალიერებისას იყენებთ ლურჯ და წითელ ფანქარს, მაგრამ სკოლის ოჯახთან კავშირის ასეთმა სისტემამ თავისი დანიშნულება არ გაამართლა.

არ მოგვარებულა, აგრეთვე, სკოლის კავშირი თემურ ფრუნზეს ოჯახთან. შეკითხვები არც შემოსულა, ოჯახის წარმომადგენლების გამოძახებას დირექტორი გვიკრძალავდა. როცა ვასიას მოსწრების გაუარესება დაიწყო, პირადად მასთან კლასის დამრიგებლის მონაწილეობით შევადგინეთ მეცადინეობის ცხრილი, მაგრამ ვასიამ ამას თავი აარიდა და მიზეზის ზუსტად დადგენა ვერ მოვახერხეთ, რადგან ამ დროს შინსახკომის თანამშრომლები გაიწვიეს და მეორე დღიურის შევსება შეწყდა.

ვასია თანდათან ჩამოსცილდა საერთო სასკოლო რეჟიმს, რადგან იცის, რომ სკოლა უძლურია, ზემოქმედება მოახდინოს მასზე. „კომსორგი" და დირექტორი ამტკიცებენ, შეიძლება ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდეს, როცა კაცმა არ იცის, რას ჩაიდენსო. სასწავლო წლის ბოლოს საქმე უხეშ გამოსვლებამდეც მივიდა. განსაკუთრებით ისტორიის მასწავლებლის — ვ. მარტიშინის მიმართ. ინციდენტი მეოთხე მეოთხედში ისტორიის ნიშანთან დაკავშირებით თქვენთვის უკვე ცნობილია. ეს მოხსენდა ქალაქის სახალხო განყოფილების ინსპექტორს — ამხ. კრიუკოვს. ვასიას დაუნიშნეს საგაზაფხულო გამოცდა ისტორიაში, რაც დირექტორმა გააუქმა. შემდეგ ვასია ზოგიერთ გამოცდაზე არც მოსულა. დღის მეორე ნახევარში გამოვიძახე რუსული ენის გამოცდაზე, მაგრამ დირექტორმა გაუშვა.

რვა და ცხრა ივნისს მე და „კომსორგმა" მიღება ვთხოვეთ განათლების სახალხო კომისრის მოადგილეს, ამხ. ლიხაჩოვს. ამხ. ლიხაჩოვმა მიღება დაგვინიშნა, მაგრამ იგი არ გამართლდა, ვინაიდან იმ დღეს „უჩიტელსკაია გაზეტაში" გამოქვეყნდა შენიშვნა „თვალის ამხვევი დირექტორი", რომლის დეტალები დაწვრილებით არ განუხილავთ.

დასკვნები გაკეთდა, მაგრამ ძირითადი საკითხი ვასიას, თემურის, სტეფანეს და სხვების აღზრდისა და სწავლების შესახებ გადაუწყვეტელი დარჩება მანამ, სანამ არ დამყარდება მჭიდრო კავშირი სკოლასა და ოჯახს შორის და ამის საფუძველზე საათანადოდ არ გაირკვევა მათი ორიენტაცია და საქმეში ჩახედულება.

უეჭველია, მხოლოდ მაშინ დაამთავრებს სკოლას ვასია, როგორც საუკეთესო მოსწავლე (ის ნიჭიერია, მაგრამ მერყევი), მასწავლებელი კი იდგება მტკიცე ნიადაგზე და გამორიცხული იქნება, განათლების სახალხო კომისარმა წყალში ჩაუყაროს მასწავლებელს ოცი წლის პედაგოგიური მუშაობის სტაჟი.

თქვენდამი პატივისცემით,

**ნ. მაკეევი**

## ვ. მარტიშინი – ი. სტალინს

**(1938 წლის 5 ივნისის შემდეგ)**
**ძვირფასო იოსებ ბესარიონის ძევ!**

ვსარგებლობ შემთხვევით, გამოგიცხადოთ ულრმესი კმაყოფილება გადასული სიხარულში, რომელიც მომანიჭა თქვენმა საპასუხო წერილმა.

მე პირადად არ გიცნობთ, მაგრამ ვიცოდი, მიპასუხებდით და პასუხს ველოდი.

თქვენმა პასუხმა — გენიოსისათვის დამახასიათებელმა უშუალობამ და უბრალოების გამოხატულებამ, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ახლა შემიძლია ვთქვა, რომ პირადად გიცნობთ, მაპატიეთ, უთავბოლოდ და ექსპრომტად გწერთ.



ვასილი და სვეტლანა მამასთან ერთად

თქვენმა წერილმა კიდევ უფრო გამიმძაფრა სიძულვილი ობივატელებისა და, კერძოდ, ჩემი წრის ობივატელებისადმი, რომლებიც ჩემს არაერთგზის მოთხოვნაზე — გვეცნობებინა თქვენთვის ვასილის მუშაობის შესახებ, გაიძახოდნენ: „ეს უკეთეს შემთხვევაში უსარგებლოა, უარეს შემთხვევაში — საშიში!" ან: „იყუჩეთ, დუმილი შვენის სიჭაბუკეს".

ამ წერილის მიზანია, მოგახსენოთ, რა შთაბეჭდილება შემექმნა თქვენი ჩარევის შემდეგ ისტორიაში ვასილის მუშაობასა და მის განწყობილებაზე.

**«ერთხელ ჩემთან საუბრისას ვასილიმ განმიცხადა, რომ მზად არის, ყველაფერი იღონოს, ოღონდ აღიდგინოს თქვენი ნდობა, რათა უფრო ახლოს იყოს თქვენთან. ჩემთვის გასაგებია მისი მოთხოვნა. ვფიქრობ, თუ ვასიას მიეცემა გარკვეული თავისუფლება იმ აზრით, რომ მინიმუმამდე შეუმცირდება მეურვეობა, რომელიც ზოგჯერ შეურაცხყოფს მას და ამასთანავე, უზრუნველყოფთ რეგულარულ, მაგრამ მისთვის შეუმჩნეველ კონტროლს იმაზე, როგორ ამართლებს ნდობას, ვასია იქნება ის, ვინც უნდა იყოს»**

ვასია დამატებით მეცადინეობდა ჩემი ხელმძღვანელობით და ჩემთან ჰქონდა ჩათვლები კურსის ნაწილებში, რაც მას შემდგომი მუშაობის სტიმულს აძლევდა, მე კი შესაძლებლობა მომეცა, წარმოდგენა მქონოდა მისი მომზადების დონეზე. ჩათვლები ერთ საათსა და მეტ ხანს გრძელდებოდა.

ამის შემდეგ შემიძლია გაცნობოთ, რომ მისი ცოდნა შედარებითია, მყარ საფუძველს მოკლებული, ზერელე, ბევრი პრობლემა და ხარვეზი აქვს, კერძოდ, სქემატიზმი და სოციოლოგიზმი. მაგრამ ისიც კი, რაც მან დაძლია ასეთ მოკლე ვადაში კმაყოფილებას მანიჭებს და სრულ უფლებას მაძლევს, ამ წელიწადს საშუალოდ შევაფასო მისი ცოდნა.

გთხოვთ, მომიტევოთ აკვიატება, მაგრამ არ შემიძლია დაგიმალოთ ერთი დაკვირვება, სახელდობრ: ვასია ავადმყოფურად განიცდის იმ უსიამოვნებას, რომელიც მოგაყენათ თქვენ, ვინც უყვარს და იზიდავს.

ერთხელ ჩემთან საუბრისას ვასილიმ განმიცხადა, რომ მზად არის, ყველაფერი იღონოს, ოღონდ აღიდგინოს თქვენი ნდობა, რომ უფრო ახლოს იყოს თქვენთან.

ჩემთვის გასაგებია მისი მოთხოვნა. ვფიქრობ, თუ ვასიას მიეცემა გარკვეული თავისუფლება იმ აზრით, რომ მინიმუმამდე შეუმცირდება მეურვეობა, რომელიც ზოგჯერ შეურაცხყოფს მას და ამასთანავე, უზრუნველყოფთ რეგულარულ, მაგრამ მისთვის შეუმჩნეველ კონტროლს იმაზე, როგორ ამართლებს ნდობას, ვასია იქნება ის, რაც უნდა იყოს. დასასრულ, უნდა გაცნობოთ რომ მე, ალბათ, ვერ გავამართლებ იმ ნდობას, რომელიც ჩემდამი გამოიჩინეთ, როცა მწერდით, ვასილის მუშაობის ხელმძღვანელობაში თქვენი დახმარების იმედი უნდა მქონდესო, ვინაიდან 1938-1939 წლის ნომერ მეორე სპეცსკოლის მასწავლებელთა სიაში მე არ ვირიცხები. ათასი ბოდიში.

თქვენი **ვ. მარტიშინი**

## ლ. პ. ბერია – სტალინს

**1938 წლის 8 დეკემბერი.**
**ამხანაგ სტალინს!**

კაჩის ავიასკოლის უფროსთან, ბრიგადის მეთაურ ამხ. ვ. ივანოვთან წერილით გავგზავნე ჩემი თანამშრომელი, რომელმაც ადგილზე გაარკვია, რომ, შეიტყო რა ვასია სტალინის ჩასვლა სკოლის ხელმძღვანელობამ, მისთვის დაუშვა გამონაკლისი, რითაც დაარღვია საერთო პირობები კურსანტებისათვის.

ქ. სევასტოპოლში ჩასვლისას ვასიას სადგურზე დახვდნენ სკოლის კომისარი ამხ. სემიონოვი და განსაკუთრებული განყოფილების მუშაკი. სკოლისკენ მიმავალმა ვასიამ ამხ. სემიონოვს უთხრა: „ამ წელიწადს სევასტოპოლში უნდა ჩამოვიდეს მამა დასასვენებლად და, ალბათ, კაჩშიც შემოივლის".

ვასია მოათავსეს არა კურსანტების საერთო საცხოვრებელში, არამედ ჩამოსულთათვის განკუთვნილ ცალკე ოთახში.

პირველ დღეებში მას კერძებს უმზადებდნენ მეთაურთა შემადგენლობის სასადილოში. იყო შემთხვევები, როდესაც ვასიამ შეუკვეთა სამხრეთული კერძი, რომლის მომზადება არ იცოდნენ ადგილობრივმა მზარეულებმა და სპეციალურად სევასტოპოლში გაგზავნეს კაცი, რათა გაეგოთ, როგორ მზადდებოდა ეს კერძი.

ვასია 3-4-ჯერ ჩავიდა სევასტოპოლსა და მუხრატკაში სკოლის მიერ გამოყოფილი მანქანით, ტელეფონით დაურეკა მოსკოვში ამხანაგ პოსკრებიშევს და შინსახკომის ნომერ პირველი განყოფილების უფროსს.

ამა წლის 24 ნოემბერს ვასია სკოლის შტაბის უფროს გერასიმენკოსთან ერთად მოტოციკლეტით სეირნობდა სკოლის ტერიტორიაზე. იგი დაეცა, ოდნავ გაეკაწრა სახე და ხელები. ვასიას თხოვნით, გერასიმენკომ ეს ფაქტი რამდენიმე დღით დაუმალა სარდლობას.

ჯგუფის დაკომპლექტებამდე ვასია მეცადინეობდა მასწავლებელთან ფრენის თეორიაში. თვითმფრინავ უ-2-ის მატერიალური ნაწილებისა და მ-11 მოტორის წესების შესწავლაში. ასევე ითვისებდა წესდებას. კაჩის ავიასკოლის უფროსის — ივანოვისა და ყირიმის ასსრ შინსახკომის უფროს იაკუშევისათვის ჩემ მიერ გაგზავნილ წერილში მოცემულია შემდეგი მითითებები:

ა. მოიხსნას აშკარა დაცვა, როგორც მიუღებელი, და მოეწყოს აგენტურული დაცვა, მაგრამ ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს ვასიას სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ბ. ყურადღება და მზრუნველობა მის მიმართ გამოავლინონ არა იმ აზრით, რომ შეუქმნან რაღაც განსაკუთრებული პირობები, რომლებითაც დაირღვევა ავიასკოლის დადგენილი რეჟიმი და შინაგანაწესი, არამედ დაეხმარონ სკოლის პროგრამის კარგად ათვისებასა და სასწავლო და ყოფითი დისციპლინის დაცვის საქმეში.

**ლ. ბერია**

**«იოსებ, თუ შეიძლება, გამომიგზავნე ორმოცდაათი მანეთი, მე სამრეწველო აკადემიაში ფულს მხოლოდ 15 სექტემბერს მომცემენ, ახლა კი უკაპიკოდ ვზივარ. კარგი იქნება, თუ გამომიგზავნი. ნადია»**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ერიკ ზიუსეს აზრით, ბარაკ ობამას იმპიჩმენტი უნდა მოუწყონ „უკრაინასა და სხვაგან ჩადენილი დანაშაულების გამო. მსოფლიოს საზოგადოებრიობამ კი უნდა დაგმოს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის მოქმედებები და ჩადენილი სამხედრო დანაშაულებისთვის მასზე სამართლებრივი დევნა დაიწყოს...

OpEdNews:

# ობამა პოსტიდან უნდა გადააყენონ ჩადენილი სამხედრო დანაშაულების გამო

**„უკრაინის აღმოსავლეთში მიმდინარეობს ობამას მიერ ინიცირებული ეთნიკური წმენდის კამპანია“, — წერს OpEdNews-ის გვერდზე ჟურნალისტი ერიკ ზიუსე. მისი აზრით, ამერიკის პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურა უნდა დაიწყოს და ყველა ჩადენილი სამხედრო დანაშაულის, მათ შორის, უკრაინის კრიზისის გამო, პოსტიდან უნდა გადააყენონ.**

ჟურნალისტი ერიკ ზიუსე წერს დოკუმენტურ ფილმზე „უკრაინის კრიზისი დღეს“, რომელშიც, როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, „ინტერვიუს იძლევიან ტერორისტები (ასე უწოდებს მათ ჩვენი ქვეყანა), რომლებსაც უკრაინის ხელისუფლება ბომბავს. ეს ხელისუფლება დავსვით ჩვენ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 22 თებერვლის სახელმწიფო გადატრიალებისა და ვიქტორ იანუკოვიჩის კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ.

**ეს გადატრიალება წარმოაჩინეს, როგორც დემოკრატიული მოძრაობა, თუმცა მას ხელმძღვანელობდნენ უკრაინული ფაშისტური პარტიები და აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო. ახლა კი ხელისუფლება, რომელიც ჩვენ დავსვით, ომს აწარმოებს უკრაინის იმ ტერიტორიაზე, სადაც 2010 წელს ამომრჩეველთა დიდმა ნაწილმა მხარი იანუკოვიჩს დაუჭირა. ამერიკა იმ ოლქების მოსახლეობას, რომლებმაც ხმა იანუკოვიჩს მისცა, „ტერორისტებს“ უწოდებს. და სწორედ ამ ადამიანებს ბომბავს ახლა ჩვენი უკრაინული რეჟიმი**“.

„ზემოაღნიშნულ დოკუმენტურ ფილმში, — წერს ერიკ ზიუსე, — ნაჩვენებია ცეცხლმოდებული სახლები და დაღუპულთა ცხედრები და ეს არის „ობამას მიერ ინიცირებული ეთნიკური წმენდის მიზანი — თავიდან მოიცილონ ის ადამიანები, რომლებმაც ხმა მისცეს იანუკოვიჩს“.

ბარაკ ობამას, — წერს ჟურნალისტი, „უბრალოდ, არ სურს, ამ ადამიანების მონაწილეობა უკრაინაში გამართულ მორიგ ნამდვილ არჩევნებში, მას სურს, რომ იმხანად ისინი იქ აღარ იმყოფებოდნენ. და ეს ხდება ასე: „მათ თავზე დააყრიან ბომბებს და ბოლოს და ბოლოს, მიხვდებიან, რომ უკრაინის ახალი ხელისუფლება მათი მოხარული არ არის“. ზიუსეს თქმით, **ობამა ასე იმიტომ იქცევა, რომ სურს, უკრაინაში განალაგოს ატომური რაკეტები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს, სულ რაღაც 10 წუთში მოსკოვი პირისაგან მიწისა აღგავოს.**

ზემოაღნიშნული დოკუმენტური ფილმი წარმოაჩენს, რას მალავენ ამერიკის მედიასაშუალებები. **„ეს მედიასაშუალებები სიმართლის ნაცვლად ობამას ადმინისტრაციის ტყუილს ავრცელებენ თავისუფლებასა და დემოკრატიაზე, რომლებიც აშშ-ს უკრაინისთვის მიაქვს. სინამდვილეში კი ჩვენ ხელისუფლების სათავეში მოვიყვანეთ ფაშისტები... და იქ სამოქალაქო ომი გავაჩაღეთ“**.



ერიკ ზიუსე

2003 წელს ამერიკელებს მოსწონდათ ჯორჯ ბუშის ტყუილი „სადამ ჰუსეინის მასობრივი განადგურების იარაღის“ შესახებ, 2014 წელს კი მოეწონათ ობამას ტყუილი უკრაინაში „თავისუფლებისა“ და „დემოკრატიის“ დამყარებისა და „პუტინის ტერორისტებთან“ ბრძოლის შესახებ“, — წერს ავტორი.

**„რატომ არ არის აღშფოთებული ფართო საზოგადოებრიობა და რატომ არ გმობს ობამას მოქმედებას? მაშ, რაღა დარჩა ამერიკული დემოკრატიისგან?“** — სვამს კითხვას ერიკ ზიუსე, რომელიც აღიარებს, რომ ყოველთვის იყო დემოკრატი და ყოველთვის იმის წინააღმდეგ გამოდიოდა, რასაც რესპუბლიკური პარტია განიზრახავდა. „მაგრამ **ეს პრეზიდენტი და კონგრესში მყოფი დემოკრატებიც კი, რომლებიც არ მოითხოვენ ობამას იმპიჩმენტს, მხოლოდ ფასადია იმავე კორპორაციებისა, რომლებიც რესპუბლიკელებსაც მართავენ. უყურეთ ამ დოკუმენტურ ფილმს და გამოიტირეთ ამერიკული დემოკრატია, რადგან ის არ არსებობს“.**

ერიკ ზიუსე ყველას მოუწოდებს, გამორთონ ტელევიზორები და არ წაიკითხონ „ნიუ იორკ თაიმსი“, „ვაშინგტონ პოსტი“ და „მტაცებელი ამერიკელი არსიტოკრატიის რუპორები“. მისი აზრით, ყველა გონიერი ამერიკელი აუცილებლად უნდა გამოვიდეს ამ „პროფესიონალი მატყუარების“ წინააღმდეგ.

უწინარესად კი, **ერიკ ზიუსეს აზრით, ბარაკ ობამას იმპიჩმენტი უნდა მოუწყონ „უკრაინასა და სხვაგან ჩადენილი დანაშაულების გამო. მსოფლიოს საზოგადოებრიობამ კი უნდა დაგმოს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატის მოქმედებები და ჩადენილი სამხედრო დანაშაულებისთვის მასზე სამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს.**



«ეს მედიასაშუალებები სიმართლის ნაცვლად ობამას ადმინისტრაციის ტყუილს ავრცელებენ თავისუფლებასა და დემოკრატიაზე, რომლებიც აშშ-ს უკრაინისთვის მიაქვს. სინამდვილეში კი ჩვენ ხელისუფლების სათავეში მოვიყვანეთ ფაშისტები... და იქ სამოქალაქო ომი გავაჩაღეთ»



# არა — ცენზურას! — ამერიკელმა ჟურნალისტებმა ობამას საპროტესტო წერილი გაუგზავნეს

**აშშ-ის ადმინისტრაცია, რომელსაც ბოლო ხანს ხშირად აკრიტიკებენ საშინაო და საგარეო პოლიტიკაში შექმნილი პრობლემების გამო, კვლავ აღმოჩნდა სკანდალის ცენტრში: ჟურნალისტურმა ორგანიზაციებმა თეთრი სახლი მასობრივ საინფორმაციო საშუალებებზე პოლიტიკურ ზემოქმედებასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვაში დაადანაშაულეს.**

პრეზიდენტ ობამასადმი გაგზავნილი ღია წერილის ავტორები ამბობენ, რომ ხელისუფლებამ მათ პასუხი არ აღირსა, მაგრამ დანებებას არ აპირებენ.

**„სახელმწიფო ორგანოები სულ უფრო ხშირად უკრძალავენ თავიანთ თანამშრომლებს ჟურნალისტებთან საუბარს, თუკი ეს არ ხდება საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ნებართვით. ჩვენ ვთვლით, რომ ცენზურის ეს ფორმა არის მცდელობა იმისა, რომ გააკონტროლონ ის, რისი ნახვა და მოსმენაც სურს საზოგადოებას“,** — ნათქვამია წერილში, რომელსაც ხელს აწერენ ჟურნალისტთა 38 გაერთიანების წარმომადგენლები.

წერილის ავტორები ობამას ახსენებენ პრეზიდენტობის პირველ დღეს გაცემულ დაპირებას, რომ მისი ადმინისტრაცია საზოგადოებისთვის ღია და გამჭვირვალე იქნებოდა. ამ დაპირების შეუსრულებლობამ კი ამომრჩეველს იმედი გაუცრუა. წერილის ავტორთა აზრით, პრეზიდენტ ობამას სიტუაციის გამოსწორება მხოლოდ ერთი მეთოდით შეუძლია. მან სახელმწიფო მოხელეები უნდა დაავალდებულოს, რომ მედიის წარმომადგენელთა შეკითხვებს უპასუხოს.

**ჟურნალისტები წერენ, რომ ბევრი სახელმწიფო უწყება უკრძალავს თავის თანამშრომლებს მედიასთან ურთიერთობას, თუკი ასეთ საუბრებს პრესსამსახურის წარმომადგენლები არ ესწრებიან, ხშირად კი მაღალჩინოსნები შეკითხვებზე პასუხის გაცემას თავს არიდებენ. რეპორტიორებმა, რომლებსაც სურთ ინტერვიუს ჩაწერა, წინასწარ უნდა წარადგინონ შეკითხვების ჩამონათვალი,** — ამბობენ ამერიკელი ჟურნალისტები და დასძენენ, რომ სახელმწიფო უწყებების საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების წარმომადგენლები არცთუ იშვიათად წერენ თავიანთი ბოსების პასუხებს, თანაც ისე ბუნდოვნად, რომ მათი გამოყენება შეუძლებელია.

**ობამას ადმინისტრაციას ჟურნალისტების ღია წერილზე პასუხი ჯერჯერობით არ გაუცია.**



# ევროპა დოლარის ალტერნატივას ეძებს

**რამდენიმე დღის წინათ საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა მიშელ საპენმა თავის ევროპელ კოლეგებთან ბრიუსელში შეხვედრაზე ამერიკული დოლარის მიმართ ევროკავშირის დამოკიდებულების შესუსტების აუცილებლობაზე იმსჯელა.**

შესაძლოა, ამ დისკუსიამ მნიშვნელოვნად დააჩქაროს დოლარის, როგორც მსოფლიოს სარეზერვო ვალუტის, უარყოფის ტენდენცია, რაც უკვე გამოიკვეთა ბევრ სახელმწიფოში.

„ჩვენ, ევროპელები, ერთმანეთში ვვაჭრობთ დოლარებში, მაგალითად, როდესაც ვყიდით თვითმფრინავებს, მაგრამ აუცილებელია ეს? ვფიქრობ, არა. ჩემი აზრით, შესაძლებელია და აუცილებელიცაა, წონასწორობა აღვადგინოთ. და ეს ეხება არა მხოლოდ ევროს, არამედ სხვა ვალუტებსაც, მათ შორის, განვითარებადი ქვეყნების ეროვნულ ვალუტებს, ვაჭრობა უფრო გლობალური რომ იყოს“, — განუცხადა მიშელ საპენმა „ფაინენშელ თაიმსს“.

ბოლო 70 წელიწადია, ამერიკული დოლარი მსოფლიოს სარეზერვო ვალუტად ითვლება, რაც აშშ-ის ხელისუფლებას უფლებას აძლევდა, ვაჭრობის ბალანსის დეფიციტი მინიმალური ხარჯებით დაეფარა.

დღეს კი, კარგა ხნის შესვენების შემდეგ, როგორც ჩანს, ამერიკულ დოლარს ომს გამოუცხადებენ და უმთავრეს საფინანსო რესურსად ოქრო იქცევა.



**რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლებმა სუ-27-ისთვის შეიმუშავეს სპეციალური ტაქტიკა, რომელიც ამ გამანადგურებელს „სტელსის“ ტექნოლოგიით დამზადებულ თვითმფრინავებთან წარმატებით ბრძოლის საშუალებას აძლევს.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსული იარაღის 5 სახეობა, რომლებსაც ნატო უნდა უფრთხოდეს

**უცხოურ პრესაში გამოქვეყნდა სია 5 რუსული იარაღისა, რომლებსაც ნატო უნდა უფრთხოდეს. სამხედრო ექსპერტის აზრით, რუსეთს შეუძლია, „მტკივნეულად დაარტყას“ ჩრდილოატლანტიკურ სამხედრო ბლოკს.**


„ისკანდერი“

იარაღის ჩამონათვალი, რომლებიც, ომის დაწყების შემთხვევაში, რუსეთს ძალიან სახიფათო მოწინააღმდეგის სტატუსს მიანიჭებს გამოცემა The National Interest-მა გამოაქვეყნა. სტატიის ავტორის, რობერტ ფარლის აზრით, რუსეთს შეუძლია, „ნატოს მტკივნეულად დაარტყას იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, დიპლომატია ვერ იმოქმედებს, და პოლიტიკოსები ალიანსს უკრაინის ომში ჩაბმას აიძულებენ“.

**1.** საშიში იარაღების სიაში პირველია ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსი **„ისკანდერი“,** რომლის შექმნაც ცივი ომის ბოლო წლებში დაიწყეს. ეს რაკეტები, რომელთა მოქმედების რადიუსი 400 კმ-ია, დარტყმის მაღალი სიზუსტით გამოირჩევა. გარდა ამისა, მათ შეუძლია მანევრირება ფრენის პროცესში, აგრეთვე, მოძრავი მიზნების განადგურება. **ნატოს წევრი ქვეყნებსა და რუსეთს შორის საზღვრის გათვალისწინებით, „ისკანდერი“ რუსეთის არმიას აძლევს შესაძლებლობას, დააზიანოს ობიექტები, რომლებიც ღრმად არის განლაგებული ევროპის შიგნით.**

ანალიტიკოსის აზრით, რუსეთთან კონფლიქტის შემთხვევაში ნატო, პირველ რიგში, „ისკანდერის“ გამშვები მოწყობილობების განადგურებას შეეცდება, თუმცა დარტყმის წარმატებით განხორციელება დამოკიდებული იქნება იმაზე, ვინ გაბატონდება ჰაერში საომარი მოქმედებების თეატრის თავზე.


სუ-27

**2.** რუსეთის კიდევ ერთი იარაღი, რომლისაც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს უნდა ეშინოდეს, არის გამანადგურებელთა ოჯახის წარმომადგენელი **სუ-27**, რომელიც საბჭოთა კავშირმა ამერიკული გამანადგურებლის F-15-ის საპასუხოდ შექმნა.

სუ-27-ს აქვს დიდი სიჩქარე და შეუძლია შორ მანძილზე იფრინოს, რაც მთავარია, ის შესანიშნავი მანევრულობით გამოირჩევა. **რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლებმა სუ-27-ისთვის შეიმუშავეს სპეციალური ტაქტიკა, რომელიც ამ გამანადგურებელს „სტელსის“ ტექნოლოგიით დამზადებულ თვითმფრინავებთან წარმატებით ბრძოლის საშუალებას აძლევს**.

**3.** ძალიან სახიფათოდ ითვლება რუსეთის არმიის შეიარაღებაში არსებული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი **C-400 „ტრიუმფი“.** ნატოს სამხედრო ძალები, კარგა ხანია, ბრძოლაში არ ჩაბმულან ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის თანამედროვე სისტემებთან. ბოლო წლებში ალიანსის ბომბდამშენების ღირებულება ძალიან გაიზარდა და ერთი ასეთი თვითმფრინავის დაკარგვაც კი „ფინანსურ კატასტროფას“ გამოიწვევს.

C-400 შეიარაღებულია სამი სახეობის რაკეტით, რომელთა ამოცანაც საჰაერო ობიექტების განადგურებაა. რაკეტას, რომელიც დიდ მანძილზე მოქმედებს, შეუძლია 400 კმ-ის სიშორეზე მყოფი ობიექტის განადგურება. საშუალო მანძილზე მოქმედი რაკეტა კი სწრაფ და მანევრის უნარის მქონე ობიექტებს ანადგურებს. გარდა ამისა, „ტრიუმფს“ ბალისტიკური რაკეტის განადგურებაც შეუძლია. ამრიგად, **C-400-ის კომპლექსები, რომლებიც კალინინგრადშია განლაგებული, საფრთხეს წარმოადგენს ნატოს სამხედრო ოპერაციებისთვის ევროპის სიღრმეშიც კი.**


„შჩუკა-B“

**4.** პროექტ **971 „შჩუკა-B“**-ს მიხედვით შექმნილი წყალქვეშა ნავები სიაში მეოთხეა. გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ჯერ სსრკ-მა და შემდეგ რუსეთმა 15 ასეთი სუბმარინა დაამზადეს. **ამჟამად რუსეთი შეიარაღებულია 9 „შჩუკა-B“-ით. ამ წყალქვეშა ნავებს აქვს იარაღის დიდი არსენალი, მათ შორის, ტორპედოები და ფრთოსანი რაკეტები, რომლებსაც შეუძლიათ, გაანადგურონ როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო ობიექტები. ეს ნიშნავს, რომ ნატოს სანაპირო ზოლს საფრთხე შეექმნება.**

**5.** რუსეთის კიდევ ერთ მრისხანე იარაღად სტატიის ავტორი **სპეციალური დანიშნულების რაზმებს** მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ სპეცრაზმი არ ითვლება იარაღად, ამ სიტყვის ტექნიკური მნიშვნელობით, ის რუსეთის არმიის არსენალში არსებული ერთ-ერთი ეფექტიანი ინსტრუმენტია. **„ამ ქვედანაყოფებს მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ ნატოსთან ნებისმიერ კონფლიქტზე. შესაძლოა, მანამდეც კი, ვიდრე ნატო გააცნობიერებს, რომ კონფლიქტი დაიწყო“,** —ასკვნის რობერტ ფარლი.


C-400 „ტრიუმფი“





# ჩეხეთის ექსპრეზიდენტმა უკრაინის კრიზისში დასავლეთი დაადანაშაულა

**ჩეხეთის ექსპრეზიდენტმა ვაცლავ კლაუსმა უკრაინაში ამერიკული ინსტიტუტის მიერ მოწყობილ დებატებში უკრაინის კრიზისის შესახებ თავისი თვალსაზრისი გამოხატა.**

პოლიტიკოსმა, პირველ რიგში, დაგმო მასმედიის მიერ მოვლენების ცალმხრივად გაშუქება და თანაგრძნობა გამოუცხადა აღმოსავლეთი უკრაინის მშვიდობიან მოსახლეობას, რომელსაც ასეთი ბედი არ დაუმსახურებია. **„აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარეობს ნამდვილი ომი, რაც შემაძრწუნებელი და სახიფათოა! ეს უკრაინის ხელისუფლების უზარმაზარი შეცდომაა!“** — განაცხადა ვაცლავ კლაუსმა.

კლაუსი მიიჩნევს, რომ დასავლურმა მედიამ ხელი შეუწყო კონფლიქტის გაღვივებას დასავლეთსა და რუსეთს შორის. ამ კონფლიქტში კი რომელიმე მხარეს დადგომა უკრაინის უეჭველ გახლეჩას მოასწავებს.

**ჩეხეთის ექსპრეზიდენტის აზრით, კიევის მაიდანზე საპროტესტო აქციები რევოლუცია არ ყოფილა, რადგან ეს პროცესები დასავლელმა პოლიტიკოსებმა დაგეგმეს.** დღეს უკრაინას არ აქვს უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს უცხო ქვეყნების გავლენას, რომლითაც კარგად ისარგებლეს ძალებმა, რომლებიც კონფლიქტის შექმნით იყვნენ დაინტერესებულნი.

ყოფილი ექსპრეზიდენტი შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთ გამოსავლად კომპრომისს მიიჩნევს, კომპრომისულ გადაწყვეტილებად კი უკრაინის გაყოფას ასახელებს. **კლაუსის აზრით, უკრაინა მშვიდობიანად უნდა გაიყოს, როგორც ეს მოხდა ჩეხოსლოვაკიაში „ხავერდოვანი რევოლუციის“ შედეგად და წარმოიქმნა ორი სახელმწიფო — ჩეხეთი და სლოვაკეთი.**




# პანამის არხის კონკურენტის მშენებლობა 40 მლრდ დოლარი დაჯდება

**ნიკარაგუის სამთავრობო კომისიამ წყნარი და ატლანტის ოკეანეების შემაერთებელი არხის მშენებლობის პროექტი მოიწონა. გრანდიოზული ნაგებობა, რომელიც პანამის არხის მთავარი კონკურენტი იქნება, 40 მლრდ დოლარი დაჯდება.** პროექტის მიხედვით, არხის სიგრძე 278 კმ იქნება, სიგანე — 520 მ. ნაგებობა, სავარაუდოდ, შეითავსებს ნიკარაგუის ტბას, რომელიც უდიდესია ცენტრალურ ამერიკაში. არხის ამუშავება 2020 წლისთვის იგეგმება. დიდი ხანია, ექსპერტები ამბობენ, რომ პანამის არხი, რომელიც ამერიკელებმა 1914 წელს ააშენეს და რომლის სიგრძეც 77 კმ-ია, უკვე აღარ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

გეოპოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სიცრუის სამეფოს შექმნით, უკრაინაში კრიზისის გამოწვევით, რომელიც შეიძლება, სამოქალაქო ომში გადაიზარდოს, ვაშინგტონი და ნატო საფრთხეს უქმნიან მსოფლიოს. სიცრუე და ორპირობა მათი ხელმძღვანელებისა მომაკვდინებელია. ან რად ღირს ობამას განცხადება მერკელთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე, როდესაც კიეველ პუტჩისტებს ცინიკურად უწოდა „კანონიერად არჩეული" ხელისუფლება?! ცილისწამების, სიცრუისა და ისტერიკული განცხადებების მღვრიე ნაკადმა რუსეთის აგრესიულ განზრახვებზე ნატო და აშშ პროფესიონალი მატყუარების შტაბბინად გადააქცია, რომელიც ომის ცეცხლზე ნავთს ასხამს.**

# აშშ და ნატო, როგორც სიცრუის სამეფო



**მცირე შემოკლებით გთავაზობთ ესპანელი ისტორიკოსისა და პუბლიცისტის, ბარსელონის უნივერსიტეტის დოქტორის — იხინიო პოლოს ანალიტიკურ წერილს, რომელიც ესპანურმა ინტერნეტგამოცემა Rebelion-მა გამოაქვეყნა.**

უკრაინაში 2014 წლის 22 თებერვალს განხორციელებულმა სახელმწიფო გადატრიალებამ (ევროკავშირისა და აშშ-ის ფინანსური, მატერიალური და დიპლომატიური მხარდაჭერით) გამოიწვია სერიოზული კრიზისი, რომელიც ქვეყანას ქაოსში ჩაძირვითა და სამოქალაქო ომით ემუქრება.

**კრიზისის შესახებ კამათმა ევროკავშირის, აშშ-ისა და რუსეთის დიპლომატებს შორის, აგრეთვე, ურთიერთბრალდებებმა და საერთაშორისო პრესაში გავრცელებულმა დეზინფორმაციამ შექმნა მრუდე სარკე, რომელშიც ვაშინგტონი მოსკოვის პასუხისმგებლობის დანახვას ცდილობს**. თეთრი სახლის მიერ გაღვივებული ანტირუსული ისტერია მიმართულია სიმართლის დამალვისკენ, არადა, **ობამასა და ნატოს მაღალჩინოსანთა უსირცხვილო და თავხედურმა ტყუილებმა წალეკა დასავლური გაზეთები და ტელევიზორების ეკრანები. ობამას ერთ-ერთი ასეთი უსირცხვილო ტყუილი იყო მისი განცხადება ამა წლის 2 მაისის პრესკონფერენციაზე (მერკელთან ერთად), როდესაც კიეველ პუტჩისტებს „კანონიერად არჩეული" მთავრობა უწოდა.** არადა, ხელისუფლების სათავეში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოსული უკრაინის ხელისუფლების ყველა გადაწყვეტილება უკანონობაზეა დაფუძნებული, საპროტესტო აქციები კი, რომლებიც პუტჩს მოჰყვა, სწორედ იმ პრინციპების მიუღებლობით იყო გამოწვეული, რომლებსაც ხელისუფლება მოსახლეობის ნაწილს, განსაკუთრებით ქვეყნის სამხრეთ აღმოსავლეთში, თავზე ახვევდა.

უწინარესად, უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციისა და იანუკოვიჩის მთავრობის 21 თებერვლის შეთანხმება მეორე დღესვე დაირღვა. კიევის ქუჩებიდან სამართალდამცველების გაყვანამ (ამ შეთანხმების შესასრულებლად) ხელი ვერ შეუწყო გარდამავალი კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებას. უფრო მეტიც — ყველა სამთავრობო დაწესებულება მემარჯვენე რადიკალებმა ჩაიგდეს ხელში. შემდეგ კონსტიტუციის მოთხოვნების შესრულებაც შეწყვიტეს. უზენაესმა რადამ, რომლის დეპუტატებსაც გაფაციცებით აკვირდებოდნენ ნეოფაშისტური ორგანიზაციების — „მემარჯვენე სექტორისა" და „თავისუფლების" წარმომადგენლები, 328 ხმით მხარი დაუჭირა პრეზიდენტ იანუკოვიჩის ჩამოშორებას ხელისუფლებიდან. წინააღმდეგი არავინ ყოფილა. პუტჩისტებმა რეგიონების პარტიის რამდენიმე დეპუტატიც კი მოისყიდეს. დარღვევებით აღადგინეს 2009 წლის კონსტიტუცია, მაგრამ უკანონობაზე ყველა თვალს ხუჭავდა. **ვაშინგტონმა მწვანე შუქი აუნთო ახალ მთავრობას იაცენიუკის მეთაურობით, რომელიც მაიდნელ ყოჩაღ ბიჭებზე უფრო „ცივილიზებული" ჩანდა.**

კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის გადასაყენებლად უზენაეს რადას უნდა შეექმნა საგამოძიებო კომისია, რომელიც წარმოადგენდა მოხსენებას. თუ ამ მოხსენებას დეპუტატების ორი მესამედი დაუჭერდა მხარს, რადას შეეძლო, უზენაესი სასამართლოსთვის მიემართა ხელისუფლებიდან პრეზიდენტის ჩამოშორების შესახებ. და, თუ ამ წინადადებას სასამართლოც მხარს დაუჭერდა, რადას შეეძლო, კვლავ განეხილა აღნიშნული საკითხი და ხმების 3/4-ით პრეზიდენტი გადაეყენებინა. კონსტიტუციის ეს მოთხოვნები არ შესრულებულა. **უზენაეს რადაშიც კი, რომელსაც ნეონაცისტი „ბოევიკები" აკონტროლებდნენ, იანუკოვიჩის გადაყენებას მხოლოდ 328-მ დაუჭირა მხარი, ნაცვლად საჭირო 338-ისა.** ნათლად ჩანდა, რომ იანუკოვიჩის გადაყენება შეუძლებელი იყო, თუმცა ვაშინგტონს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, ნებისმიერი გზით მოეშორებინა კანონიერი გზით არჩეული ხელისუფლება. და აშშ-ისა და ევროკავშირის მხარდაჭერით დაიწყო სახელმწიფო გადატრიალება. **დასავლური პროპაგანდისტული მანქანის დახმარებით მოუხერხებლად ცდილობდნენ, სახელმწიფო გადატრიალება დემოკრატიის საბურველში გაეხვიათ, ვაშინგტონი კი განკარგულებებს გასცემდა იმ პირებზე, რომლებიც სათავეში უნდა ჩასდგომოდნენ უკრაინის ხელისუფლებას.** ამ მომენტიდან მსოფლიოს წამყვანმა მედიასაშუალებებმა შეწყვიტეს პუტჩისტების მთავრობაზე წერა, დასავლეთის ქვეყნების დიპლომატიურმა უწყებებმა კი



**თუ აშშ-ის ძალიან თავისებურ მსჯელობას გავყვებით, ევროკავშირის სწრაფვა თავისი წევრების რაოდენობის გაზრდისკენ სრულიად გამართლებულია, მაგრამ, თუკი მსგავს მიზნებზე რუსეთი ალაპარაკდება და საბჭოთა კავშირის შექმნის შესახებ განაცხადებს, ეს უკვე «ექსპანსიაა», რომელიც მსოფლიოს საფრთხეს უქმნის**



ისე დაიწყეს სახელმწიფო გადატრიალების მთავარი ფიგურების მიღება, თითქოს ისინი სახელმწიფო მოღვაწეები ყოფილიყვნენ. მათ მოვალეობას დროებით შემსრულებლებს უწოდებდნენ ან, უბრალოდ, კიევის ხელისუფლებას.

სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ოპოზიციონერთა დევნა დაიწყო. ეს გამოიხატებოდა შენობების დაწვაში, დაპატიმრებებსა და მკვლელობებშიც კი. უკრაინაში შიში გამეფდა. **27 აპრილს ლვოვში, უკრაინელი ნაციონალისტების დედაქალაქში, მემარჯვენე რადიკალებმა მარშით აღნიშნეს ფაშისტური გერმანიის ეს-ეს-ის დივიზია „გალიციის" დაარსებიდან 71-ე წლისთავი.** უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში სახელმწიფო გადატრიალებამ სახალხო მღელვარება გამოიწვია, ყირიმში რეფერენდუმი ჩატარდა, რომლის შედეგადაც ეს ნახევარკუნძული რუსეთს მიუერთდა. ამის პარალელურად, აზვირთდა საპროტესტო ტალღა დონეცკში, ხარკოვში, ლუგანსკში, ოდესასა და სხვა ქალაქებში. რეპრესიებმაც არ დააყოვნა, თუმცა დასავლური პრესა არაფერს ამბობდა ახალი ხელისუფლების თავაშვებულობაზე.

**დასავლეთის კარგად გამართულმა პროპაგანდისტულმა მანქანამ სიცრუის, ორაზროვნებისა და ბუნდოვანი გამონათქვამების გამოყენებით მყისვე ატეხა ანტირუსული ისტერია ახალი ცივი ომის თაობაზე, რომლის დაწყების არავითარი სურვილი მოსკოვს არ ჰქონია, იმიტომ, რომ რუსეთის ამჟამინდელი შესაძლებლობები შორს არის იმ შესაძლებლობებისგან, რომლებიც საბჭოთა კავშირს ჰქონდა. რუსეთის ჯარები, რომლებიც, ვაშინგტონის მტკიცებით, უკრაინაში შევიდნენ, არავის უნახავს, ყირიმში კი სამხედრო მოსამსახურეები რუსეთ-უკრაინის შეთანხმების საფუძველზე იმყოფებიან და სამხედრო სამსახურს სევასტოპოლში, რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ბაზაზე გადიან.**

გარდა ამისა, **დასავლეთის ქვეყნების დიპლომატიურმა უწყებებმა და მათმა მხარდამჭერმა მედიასაშუალებებმა არაფერი თქვეს ორ მნიშვნელოვან საკითხზე: კიევში სნაიპერების მიერ 20 ადამიანის დახოცვაზე მაიდნელი აქტივისტების პასუხისმგებლობის შესახებ**. იმხანად პასუხისმგებლობა იანუკოვიჩის მთავრობას დააკისრეს, მაგრამ **ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ სნაიპერები ე. წ. ევროინტეგრაციის მომხრეთა ინსტრუქციებით მოქმედებდნენ. უკრაინის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა ალექსანდრე იაკიმენკომ განაცხადა, რომ სნაიპერები ე. წ. მაიდნის კომენდანტ ანდრეი პარუბიისა და აშშ-ის საელჩოს მითითებით მოქმედებდნენ.** აღსანიშნავია, რომ ახლა კიევის ხელისუფლება, ევროკავშირი და აშშ უარს ამბობენ კომისიის შექმნაზე, რომელიც ამ ფაქტებს გამოიძიებს.

**მეორე საკითხია** დასავ**ლელი დაქირავებულების მონაწილეობა საპროტესტო აქციებში.** ევროპელი მინისტრებისა და ამერიკელი სენატორების უხეშ ჩარევასთან ერთად, რომლებიც დაუფარავად მოუწოდებდნენ იანუკოვიჩის ხელისუფლების დამხობისკენ, **დაქირავებულთა ჯგუფი ყველანაირად ცდილობდა დაპირისპირების გაღვივებას და ხელს უწყობდა ქაოსის წარმოქმნას სახელმწიფო გადატრიალების გასამართლებლად.** შემდეგ დაქირავებულები უკრაინელ ნაციონალისტებს ქვეყნის სხვადასხვა ოლქში დაწყებული სახალხო გამოსვლების დასათრგუნად ეხმარებოდნენ. **შეტაკებებში მონაწილეობდა კერძო სამხედრო კომპანია Blackwater-თან მჭიდროდ დაკავშირებული კომპანია Greystone-ს 50 თანამშრომელი. Blackwater-მა კი სახელი გაითქვა ერაყში ჩადენილი სისხლიანი მხეცობებით. ეს სააგენტოები დაქირავებულთა ცინიკური ენით სთავაზობენ მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებს „მომსახურებას და საკითხების გადაწყვეტას უსაფრთხოების სფეროში". სინამდვილეში კი ისინი არიან პროფესიონალი მკვლელები, რომლებსაც ხშირად აფინანსებს აშშ-ის ადმინისტრაცია.**

ანტირუსული **ისტერია აიტაცა ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმაც, რომელმაც მსოფლიოში გაავრცელა ტყუილი, რომ „საომრად გამზადებული ათიათასობით რუსი ჯარისკაცი უკრაინის საზღვართან დგას და მხოლოდ ბრძანებას ელოდება.** ფაქტების მიუხედავად, რასმუსენი უარყოფს 1990-იან წლებში მოსკოვთან შეთანხმების დარღვევით ნატოს გაფართოებას აღმოსავლეთით. რასმუსენის შემდეგ **პენტაგონის ხელმძღვანელ ჩაკ ჰეიგელისა და პოლონეთის თავდაცვის მინისტრის რიგი დადგა, რომლებმაც გადაწყვიტეს, ანტირუსული ისტერიისთვის მხარი დაეჭირათ და რამდენიმე შეუსაბამო განცხადება გააკეთეს რუსეთის თითქოს აგრესიულ განზრახვებზე.** ამით ისინი ნატოს გაფართოებისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ამერიკელი სამხედროების გადასროლის გამართლებას შეეცადნენ. თავის მხრივ, **აშშ-ის ყოფილმა ელჩმა რფ-ში ალექსანდრე ვერშბოუმ, ამჟამად** ▶

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკრაინის ეკონომიკა კრახის ზღვარზეა, სიტუაცია სულ უფრო უმართავი ხდება, სახელმწიფო ვერ ახერხებს მიწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდასაც კი, ასიათასობით მშრომელი ხელფასს ვერ იღებს, ფასები ყველაფერზე გაიზარდა, შიმშილის პერსპექტივა კი უფრო რეალური ხდება. ამასთანავე, დასავლეთის დაპირება ეკონომიკური დახმარების შესახებ, დაპირებად რჩება, ხოლო ვაშინგტონის, ბრიუსელისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ნეოლიბერალური რეკომენდაციები ნიშნავს იმას, რომ უკრაინა თავისი ბიზნესის განვითარებისთვის პირობებს ვერ შექმნის, დასავლური კომპანიებისთვის კი ეს პირობები საუცხოო იქნება.**

**ნატოს გენერალურმა მდივანმა, რუსეთს მტერი უწოდა და დასძინა, რომ „რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის თავიდან ასაცილებლად ნატო უკრაინის, მოლდოვას, სომხეთისა და საქართველოს არმიებს მოდერნიზაციაში დაეხმარება“. ამით, ისე, რომ არც უფიქრია, ვერშბოუმ ნატოს გაფართოების პროგრამა გაამჟღავნა**. ამასთანავე, ფრანგული, ამერიკული და კანადური გამანადგურებლებიც კი რუმინეთსა და პოლონეთში გადააფრინეს, რამდენიმე ასეული ამერიკელი სამხედრო გადაიყვანეს პოლონეთში, ესტონეთში, ლატვიასა და ლიტვაში. **ნატოსა და პენტაგონის მატყუარა ხელმძღვანელები სინდისის ქენჯნის გარეშე გაჰყვირიან რუსეთის ექსპანსიის შეჩერების აუცილებლობაზე და ამით ნატოს ახალ პოლიტიკას უყრიან საფუძველს.**

**ამერიკული ორპირობის ნათელი მაგალითია აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის — ჯონ ბრენანის ჩასვლა კიევში (თავდაპირველად ვაშინგტონი ცდილობდა, დაემალა ვიზიტის ფაქტი, მაგრამ შემდეგ იძულებული შეიქნა, ეღიარებინა) აღმოსავლეთ უკრაინაში სამხედრო ოპერაციის მომზადების მიზნით. ამას მოჰყვა აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ვიზიტი კიევის მემარჯვენე-რადიკალი ხელისუფლების მხარდასაჭერად. სწორედ ასეთ მხარდაჭერას ელოდნენ კიეველი პუტჩისტები.** ამის შემდეგ მათ დაიწყეს მზადება ქვეყნის აღმოსავლეთში სახალხო მღელვარების იარაღით ჩასაცხრობად. მაისის დასაწყისში კიევის ხელისუფლებამ ამ ოლქებში ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები გაგზავნა, რასაც კრამატორსკისა და სლავინსკის მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი მოჰყვა. საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოხდა ოდესაშიც, სადაც რადიკალებმა 46 ადამიანი დაწვეს.

ევროპა, განსაკუთრებით — **გერმანია, უფრო წინდახედულად იქცევა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ დამოკიდებულია რუსეთიდან ენერგორესურსების მიწოდებაზე, არამედ იმიტომაც, რომ აცნობიერებს, რა შეიძლება მოჰყვეს ომის მანქანის ამუშავებას, თუმცა ვაშინგტონი მაინც მოახერხებს მათ დათანხმებას ნატოსა და პენტაგონის პროგრამის განხორციელებაზე**. მეორე მხრივ, ქვეყნები (პოლონეთი, ბალტიისპირეთის სახელმწიფოები), რომლებიც აშშ-ის ფარვატერს მიჰყვებიან, აგრეთვე, საფრანგეთი და ბრიტანეთი ვაშინგტონის გადაწყვეტილებების უსიტყვოდ შესრულებისკენ იხრებიან. **მოსკოვის მიმართ მუქარები და ეკონომიკური სანქციები, შავ ზღვაში სამხედრო ხომალდების გაგზავნა რუსეთის იზოლაციას ისახავს მიზნად და ნამდვილი პროვოკაციაა, — განაცხადეს გერმანიის ყოფილმა კანცლერებმა: ჰელმუტ კოლმა, ჰელმუტ შმიდტმა და გერჰარდ შრედერმა.**

**რა არის მიზეზები, რომელთა გამოც აშშ-მა და ევროკავშირმა ასეთი ფსონი დადეს უკრაინაზე და რაც ნამდვილ პროვოკაციად უნდა განვიხილოთ?**




**ვაშინგტონს სურს, აიძულოს ევროკავშირი, დაიკისროს სამხედრო ხარჯების დიდი წილი: რაც უნდა გამოგონილი იყოს ხმაური რუსულ ექსპანსიაზე, ის საკმაოდ ეფექტიანია იმისთვის, რომ ბერლინი, პარიზი და ლონდონი აიძულო, ნატოსთვის მეტი სახსრები გამოყონ, რომელთაც ვაშინგტონი გამოიყენებს (ისევე, როგორც ავღანეთში) ახალ კონფლიქტებში, თუმცა ეს ალიანსის წესდებას ეწინააღმდეგება**

**პირველი** — **ევროკავშირისა და აშშ-ის გავლენის ზონების გაფართოება, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე ზემოქმედების გაგრძელება, მათზე მოსკოვის გავლენის შესამცირებლად და კავშირის საბოლოო გადაწყვეტა იმ რესპუბლიკებს შორის, რომლებიც 20 წლის წინათ ერთ სახელმწიფოში არსებობდნენ.** თუ აშშ-ის ძალიან თავისებურ მსჯელობას გავყვებით, ევროკავშირის სწრაფვა თავისი წევრების რაოდენობის გაზრდისკენ სრულიად გამართლებულია, მაგრამ, თუკი მსგავს მიზნებზე რუსეთი ალაპარაკდება და საბაჟო კავშირის შექმნის შესახებ განაცხადებს, ეს უკვე „ექსპანსიაა“, რომელიც მსოფლიოს საფრთხეს უქმნის. ეს აიხსნება იმით, რომ ვაშინგტონი რუსეთის იზოლაციისკენ მიილტვის. **უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალება კიდევ ერთ ფარულ მიზანს ემსახურებოდა: გაუქმებას რუსეთ-უკრაინის ხელშეკრულებისა სევასტოპოლში (ყირიმი) რუსეთის შავი ზღვის ფლოტის განლაგების შესახებ. თუმცა ამ გეგმას უკვე განხორციელება აღარ უწერია — ყირიმი რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნდა.**

**მეორე** — **აშშ-ს სურს ნატოს სამხედრო სტრუქტურის განახლება და ალიანსისთვის ახალი როლის მინიჭება, რომელმაც ხელი არ უნდა შეუშალოს სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის მიღებას ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში. არ უნდა დაგვავიწყდეს გადაიარაღების მასშტაბური პროგრამაც, რომლის განხორციელებაც ევროპელი მოკავშირეებისგან სამხედრო ხარჯების გაზრდას ითხოვს.**

**ნატოში უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას შესვლა ნიშნავს, რომ რუსეთი ალიანსის წევრი ქვეყნების წრეში მოექცევა და დაკარგავს გავლენას არა მხოლოდ თავის პერიფერიებზე, არამედ რეგიონის ლიდერი სახელმწიფოს როლის შესასრულებლად იქნება განწირული.** თუ ნატო განაახლებს თავის სტრუქტურას და შეპყრობილი იქნება საომარი ისტერიით (დღეს მას ანტირუსული მიმართულება აქვს, ხვალ კი შეიძლება ანტიჩინური იყოს), ხოლო ევროკავშირი და რუსეთი კონფლიქტში ჩაეფლობიან, აშშ ამ პირობებით ისარგებლებს და შეეცდება, უახლოეს ათწლეულებში თავისი მთავარი კონკურენტი — ჩინეთი — შეაჩეროს.

**მესამე** — **ვაშინგტონს სურს, აიძულოს ევროკავშირი, დაიკისროს სამხედრო ხარჯების დიდი წილი: რაც უნდა გამოგონილი იყოს ხმაური რუსულ ექსპანსიაზე, ის საკმაოდ ეფექტიანია იმისთვის, რომ ბერლინი, პარიზი და ლონდონი აიძულო, ნატოსთვის მეტი სახსრები გამოყონ, რომელთაც ვაშინგტონი გამოიყენებს (ისევე, როგორც ავღანეთში) ახალი კონფლიქტებში, თუმცა ეს ალიანსის წესდებას ეწინააღმდეგება.** მოკავშირეებზე ზეწოლისთვის ობამა და პენტაგონი იყენებენ მათზე დამოკიდებული ქვეყნების მაღალჩინოსნებს, კერძოდ, პოლონეთის თავდაცვის ულტრამემარჯვენე მინისტრ ტომაშ სემონიაკს, რომელიც მსჯელობს „რუსეთის ახალ სამხედრო დოქტრინაზე, რომლისთვისაც მისაღებია უხეში ჩარევა სხვა სახელმწიფოების საქმეებში“, მაგრამ **შორსმჭვრეტელი მინისტრი რატომღაც ხმას არ იღებს ამერიკელთა სამხედრო ჩარევაზე სხვა ქვეყნების საქმეებში.**

**მეოთხე** — **აშშ ცდილობს, დაარღვიოს კავშირები, რომლებიც მოსკოვმა და პეკინმა ბოლო წლებში განამტკიცეს ენერგეტიკასა და სამხედრო სფეროებში, თუმცა ამ ამოცანის გადაწყვეტა ვაშინგტონისთვის იოლი არ იქნება, რადგან ზემოქმედება მოსკოვს აიძულებს, უფრო დაუახლოვდეს აზიას**. ყველაფრის მიუხედავად, **პენტაგონი და თეთრი სახლი მაინც არ წყვეტენ ფიქრს მოსკოვის იზოლაციაზე, ნატოს გაფართოებაზე აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში, რუსული სტრატეგიული სისტემების ნეიტრალიზაციაზე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მეშვეობით და რუსეთის გადაქცევაზე მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ...**

დასავლური მედიის ანტირუსული ისტერიის მიუხედავად, მოსკოვი დაინტერესებული არ არის უკრაინაში ვითარების გამწვავებით და იქ სამოქალაქო ომის გაჩაღებით. **უკრაინის ეკონომიკა კრახის ზღვარზეა, სიტუაცია სულ უფრო უმართავი ხდება, სახელმწიფო ვერ ახერხებს მიწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის გადახდასაც კი, ასიათასობით მშრომელი ხელფასს ვერ იღებს, ფასები ყველაფერზე გაიზარდა, შიმშილის პერსპექტივა კი უფრო რეალური ხდება. ამასთანავე, დასავლეთის დაპირება ეკონომიკური დახმარების შესახებ, დაპირებად რჩება, ხოლო ვაშინგტონის, ბრიუსელისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ნეოლიბერალური რეკომენდაციები ნიშნავს იმას, რომ უკრაინა თავისი ბიზნესის განვითარებისთვის პირობებს ვერ შექმნის, დასავლური კომპანიებისთვის კი ეს პირობები საუცხოო იქნება.**

ნატოს მოქმედება ლიბიასა და სირიაში, რომელმაც ამ ქვეყნებში ომი გამოიწვია, ძალიან ჰგავს იმ მოქმედებას, რომელმაც ნიადაგი მოამზადა სახელმწიფო გადატრიალებისთვის უკრაინაში. შემდეგ ნატოს წევრმა სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირეს კიევის ხუნტას („დროებითი მთავრობა“ — ასე უწოდებენ მას თავიანთ მატყუარა ენაზე), რომელსაც ისეთი შეუსაბამო პერსონაჟი მეთაურობდა, როგორიც არის იაცენიუკი, რომელსაც სინდისის ოდნავი ქენჯნის გარეშე შეუძლია განაცხადოს, მოსკოვს სურს მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებაო. **შეიძლება ვიფიქროთ, რომ მსოფლიოს დაავიწყდა ვაშინგტონისა და ნატოს გამუდმებული ტყუილები, აშშ-ის სისხლიანი ინტერვენციები, განცხადებები იმის შესახებ, რომ ერაყს მასობრივი განადგურების იარაღი აქვს, ავღანეთში შეჭრის გამოგონილი მიზეზები, სეიმურ ჰერშის აღიარება, თუ ვინ იდგა სინამდვილეში სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების უკან, აგრეთვე, სიმართლე პროვოკაციებისა და სახელმწიფო გადატრიალების შესახებ კიევში. ყველაფრის მიუხედავად, ამერიკის მმართველი წრეები კვლავაც განაგრძობენ მსოფლიოში სიცრუის გავრცელებას ჟურნალისტებისა საზოგადოებრივ აზრზე მანიპულატორების მთელი ლეგიონის დახმარებით.**

ვაშინგტონი და ნატო ცდილობენ, დამალონ სიმართლე, რომ უკრაინაში კრიზისი მათი მხარდაჭერით მოწყობილმა სახელმწიფო გადატრიალებამ გამოიწვია, რომ მათმა შეგირდებმა არ შეასრულეს პირველი შეთანხმება უკრაინის მთავრობასა და ოპოზიციას შორის, რომ კიევის ახლანდელი მმართველი ხელისუფლების სათავეში სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოვიდა, რომ პუტჩისტებმა არ შეასრულეს ჟენევის ხელშეკრულება და დაიწყეს მხოლოდ სახალხო ლაშქრის განიარაღება ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში, მაიდნელ ექსტრემისტებსა და „მემარჯვენე სექტორის“ ფაშისტებს კი, რომლებმაც ოდესაში ხოცვა-ჟლეტა მოაწყეს, ხელი არ ახლეს. ეს ვაშინგტონისა და ნატოს ერთადერთი ტყუილი არ არის. **აქამდე ბარაკ ობამა ამტკიცებდა, რომ არაფერი იცოდა ჯაშუშობის მასშტაბის შესახებ, რომელსაც აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო (ნუს) და ამ ქვეყნის სხვა სპეცსამსახური ეწეოდა. ახლა გაირკვა, რომ ობამა ამ საკითხშიც ცრუობდა: 2014 წლის 15 აპრილს გაზეთმა „ნიუ იორკ თაიმსმა“ გამოაქვეყნა წერილი, რომ ობამამ უფლება მისცა ნუს-ს, ეთვალთვალა მილიონობით ადამიანისთვის, აგრეთვე, უცხო ქვეყნების მთავრობებისა და კომპანიების წარმომადგენლებისთვის.**

სიცრუის სამეფოს შექმნით, უკრაინაში კრიზისის გამოწვევით, რომელიც შეიძლება, სამოქალაქო ომში გადაიზარდოს, ვაშინგტონი და ნატო საფრთხეს უქმნიან მსოფლიოს. სიცრუე და ორპირობა მათი ხელმძღვანელებისა მომაკვდინებელია. ან რად ღირს ობამას განცხადება მერკელთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე, როდესაც კიეველ პუტჩისტებს ცინიკურად უწოდა „კანონიერად არჩეული“ ხელისუფლება?! ცილისწამების, სიცრუისა და ისტერიკული განცხადებების მღვრიე ნაკადმა რუსეთის აგრესიულ განზრახვებზე, ნატო და აშშ პროფესიონალი მატყუარების შტაბბინად გადააქცია, რომელიც ომის ცეცხლზე ნავთს ასხამს.

**Rebelion.org. (ესპანეთი)**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1960-იან და 1970-იან წლებში ეს სააგენტო, სხვა სადაზვერვო სამსახურებთან ერთად, უკანონოდ უთვალთვალებდა კონგრესმენებსა და ჟურნალისტებს, მარტინ ლუთერ კინგ უმცროსს და ადამიანთა უფლებებისათვის სხვა მებრძოლებს, ასევე ვიეტნამის ომის მოწინააღმდეგე ცნობილ სახეებს, მაგალითად, მუჰამედ ალისა და ბენჯამენ სპოკს.**

# ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს რეფორმირება, ანუ ჯაშუშობა სნოუდენის შემდეგ

**გასულ ზაფხულს აშშ-ში ახალი ძალით იფეთქა მოძველებულმა დებატებმა ნაციონალურ უსაფრთხოებასა და სამოქალაქო თავისუფლებებს შორის კომპრომისთან დაკავშირებით. მაშინ ედვარდ სნოუდენმა, ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომელმა, ჟურნალისტებს გადასცა მკაცრად გასაიდუმლოებული მასალების სქელი ტომი, რომელშიც გამანადგურებელი წვრილმანებით იყო ასახული ელექტრონული თვალთვალის და ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს სხვა ოპერაციები. ამერიკელებმა მოულოდნელად გაიგეს, რომ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში სააგენტო აშშ-ში ასიათასობით მოქალაქის სატელეფონო და ინტერნეტ-კონტაქტების ბაზებს ქმნიდა, ასევე აგროვებდა სატელეფონო საუბრების ჩანაწერების გიგანტურ ტომებს, რომლებიც ცნობილია „მეტამონაცემების“ სახელით. ამერიკელებმა დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად აღმოაჩინეს, რომ სააგენტო უსმენდა საგარეოპოლიტიკური უწყებების ხელმძღვანელებს, უთვალთვალებდა და აყურადებდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით კავშირებსა და კონტაქტებს გაცილებით უფრო აგრესიულად, ვიდრე მანამდე ეგონათ.**



**ობამამ საყოველთაო აღშფოთებისგან დაიცვა ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო, ხაზი გაუსვა სადაზვერვო მონაცემების შეგროვების აუცილებლობას და აღნიშნა, რომ არაფერი მიანიშნებს სადაზვერვო სამსახურების მხრიდან კანონის დარღვევის მცდელობაზე**

ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ქმედებები მთელმა მსოფლიომ დაგმო, ამერიკაში პოლიტიკური სპექტრის ორივე ბოლოში განიკითხეს, სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირმა შეაფასა, როგორც ადამიანის უფლებების და თავისუფლებების უხეში დარღვევა, სხვა ქვეყნების ნაციონალური სუვერენიტეტის უპატივცემულობა, აშშ-ის კონსტიტუციაზე სრულმასშტაბიანი შეტევა, უხამსობა და ასე შემდეგ.

ობამამ საყოველთაო აღშფოთებისგან დაიცვა ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო, ხაზი გაუსვა სადაზვერვო მონაცემების შეგროვების აუცილებლობას და აღნიშნა, რომ არაფერი მიანიშნებს სადაზვერვო სამსახურების მხრიდან კანონის დარღვევის მცდელობაზე.

ობამამ თავდაჯერებულად ჩამოაყალიბა რეფორმის ძირითადი პრინციპები, მაგრამ ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი ბურუსით მოცული დატოვა. მაგალითად, იანვარში მან განაცხადა, რომ აშშ განაგრძობს სხვა ქვეყნების მოქალაქეებისა და სხვა სახელმწიფოების ლიდერების წინააღმდეგ ჯაშუშობას, „თუ ამას დაჟინებით მოითხოვს სახელმწიფო უშიშროების ინტერესები“. ამ უკანასკნელი პირობის გამოყენება კი ათასგვარად შეიძლება.

რეფორმის შემოთავაზება ასახავს ფუნდამენტურ ინტერესთა კონფლიქტს ამერიკული საზოგადოების მოთხოვნებსა და სადაზვერვო საზოგადოების საჭიროებებს შორის. რეალური პრობლემა, რომელიც სნოუდენმა გამოავლინა, ის არაა, რომ სახელმწიფო სააგენტო აბსოლუტურად აღარ ექვემდებარება კონტროლს: ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს შეგნებულად და წინასწარი განზრახვით არასდროს გადაუმეტებია იმ უფლებამოსილებებისთვის, რომლებიც მას მიანიჭეს თეთრმა სახლმა, კონგრესმა და სასამართლოებმა. **ამ მხილებებმა გამოავლინა ფუნდამენტური დაპირისპირება იმ ორ რამეს შორის, რასაც მოქალაქეები და ხელისუფლება მოითხოვენ სპეცსამსახურებისგან: მაღალი, თუ არა იდეალური, უსაფრთხოების დონე, ერთი მხრივ, და პირადი ცხოვრების მკაცრი ხელშეუხებლობა, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა, მეორე მხრივ.** ამ მოთხოვნების შეთავსება მუდამ ჭირდა, დღეს კი, უბრალოდ, შეუძლებელია. სინამდვილეში სნოუდენმა ამხილა იმ შეთანხმების დარღვევა, რომლის საფუძველზეც მოქმედებდნენ აშშ-ის სპეცსამსახურები 1970-იანი წლებიდან.

ოთხი ათწლეულის მანძილზე დაზვერვა კომპრომისს ეყრდნობოდა. ახლა მას მოუწევს, განსაზღვროს, ნამდვილად გადაიწონის თუ არა ახალი პროგრამის უპირატესობები მხილების პოტენციურ ნაკლოვანებებს. ამგვარ გადაწყვეტილებებს მუდამ აქვს ფასი. ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მხრიდან თვალთვალზე ახალი შეზღუდვების დაწესებით, შესაძლოა, შემცირდეს სახელმწიფოს ინფორმირებულობა საფრთხეებისა და შესაძლებლობების თაობაზე. ამიტომ აშშ-ის პოლიტიკოსებსა და მოქალაქეებს მოუწევთ, დაფიქრდნენ, რა დოზით შეუძლიათ უსაფრთხოებისა და დიპლომატიური უპირატესობების მსხვერპლად გაღება სადაზვერვო საზოგადოების თავშეკავების სანაცვლოდ.

## დიდი კომპრომისი

ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო აცხადებს, რომ მისმა მოღვაწეობამ ხელი შეუწყო სამშობლოში და საზღვარგარეთ მრავალი ტერაქტის თავიდან აცილებას. ამგვარი მტკიცებების გადამოწმება შეუძლებელია გასაიდუმლოებულ მასალებთან წვდომის გარეშე. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, **წარმატების საზომი საშუალებები ძალზე საეჭვოდ გამოიყურება. ჭეშმარიტი მისია ხომ მხოლოდ ტერაქტების თავიდან აცილება არ არის.** სააგენტო ცდილობს, გამოავლინოს ტერორისტები, გამოარკვიოს მათი ორგანიზაციის სტრუქტურა, წინასწარ განსაზღვროს მათი ქმედებები და ჩაშალოს მათი გეგმები. ბოლო წლებში ორგანიზაციამ ამ ამოცანების გადასაჭრელად ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოს მიერ მონაცემთა შეგროვებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს წარმატებული კონტრტერორისტული მოღვაწეობის ერთადერთი პირობა არ არის.

გარდა ამისა, სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ბოლო დებატებზე რატომღაც მხოლოდ კონტრტერორისტული საქმიანობით შემოიფარგლნენ. ეს გასაგებიცაა: აშშ-ის სახელმწიფო მოხელეები მშვენივრად აცნობიერებენ, რომ სააგენტოს დაცვის ყველაზე მარტივი გზა სნოუდენის მხილებების შემდეგ არის სტრუქტურის როლის ხაზგასმა ტერაქტების თავიდან აცილების საქმეში. უფრო მეტიც, სატელეფონო მეტამონაცემების უდიდესი მასივების შეგროვება, რაც სნოუდენის მხილებებს შორის ყველაზე დიდ სკანდალად იქცა, კონტრტერორისტული პროგრამა აღმოჩნდა.

სინამდვილეში სააგენტო ამერიკის ოფიციალურ პირებს ამარაგებს კონფიდენციალური ინფორმაციით უცხოეთის ოფიციალური პირების პოზიციათა შესახებ. ეს თვით მოკავშირეებთან ურთიერთობაშიც კი უპირატესობაა, რადგან მეგობრულმა ქვეყნებმაც კი ზოგჯერ, შესაძლოა, ყველაფერი არ გაუმხილონ ვაშინგტონს მასზე გავლენის მოხდენის ან უხერხული სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით.

თავისი ამოცანების შესასრულებლად ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტომ ინფორმაციის შეგროვების უზარმაზარი რესურსი შექმნა, ამერიკელ ხალხს კი ეჭვებისთვის მტკიცე ისტორიული საფუძველი აქვს: 1960-იან და 1970-იან წლებში ეს სააგენტო, სხვა სადაზვერვო სამსახურებთან ერთად, უკანონოდ უთვალთვალებდა კონგრესმენებსა და ჟურნალისტებს, მარტინ ლუთერ კინგ უმცროსს და ადამიანთა უფლებებისათვის სხვა მებრძოლებს, ასევე ვიეტნამის ომის მოწინააღმდეგე ცნობილ სახეებს, მაგალითად, მუჰამედ ალისა და ბენჯამენ სპოკს.

მომავალში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად კონგრესმა 1970-იანი წლების ბოლოს მთელი რიგი კომიტეტებისა და ზედამხედველობის სხვა მექანიზმები შექმნა ორ ყოვლისმომცველ შეთანხმებაზე დაყრდნობით. კანონმდებლებსა და მოსამართლეებს სადაზვერვო სამსახურების კონტროლის მეტი საშუალება მიეცათ, ოღონდ ყველა შემოწმება კონფიდენციალური უნდა ყოფილიყო. სხვა სახელმწიფოების სადაზვერვო სამსახურების კონტროლის აქტმა გამოძიების ფედერალურ ბიუროს საშუალება მისცა, ეთვალთვალა ამერიკის ტერიტორიაზე ადამიანებისათვის, მათ შორის აშშ-ის მოქალაქეებისთვისაც, მაგრამ ამისთვის საჭირო იყო უცხოური სპეცსამსახურების მოღვაწეობის ზედამხედველობის საიდუმლო სასამართლოსგან ნებართვის მიღება.

1980-იან და 1990-იან წლებში ეს სისტემა კარგად მუშაობდა — სააგენტო ცდილობდა, მინიჭებული უფლებებიც კი არ გამოეყენებინა ბოლომდე და მხოლოდ კანონის ფარგლებში ემოქმედა. ▶

---

მოკლედ



## ისლამისტებმა ერაყის ელიტური სატანკო დივიზია გაანადგურეს

**დაჯგუფება „ერაყისა და შამის ისლამური სახელმწიფოს“ (ეშის) მებრძოლებმა ერაყის სამთავრობო არმიის მე-9 ელიტური სატანკო დივიზია გაანადგურეს.** ისლამისტურმა დაჯგუფებამ ბაღდადზე შეტევა ივნისის პირველ რიცხვებში დაიწყო და ერაყის რამდენიმე ოლქი დაიკავა. მათ ხელში ჩაიგდეს სამხედრო ტექნიკა და იარაღი, რომლებიც აშშ-მა ერაყის სამთავრობო ჯარებს დაუტოვა. ეშის მებრძოლებმა ერაყის დაპყრობილ ტერიტორიაზე ისლამური ხალიფატი გამოაცხადეს. ისინი სირიაში შეჭრასაც გეგმავენ.



**ტექნოლოგიურმა მიღწევებმა წაშალა ზღვარი და სხვაობა ამერიკელი და უცხოელი მოქალაქეების მიმართ თვალთვალსა და შიგა და გარე თვალთვალს შორის. ახლა სააგენტოს შეუძლია, მარტივად ჩაიგდოს ხელში „ფეისბუქში“ გამოქვეყნებული ნებისმიერი ინფორმაცია, სკაიპით გადაგზავნილი ფინანსური დოკუმენტაცია, ელექტრონულ ფოსტაზე ან კომპიუტერში არსებული მთელი ინფორმაცია.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საფრთხეების შეფასება

უკანასკნელ წლებში მოხდა ორი მნიშვნელოვანი ცვლილება, რამაც სტატუს-კვო დაარღვია. შედეგად მოკლევადიან პერსპექტივაში ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ძალა და გავლენა გაიზარდა, გრძელვადიან პერსპექტივაში კი სააგენტომ დაკარგა ამერიკული საზოგადოების მხარდაჭერა და ლეგიტიმურობა. პირველი ცვლილება უკავშირდება ნაციონალური უსაფრთხოების პრიორიტეტებში ღრმა ძვრებს, რაც 11 სექტემბრის ტერაქტებმა განაპირობა. დაზვერვა უმოქმედობასა და უძლურებაში დაადანაშაულეს როგორც მასმედიამ, ასევე კონგრესმაც, რადგან მან ვერ მოახერხა ქვეყნისათვის ამ უბედურების აცილება. შედეგად დაიწყო ბრძოლა უფრო აგრესიული თვალთვალის ნებართვის მოსაპოვებლად და კონტრტერორისტული მოღვაწეობა, რაც სააგენტოს მხოლოდ ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო, მის მთავარ ამოცანად იქცა. სატელეფონო საუბრების მოსმენის უსაფუძვლო პროგრამა, რომელიც ინიცირებულ იქნა ჯორჯ ბუშის მიერ 11 სექტემბრის ტერაქტებიდან უმოკლეს დროში, მიღებულ იქნა მთელი რიგი პროცედურებისა და საპირწონეების გვერდის ავლით. მისი გამოქვეყნების შემდეგ კანონშიც შევიდა ცვლილებები.

ამ ცვლილებებმა სააგენტოს მიანიჭა უფლებამოსილება, ეთვალთვალა აშშ-ის მოქალაქეებზე ან უცხოელებზე. უფრო დეტალური სადაზვერვო მონაცემების შეგროვებაზე მოთხოვნამ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ბიუჯეტიც გაზარდა და მან, როგორც The Washington Post-ი წერდა, გასულ წელს 11 მილიარდ დოლარს მიაღწია.

ტექტონიკური ძვრის მსგავსი მეორე ცვლილება ის იყო, რომ **ტექნოლოგიურმა მიღწევებმა წაშალა ზღვარი და სხვაობა ამერიკელი და უცხოელი მოქალაქეების მიმართ თვალთვალსა და შიგა და გარე თვალთვალს შორის. ახლა სააგენტოს შეუძლია, მარტივად ჩაიგდოს ხელში „ფეისბუქში“ გამოქვეყნებული ნებისმიერი ინფორმაცია, სკაიპით გადაგზავნილი ფინანსური დოკუმენტაცია, ელექტრონულ ფოსტაზე ან კომპიუტერში არსებული მთელი ინფორმაცია.** მაგრამ ახლა სააგენტოს პრობლემები დაკავშირებულია არა ინფორმაციის მოპოვებასთან, არამედ მის ანალიზთან. სააგენტო ყოველდღიურად „ეხება“ (თუმცა არ აკონკრეტებს, რას ნიშნავს ეს) ინტერნეტიდან ინფორმაციის ბუფერს, რომელიც 580 მილიონი დოკუმენტური არქივის ექვივალენტური მოცულობისაა.

სნოუდენის მხილებების შემდეგ საზოგადოებას ნაკლებად სჯერა, რომ სააგენტო ორიენტირებულია უცხოურ კონტაქტებზე და ეჭვი ეპარება სახელმწიფო კონტროლის ქმედითობაში. ცხადია, თავად სააგენტო მთელი ძალით ცდილობს, თავისი საიდუმლოებები ხელშეუხებლად დაიცვას და განიკითხავს მათ, ვინც საიდუმლო ინფორმაციას ამხელს, მაგრამ, იმ პირების რაოდენობის გათვალისწინებით, რომელთაც დღეს სააგენტოს დოკუმენტებზე მიუწვდებათ ხელი, გაჟონვის თავიდან აცილება, უბრალოდ, შეუძლებელია.

## ჯაშუშური თამაშები

სნოუდენის მხილებებმა აშშ-ის ურთიერთობა მოკავშირეებთან ორი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიმართულებით დააზარალა. ამან გააკვირვა და განარისხა მოკავშირეების საზოგადოება; მეორე მხრივ კი, აშშ-მა კარგა ხნით დაკარგა მაღალი მორალიზატორული ტრიბუნა, რომლიდანაც გამოხატავდა ხოლმე საკუთარ პოზიციას კიბერუსაფრთხოებისა და ინტერნეტის მართვის თემებზე. ჩინელების მიერ ამერიკული სისტემის გატეხვის გამო მრავალწლიანი პროტესტების შემდეგ ახლა ვაშინგტონი თვალთმაქცად გამოიყურება — სნოუდენის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების საფუძველზე აშშ არა მხოლოდ იმავეს სჩადიოდა სხვა ქვეყნების მიმართ, არამედ დიდ წარმატებებსაც მიაღწია ამ საქმეში.

**გაჟონვა დიდ პრობლემად იქცა ტექნოლოგიური კომპანიებისთვისაც — ახლა ისინი ეჭვმიტანილნი არიან დაზვერვასთან ნებაყოფლობით თანამშრომლობაში.** იანვარში ობამას გამოსვლისას გამოქვეყნებულ საპრეზიდენტო პოლიტიკის დირექტივებში აღიარებულ იქნა ის რისკები, რითაც ამგვარი დამოკიდებულება ემუქრება ქვეყნის კომერციულ, ეკონომიკურ და ფინანსურ ინტერესებს.

უცხოური სახელმწიფოები უკვე აპირებენ, ინტერნეტკომპანიებისგან მოითხოვონ საკუთარი მოქალაქეებისათვის მონაცემთა შენახვის ადგილობრივი მომსახურებები, მაგრამ ყველაზე დიდი ირონია ისაა, რომ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ახლა ამით მხოლოდ გაუადვილდება მუშაობა — კანონებითა და ზედამხედველობის ინსტანციებით ის არაა შეზღუდული და ხელი მიუწვდება უცხოეთში შენახულ ინფორმაციაზე.

საზოგადოებაში ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მიმართ ნდობის დაკარგვის გამო პასუხისმგებლობას ინაწილებენ ამერიკული დაზვერვის ოფიცრებიც. მაგალითად, ნაციონალური დაზვერვის დირექტორმა ჯეიმს კლაპერმა 2013 წლის მარტში სენატს აცნობა, რომ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო „შეგნებულად“ არ აგროვებს მონაცემებს აშშ-ის მოქალაქეებზე. სამ თვეზე ნაკლები პერიოდის შემდეგ გამოაშკარავდა მეტამონაცემების უზარმაზარი მასის შეგროვების პროგრამა და კლაპერს თავისმართლება მოუხდა. საზოგადოებაში ნდობის ჩაკვლის საქმეში წვლილი მიუძღვით ჟურნალისტებსაც. მაგალითად, ყოველდღიურმა ნორვეგიულმა გაზეთმა Dagbladet-მა გასული წლის ნოემბერში გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო უსმენდა ნორვეგიელების კერძო სატელეფონო საუბრებს. საპასუხოდ ნორვეგიის სადაზვერვო სამსახურებმა აღიარეს, რომ ნორვეგიელებს ისინი უსმენდნენ და არა ამერიკელები.




**უფრო დეტალური სადაზვერვო მონაცემების შეგროვებაზე მოთხოვნამ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ბიუჯეტიც გაზარდა და მან, როგორც The Washington Post-ი წერდა, გასულ წელს 11 მილიარდ დოლარს მიაღწია**




## საიდუმლოებათა პალატა

ასეა თუ ისე, ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო, ანუ ობამას ადმინისტრაციაც, იძულებულნი არიან, გადაჭრან საზოგადოებრივი კავშირგაბმულობის სერიოზული პროგრამა. ერთ-ერთი გამოსავალი შეიძლება იყოს გასაიდუმლოების რეჟიმის გამკაცრება, რათა თავიდან იქნეს აცილებული გაჟონვები, მაგრამ ეს სააგენტოს კიდევ უფრო უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს. მეორე ვარიანტია იმის აღიარება, რომ დღითიდღე სულ უფრო ცნობილი გახდება ამერიკული დაზვერვის მუშაობის შესახებ. მაგრამ ყველაფერს ჯობია ამ ორი მიმართულების შეჯერება და განსაზღვრა, რისი შენახვა სჭირდება სააგენტოს საიდუმლოდ, რათა გაძლიერდეს მისი დაცვა.

საიდუმლოების დონის შემცირება კარგად უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს იმ თეორიის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ მოხერხდება სამოქალაქო თავისუფლებების ოპტიმალური თანაარსებობა თვალთვალთან, გამჭვირვალობის პრინციპისა კი — ჯაშუშობასთან. დღეს დაზვერვა აჩერებს თვალთვალის პროგრამებს და აქვეყნებს ათასობით საიდუმლო დოკუმენტს ყოველგვარი ზუსტი და გასაგები სტრატეგიის გარეშე. ყოველ შემთხვევაში, ეს სტრატეგია საზოგადოებისთვის არავის აუხსნია და პროცესი გამოიყურება სპონტანურად, როგორც უცხოეთის გამძვინვარებული ხელისუფლებებისა და კრიტიკული პრესის გამოსვლებზე იმპულსური რეაქცია.

**სააგენტომ, პირველ რიგში, უნდა განსაზღვროს, რა არის ნამდვილად საიდუმლოდ შესანახი ინფორმაცია, რომლის ოდნავ გაჟონვამაც კი, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს ნაციონალურ უსაფრთხოებას.** სააგენტომ უკეთ უნდა იმუშაოს ამ ინფორმაციის დაცვაზე და მასთან წვდომა გაცილებით ცოტა ადამიანს უნდა შეეძლოს.

მაგრამ მეტად გასაიდუმლოების მცდელობა გაზრდის სამომავლოდ უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენების რისკს. ანდერსონმა აღიარა, რომ ამჟამად სააგენტო ცდება, როდესაც ცდილობს მონაცემთა უსაფრთხოების დაცვას ეფექტურობის საზიანოდ. დილემის გადაჭრის საშუალებები პრაქტიკულად არ არსებობს.

ნაციონალური უსაფრთხოების საგენტომ ფარდა უნდა ჩამოხსნას ზოგიერთ ისეთ პროგრამას, რომელთა გაგრძელებასაც აპირებს. სნოუდენის მხილებების, შემდგომი გამოაშკარავებებისა და მეტამონაცემების შეგროვების პროგრამაზე საიდუმლოების გრიფის მოხსნის შემდეგ, ეს პროგრამა, ცხადია, საიდუმლო აღარ იქნება და ამიტომ, თუ მისი რომელიმე ვერსია მომავალში მაინც გამოიყენება, უმჯობესია, შეცდომა უფრო მეტი გახსნილობის მხრივ იქნეს დაშვებული.

საერთო ჯამში ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტომ შეძლებისდაგვარად მეტი ინფორმაცია უნდა გახსნას პოლიტიკურად დელიკატური თვალთვალის შესახებ, ასევე, კონგრესს უფრო მეტ კონკრეტიკასა და დეტალებთან უნდა მისცეს წვდომა. სამოქალაქო თავისუფლებების დაცვის მეთვალყურე ჯგუფების ჩართვა სასარგებლო იქნება აშშ-ის მოქალაქეების მიმართ თვალთვალის ზოგიერთი პროგრამის პარამეტრების განხილვისას. საეჭვოა, ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტომ ეს ჯგუფები თავის მხარეს გადაიბიროს, მაგრამ იმას მაინც მოახერხებდა, რომ აეხსნა მათთვის კერძო ცხოვრებაში ჩარევის მინიმალიზაციისთვის შემოღებული პროცედურები.

დიდი გახსნილობა განაპირობებს ძვრებს სააგენტოს ინსტიტუციონალურ კულტურაში, ასევე, სრულიად სადაზვერვო საზოგადოებაში. მაგრამ ეს ძვრები უკვე მიმდინარეობს. უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში ყველაზე გავლენიანმა ინტროვერტებმა უპრეცენდენტო მასშტაბებით დაიწყეს აზრის სახალხოდ გამოთქმა. გასული წლის დეკემბერში ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მაღალი რანგის მოხელეები იმაზეც კი დათანხმდნენ, რომ მონაწილეობა მიეღოთ ონლაინ რადიოგადაცემების ხანგრძლივ ციკლში და სააგენტოს სამომავლო მიმართულებებზე ესაუბრათ.

საბოლოო ჯამში ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს გამჭვირვალობის ზრდა და მასზე კონტროლის გაძლიერება სერიოზულ გავლენას მოახდენს ოპერატიულ მუშაობაზე. ამ ცვლილებებმა, შესაძლოა, შეანელოს თვალთვალის პროცესი ან ეჭვქვეშ დააყენოს ზოგიერთი იმ მონაცემის მოპოვების მიზანშეწონილობა, რომლებიც, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ყოფილიყო კონტრტერორისტულ ან რომელიმე სხვა მნიშვნელოვან ოპერატიულ მუშაობაში. მაგრამ გარკვეული საჯაროობა სადაზვერვო მოღვაწეობის პროცესში ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს თავიდან ააცილებს სკანდალებს და პოლიტიკოსებისა თუ ჟურნალისტების დონეზე ახსნის, რას და რატომ აკეთებს ეს სააგენტო.

**მიუხედავად სნოუდენის მხილებებისა, საზოგადოების დიდ ნაწილს კვლავაც არ ესმის, თუ როგორ მუშაობს სააგენტო და კონკრეტულად რითაა დაკავებული.** წარსულში სააგენტო მიესალმებოდა ამგვარ უმეცრებას, რადგან ის ხელისუფლებას ეხმარებოდა საიდუმლოებათა საიმედოდ დაცვაში, მაგრამ ახლა ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს საზოგადოების ნდობა აქვს მოსაპოვებელი და მოუწევს მუშაობის ფორმატის შეცვლა, რათა მოქალაქეებს უკეთ ესმოდეთ, თუ რა მიმართულებებით მოქმედებს ის. რეფორმები ამერიკელებისგან კიდევ უფრო მეტ რისკს მოითხოვს — ეს პოლიტიკურ კრიტიკას განაპირობებს, თუ ამერიკის ტერიტორიაზე კიდევ ერთი ტერაქტი მოხდება; მაგრამ თუ რეფორმები ხარისხიანად ჩატარდება, სააგენტო დიდი ყურადღებით მოეპყრობა საზოგადოების შეშფოთებას და ამავე დროს საკუთარი საქმიანობის განსახორციელებლად ყველაზე ფართო შესაძლებლობებს შეინარჩუნებს.

**Foreign Affairs**

## ევროდეპუტატმა კოლეგას სილა გააწნა

**პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში ევროდეპუტატს მმართველი პარტიიდან („სამოქალაქო პლატფორმა“), ციფრული ტექნოლოგიების ყოფილ მინისტრ მიხალ ბონის კოლეგამ, ევროდეპუტატმა და „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა იანუშ კორვინ-მიკემ საჯაროდ გააწნა სილა.**

ინციდენტი მოხდა პოლონეთის საგარეო სამინისტროს ერთ-ერთ რეზიდენციაში, სადაც საგარეოპოლიტიკურმა უწყებამ ევროდეპუტატებთან მოაწყო შეხვედრა თემაზე „თანამშრომლობის გაუმჯობესების პრინციპები“.

“ინციდენტი შეხვედრის დასაწყისში მოხდა. დეპუტატმა იანუშ კორვინ-მიკემ დაარღვია დეპუტატ მიხალ ბონის ფიზიკური ხელშეუხებლობის პრინციპი“, — ნათქვამია პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

თვითონ ბონიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ალიყური მოულოდნელად მიიღო: „კორკინ-მიკემ მითხრა, 1991 წელს მაწყენინე და სილა ამიტომ გაგაწანიო“.

კორვინ-მიკეს თქმით, მან „ეს გააკეთა საგარეო საქმეთა სამინისტროში, მოფარებულ ადგილას, სადაც იყვნენ ღირსეული ადამიანები... ვიფიქრე, ამას მოჰყვებოდა მხოლოდ ის, რომ ჩემთან მოვიდოდნენ ბონის სეკუნდანტები. მაგრამ მან მყისვე საჯაროდ მოყვა ეს ამბავი. ვნანობ, სახეში რომ არ შევაფურთხე“, — განაცხადა კორეინ-მიკემ.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ამერიკის მუსლიმანური საზოგადოება გახდა ობიექტი ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან იმ ტაქტიკის გამოყენებისა, რომელსაც 1960-იან და 1970-იან წლებში აფროამერიკელების სამოქალაქო უფლებების დაცვის მოთხოვნით გამოსული დაჯგუფებების წინააღმდეგ იყენებდნენ.**

# აშშ ცნობილი ამერიკელი მუსლიმანების, მათ შორის ადვოკატების, ფოსტას აკონტროლებდა



**ორიოდე დღის წინათ ცნობილი გახდა, რომ ამერიკული სადაზვერვო და სამართალდამცავი ორგანოები რამდენიმე ცნობილი ამერიკელი მუსლიმანი აქტივისტისა და ადვოკატის ელექტრონულ ფოსტას აკონტროლებდნენ. ცნობამ, ცხადია, სამოქალაქო თავისუფლებების დამცველთა აღშფოთება გამოიწვია, ხელისუფლებამ კი ამ აღფოთების საპასუხოდ გავრცელებული ინფორმაცია მკაცრი ტონით უარყო.**

სტატიაში, რომელიც ონლაინ ახალი ამბების საიტზე — „Intercept“ გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ **ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო და გამოძიების ფედერალური ბიურო აკონტროლებდა ხუთი ამერიკელი მუსლიმანის ელექტრონულ ფოსტას იმ ღონისძიების ფარგლებში, რომლის მიზანი აშშ-ში მოქმედი უცხოელი ტერორისტებისა და ჯაშუშების გამოვლენაა.**

გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, თვალთვალი, როგორც ჩანს, ხორციელდებოდა უცხოური დაზვერვების თვალთვალის შესახებ კანონის საფუძველზე. კანონის თანახმად, ამგვარი ქმედების დასაწესებლად ხელისუფლება ვალდებულია, წარადგინოს საფუძვლიანი მონაცემები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნება, გაკეთდეს დასკვნა, რომ თვალთვალის ობიექტი ამერიკელები უცხოეთის სახელმწიფოების ჯაშუშები ან ტერორისტები არიან, რომ ისინი ჩართულნი არიან დანაშაულებრივ ქმედებებში ან შესაძლოა კავშირი აქვთ ასეთ ქმედებებთან. სტატიაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ჯერჯერობით გაურკვეველია, იყო თუ არა გაცემული შესაბამისი ორდერები და რა გახდა საფუძველი თვალთვალის დაწესებისთვის.

სტატიაში საუბარია იმაზეც, რომ თვალთვალის ობიექტად ქცეული ხუთივე პიროვნება უარყოფს ტერორიზმთან ან ჯაშუშობასთან რაიმე კავშირს, არც ერთი მათგანი არ არის ჯიჰადის მიმდევარი. ამერიკული უშიშროების სამსახურების მსხვერპლთაგან რამდენიმე მიიჩნევს, რომ თვალთვალის ობიექტები მხოლოდ მუსლიმანობის გამო გახდნენ.

საიტ Intercept-ზე გამოქვეყნებული სტატია სამთვიანი გამოძიების შედეგია და მასში ხელისუფლების მიმართ ბრალდებებია წაყენებული. პუბლიკაციის ავტორის აზრით, ხელისუფლებამ თვალთვალის დაწესებითა და განხორციელებით ადამიანების კონსტიტუციური უფლებები დაარღვია.

„2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ამერიკის მუსლიმანური საზოგადოება გახდა ობიექტი ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან იმ ტაქტიკის გამოყენებისა, რომელსაც 1960-იან და 1970-იან წლებში აფროამერიკელების სამოქალაქო უფლებების დაცვის მოთხოვნით გამოსული დაჯგუფებების წინააღმდეგ იყენებდნენ, — ხაზგასმით აღნიშნავს ბრენანის სამართლიანობის მხარდაჭერის ცენტრის პროგრამის „თავისუფლება და ეროვნული უსაფრთხოება“ თანამმართველი ფაიზა პატელი. — სრულმასშტაბიანი საიდუმლო თვალთვალისათვის ამ საზოგადოების ლიდერების შერჩევით გამოძიების ფედერალურმა ბიურომ თავისი ტაქტიკა ახალ დონეზე აიყვანა. როგორ შეიძლება, რომ ამერიკელი მუსლიმანების უფლებების გამყარებისათვის მებრძოლი რომელიმე ჩვენგანი საკუთარი სამუშაოს შესრულებისას თავს თავისუფლად გრძნობდეს, თუ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხელისუფლება ჩვენს ყველა ნაბიჯს უთვალთვალებს?“

ხელისუფლებამ ბრალდება უარყო. „მოხდა სიმართლესთან შეუსაბამო მტკიცება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო სამსახურები ელექტრონულ თვალთვალს ახორციელებენ პოლიტიკური, რელიგიური ფიგურების ან სხვადასხვა აქტივისტის მიმართ მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ ისინი არ ეთანხმებიან სახელმწიფო პოლიტიკას ან აკრიტიკებენ ხელისუფლებას“, — აღნიშნულია ნაციონალური დაზვერვის დირექტორის სამმართველოსა და იუსტიციის სამინისტროს ერთობლივ განცხადებაში.

გამოქვყნებული სტატია ეფუძნებოდა დოკუმენტებს, რომლებიც ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა ედუარდ სნოუდენმა გამოამზეურა და სწორედ ამ დოკუმენტებს შორის აღმოჩნდა ელექტრონული ცხრილი ათასობით ელექტრონული მისამართით, რომლებსაც ხელისუფლება 2002-დან 2008-წლამდე აკონტროლებდა.

ტრენინგის ჩასატარებლად გაცემულ ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც 2005 წელს ეხება, მიკერძოებული გამონათქვამები იყო მუსლიმანების მიმართ, ერთ-ერთ გამოგონილ ობიექტს კი „მუჰამედ ჩვართავა“ ეწოდებოდა.

„თანამშრომლების სწავლებებისას სიტყვა „ჩვართავას“ გამოყენება ამაზრზენია“, — განაცხადა ბრენანის ცენტრის პროგრამის დირექტორმა ელიზაბეტ გოიტეინმა. — ადმინისტრაციამ უნდა წარმოადგინოს ახსნა-განმარტებები და გაამართლოს საკუთარი ქმედებები, რომლებიც ძალიან ჰგავს უფლებამოსილების გადამეტებას სადაზვერვო სამსახურების თანამშრომლების მხრიდან თვალთვალის დაწესების დროს“.

ნაციონალური უსაფრთხოების საგენტოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ვენი ვაინსმა არ დაადასტურა ტრენინგთან დაკავშირებული დოკუმენტის ნამდვილობა და აღნიშნა, რომ „ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო არ იყენებდა და არ გამოიყენებდა ოფიციალური ტრენინგის ჩასატარებლად დოკუმენტს, რომელიც მოიცავდა ამგვარ დამამცირებელ ან გამაღიზიანებელ სიტყვებს. უწყების თანამშრომლების მიერ რასობრივი ან ეთნიკური სტერეოტიპების, ინსინუაციების ან ნებისმიერი მსგავსი სახის შეურაცხმყოფელი სიტყვების თუ გამოთქმების გამოყენება მიუღებელია და არ შეესაბამება როგორც ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს პოლიტიკას, ისე მის ძირითად ღირებულებებს“.

ნაციონალური დაზვერვის დირექტორის სამმართველოს და იუსტიციის სამინისტროს პირდაპირ არ უხსენებიათ ამ ხუთი ადამიანის საქმე, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში ისინი იქიდან გამოდიოდნენ, რომ თვალთვალი განპირობებული იყო მათი პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებებით.

„სხვა სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებული შტატები მოქალაქეთა კომუნიკაციებს არ უთვალთვალებს იმისათვის, რომ ჩაახშოს კრიტიკა ან ადამიანები არამომგებიან მდგომარეობაში ჩააყენოს მათი ეთნიკური კუთვნილების, სექსუალური ორიენტაციის ან რელიგიის გამო“, — აღნიშნულია დოკუმენტში.

**„იშვიათი გამონაკლისების“ შემთხვევებში, მათ შორის საგანგებო გარემოებებისას, ამერიკის სადაზვერვო უწყებებს უნდა ჰქონდეთ სასამართლო ორდერები, რომლებსაც უცხოური დაზვერვების მიმართ თვალთვალის დაწესების მიზნით გასცემს ელექტრონული საშუალებების გამოყენებით აშშ-ის ნებისმიერ მოქალაქეზე ან მუდმივ კანონიერ რეზიდენტზე.** ეს ხაზგასმითაა აღნიშნული ზემოხსენებული ორი უწყების ერთობლივ განცხადებაში.

**ამერიკული უშიშროების სამსახურების მსხვერპლთაგან რამდენიმე მიიჩნევს, რომ თვალთვალის ობიექტები მხოლოდ მუსლიმანობის გამო გახდნენ**



აქტივისტები, რომლებიც სამოქალაქო თავისუფლებების დასაცავად გამოდიან, საიტ Intercept-ს ატყობინებენ, რომ პროცესის დახურული ხასიათი არ იძლევა საშუალებას, გაირკვეს, თუ რა სახის მტკიცებულებები იქნა გამოყენებული თვალთვალის დასაწესებლად ნებართვის მოპოვებისთვის. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ჯერ არასდროს გამოქვეყნებულა არც მოთხოვნები და არც სასამართლოს გადაწყვეტილებები უცხოური დაზვერვის წარმომადგენლებზე თვალთვალის დაწესების შესახებ — ამ დოკუმენტებს არ აჩვენებენ თვით ბრალდებულებსა და მათ ადვოკატებს საქმეებში, რომლებშიც შემდგომ ხელისუფლება ბრალდებებს აყენებს აღნიშნული თვალთვალით მიღებული ცნობების საფუძველზე.

„ამერიკის შეერთებულ შტატებში არავინ იქცევა თვალთვალის ობიექტად პირველი შესწორების საფუძველზე ჩადენილი ქმედებების გამო, მათ შორის საზოგადოებრივი შეკრებების ორგანიზებისთვის, კამპანიების ჩატარებისთვის, კრიტიკული სტატიების დაწერისთვის ან საკუთარი პირადი შეხედულებების გამოხატვისთვის, — აღნიშნულია ნაციონალური დაზვერვის დირექტორის ადმინისტრაციისა და იუსტიციის სამინისტროს ერთობლივ განცხადებაში. — მეორე მხრივ, ადამიანი, რომელსაც სასამართლო აღიარებს უცხოური დაზვერვის აგენტად არსებული მკაცრი წესების შესაბამისად, თვალთვალიდან ვერ გამოირიცხება მხოლოდ მისი პროფესიის გამო“.

**The Washington Post**

## ტეხასის შტატის გუბერნატორმა უარი განაცხადა პრეზიდენტ ობამასთან აეროპორტში შეხვედრაზე

**ტეხასის შტატის გუბერნატორმა რიკ პერიმ, რომელიც დიდი ხანია, აკრიტიკებს აშშ-ის ადმინისტრაციის იმიგრაციულ პოლიტიკას, უარი განაცხადა თეთრი სახლის წინადადებაზე, — აეროპორტში, თვითმფრინავის ტრაპზე შეხვედროდა პრეზიდენტ ობამას.**

„მადლობა იმისთვის, რომ ოსტინის აეროპორტში შესახვედრად მიმიწვიეთ, მაგრამ თვითმფრინავის ტრაპთან ხანმოკლე ხელის ჩამორთმევა შესაძლებლობას არ მოგვცემს, ვიმსჯელოთ ჰუმანიტარული და ნაციონალური უსაფრთხოების სფეროების კრიზისზე, რომელიც ახლა ტეხასის სამხრეთში, მდინარე რიოგრანდეს ველზე მიმდინარეობს“, — ნათქვამია გუბერნატორის წერილში, რომელიც გაზეთმა The Austin American-Statesman-მა გამოაქვეყნა.

აეროპორტში შეხვედრის ნაცვლად გუბერნატორმა პრეზიდენტს ნებისმიერ სხვა დროს შეხვედრა შესთავაზა და დასძინა, რომ ამის გამო სამუშაო გრაფიკსაც კი შეცვლის.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა პორტუგალია, ირლანდია და განსაკუთრებით ესპანეთი, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლოდროინდელმა მონიტორინგმა აჩვენა, ჯერ კიდევ არის მნიშვნელოვანი სავალე პრობლემები: ყველა მათგანში ძველებურად შეიძლება უმუშევრობის ორნიშნა საპროცენტო მაჩვენებლების დაფიქსირება და კვლავაც შეჩერებულია ეკონომიკის ზრდა.**

# ევროპის ვალი

**ევროზონის ლიდერებს შორის გრძელდება მოლაპარაკებები იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გამოაცოცხლონ ეკონომიკური ზრდა. ფრანგი და იტალიელი ლიდერები ფიქრობენ, რომ საჭიროა ევროზონის მკაცრი „ფისკალური პაქტის“ შესუსტება, მაგრამ ევროკავშირის ჩრდილოეთი ქვეყნების ლიდერები დაჟინებით მოითხოვენ სტრუქტურული რეფორმების უფრო მნიშვნელოვან რეალიზებას.**



**ევროპის ცენტრალურ ბანკს მალე მოუწევს, აღიაროს, რომ სტრუქტურული რეფორმები და საბიუჯეტო სახსრების მკაცრი ეკონომია აღარ არის ეფექტური გადაწყვეტილება ევროპის სავალე პრობლემებისთვის**

საუკეთესო შემთხვევაში, ორივე მხარე მიიღებს იმას, რაც სურს, მაგრამ ძნელია ისეთი საბოლოო შედეგის წარმოდგენა, რომელიც არ მოიცავს ვალის მნიშვნელოვან რესტრუქტურიზაციას ან გადავადებას. ევროპელი პოლიტიკოსების უუნარობა, ივარაუდონ და განიხილონ ეს სცენარი, უდიდეს ზეწოლას ახდენს ევროპის ცენტრალურ ბანკზე.

მიუხედავად იმისა, რომ ევროზონის ძალზე ნელი აღდგენისთვის უამრავი ახსნა არსებობს, ერთი რამ ცხადია: სახელმწიფო და კერძო ვალმა სახიფათო ზომებს მიაღწია. კერძო პირებისა და ფინანსური ინსტიტუტების საერთო ვალი, როგორც ნაციონალური შემოსავლის წილი, ახლა უფრო მეტია, ვიდრე ფინანსურ კრიზისამდე იყო. არაფინანსური კორპორატიული ვალი მხოლოდ უმნიშვნელოდ შემცირდა. სახელმწიფო ვალი კი, ცხადია, მკვეთრად გაიზარდა ბანკების გადარჩენისა და რეცესიის თანმდევი საგადასახადო შემოსავლების შემცირების ხარჯზე.

ამას გარდა, ევროპაში ახლა ბრძოლაა გაჩაღებული მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებასთან. ევროზონის სამხრეთ ქვეყნები, როგორიც იტალია და ესპანეთია, ჩინეთთან მზარდ კონკურენციას განიცდიან ტექსტილისა და მსუბუქი მრეწველობის დარგებში. მაგრამ როგორც კრიზისამდელი საკრედიტო ბუმი ნიღბავდა ფუძემდებლურ სტრუქტურულ პრობლემებს, კრიზისის შემდგომი საკრედიტო შეზღუდვებიც მნიშვნელოვნად აძლიერებს ეკონომიკურ ვარდნას.

გერმანიის ეკონომიკური ზრდა დიდწილად აიხსნება ქვეყნის ათი წლის წინანდელი მზადყოფნით, განეხორციელებინა მტკივნეული ეკონომიკური რეფორმები, განსაკუთრებით შრომის ბაზარზე წესების რეფორმები. დღეს გერმანიაში თითქოს სრული დასაქმება და საშუალო მინიმუმზე მაღალი ეკონომიკური ზრდაა. გერმანელ ლიდერებს საკმარისი მტკიცებულებები აქვთ, რათა ივარაუდონ, რომ, თუ საფრანგეთი და იტალია ანალოგიურ რეფორმებს გაატარებდნენ, ცვლილებები მათი ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდის სახით ნამდვილ სასწაულებს მოახდენდა.

მაგრამ არის კი შედეგები ქვეყნებში, რომლებმაც მსგავსი მნიშვნელოვანი ნაბიჯები რეფორმების მიმართულებით კრიზისის შემდეგ გადადგეს? **ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა პორტუგალია, ირლანდია და განსაკუთრებით ესპანეთი, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლოდროინდელმა მონიტორინგმა აჩვენა, ჯერ კიდევ არის მნიშვნელოვანი სავალე პრობლემები: ყველა მათგანში ძველებურად შეიძლება უმუშევრობის ორნიშნა საპროცენტო მაჩვენებლების დაფიქსირება და კვლავაც შეჩერებულია ეკონომიკის ზრდა.**

**უდიდესი სავალე ტვირთი ქვეყანას მოჯადოებულ წრეში აქცევს. უზომოდ დიდი სახელმწიფო და კერძო ვალები ზღუდავს ქვეყნის შესაძლებლობებს და უდავოდ დაკავშირებულა ზრდის შენელებასთან, რაც, თავის მხრივ, ართულებს სავალე მარყუჟიდან თავის დაღწევას.**

არსებობს მკვეთრი მიზეზები, არსებული სიისათვის ვალების მისამატებლად, თუკი მიზანი ინფრასტრუქტურაში მაღალპროდუქტიული ინვესტიციების დაფინანსებაა.

**გრძელვადიანი ზრდის უზრუნველსაყოფად ვალის გაზრდას აზრი აქვს, განსაკუთრებით დაბალი რეალური საპროცენტო განაკვეთების პირობებში.** ანალოგიური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს იმ ხარჯებისთვის, რომლებიც მიმართულია განათლების ხარისხის ასამაღლებლად.

მაგრამ ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებაში ინვესტირების პარალელურად სტიმულირება სულ უფრო აქტიურდება. ცნობილი ეკონომისტები ბრედ დელონგი და ლარი სამერსი ირწმუნებოდნენ, რომ რეპრესირებულ ეკონომიკაში ვალების მოკლევადიანმა გაზრდამ, შესაძლოა, საკუთარი თავი აანაზღაუროს, თუნდაც ხარჯები პირდაპირ არ ზრდიდეს გრძელვადიან პოტენციალს. მეორე მხრივ, ალბერტო ალესინა და სილვია არდენგა ირწმუნებიან, რომ დიდი და არაეფექტური ძალაუფლების მქონე ეკონომიკაში ვალების სტაბილიზაციის ზომები სინამდვილეში, შესაძლოა, ექსპანსიონისტური აღმოჩნდეს.

ორივე თვალსაზრისი ექსტრემალურია. ვერც სუფთა ასკეტიზმი და ვერც სტიმულირების სუფთად კეინსისეული სტრატეგია ვერ დაეხმარება ევროპის ქვეყნებს, თავი დაიძვრინონ დიდი ვალის ხაფანგიდან. მთელი ისტორიის განმავლობაში სხვა ზომები, მათ შორის ვალის რესტუქტურიზაცია, ინფლაცია და სხვადასხვა სახის გადასახადის დაკისრება მდიდრებისათვის, როგორც წესი, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

ძნელი გასაგებია, როგორ უნდა გაძლონ ევროპის ქვეყნებმა დავალიანების წინააღმდეგ ზომების სრულად ამოქმედების გარეშე, მით უფრო ევროზონის არამდგრადი პერიფერიული ეკონომიკის მოსაწესრიგებლად. ევროპის ცენტრალური ბანკის მხრიდან ექსპანსიის გარანტიები ან პოლიტიკა „გავაკეთებთ ყველაფერს, რაც საჭიროა“, შესაძლოა, საკმარისი აღმოჩნდეს დიდი მოკლევადიანი ეკონომიკური სტიმულების დასაფინანსებლად, მაგრამ ეს ვერ მოაგვარებს მდგრადობის გრძელვადიან პრობლემას.

**ევროპის ცენტრალურ ბანკს მალე მოუწევს, აღიაროს, რომ სტრუქტურული რეფორმები და საბიუჯეტო სახსრების მკაცრი ეკონომია აღარ არის ეფექტური გადაწყვეტილება ევროპის სავალე პრობლემებისთვის.** ოქტომბერსა და ნოემბერში ევროპის ცენტრალური ბანკი ბანკებისთვის სტრეს-ტესტების შედეგებს გამოაქვეყნებს. ვინაიდან მრავალი ბანკი შეადგენს ევროზონის სრული სახელმწიფო ვალის მოცულობას, შედეგები მნიშვნელოვნად იქნება იმაზე დამოკიდებული, თუ როგორ აფასებს ევროპის ცენტრალური ბანკი სუვერენულ რისკს.

თუ ის სერიოზულად შეამცირებს ამ რისკებს, მისი, როგორც რეგულატორის, ავტორიტეტული სახელი შეილახება. თუ ის გამოაცხადებს, რომ ევროზონის პერიფერიების ზოგიერთ ქვეყანაში შესაძლოა სირთულეები წარმოიშვას, ამ ქვეყნებს ჩრდილოეთის დახმარება დასჭირდებათ. დადგა მოლაპარაკებების დაწყების დრო ევროზონის მთელი პერიფერიისთვის სავალე ტვირთის შესამცირებლად.

**Project Syndicate**

# ნოამ ჩომსკი: ამერიკა არის მსოფლიო ლიდერი «უდიდესი საერთაშორისო დანაშაულების» ჩადენაში

**26 ივნისს „The New York Times“-ის პირველ გვერდზე გამოქვეყნდა სურათი ქალისა, რომელიც მოკლულ ერაყელს დასტირის. სურათის თავზე დაბეჭდილია გაზეთის ცნობილი დევიზი „ჩვენ გვაქვს ყველა ახალი ამბავი, რომლებიც შეიძლება დაიბეჭდოს“. ეს დიდი შეცდომაა. პირველ გვერდზე გამოტანილი უნდა ყოფილიყო სიტყვები ნიურნბერგის პროცესიდან, სიტყვები, რომლებიც მანამ უნდა იმეორონ, ვიდრე საზოგადოებრივ ცნობიერებაში არ შეაღწევს: აგრესია არის „უდიდესი საერთაშორისო დანაშაული, რომელიც სხვა სამხედრო დანაშაულებისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ საკუთარ თავში მოიცავს არსებულ ბოროტებას“.**



სურათზე გამოსახული მიცვალებული ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს საომარი კამპანიის ურიცხვი მსხვერპლიდან ერთერთია, კამპანიისა, რომელშიც აშშ-ის მიერ გაწვრთნილ-შეიარაღებულმა ერაყულმა არმიამ მალევე ერაყის დიდი ნაწილი რამდენიმე ათას ბოევიკს დაუთმო. ამას იმპერიალისტურ ისტორიაში ახალ გამოცდილებას ვერ ვუწოდებთ.

მეორე მსოფლიო ომის ტრიბუნალებისთვის უმცირესი მნიშვნელობაც კი არ ჰქონია იმას, რომ იაპონელი იმპერიალისტები მიილტვოდნენ ჩინელებისთვის „დედამიწაზე სამოთხის“ საჩუქებლად და დაუნდობლად ჟლეტდნენ, ან რომ ჰიტლერმა 1939 წელს პოლონეთში ჯარები პოლონელების „ველური ტერორისაგან“ დასაცავად შეიყვანა.

მათ, ვინც ხელკეტის მეორე მხარეს მოხვდნენ, ილუზიები არ აწუხებთ, პანარაბული საიტის რედაქტორი აბდელ ბარი ატვანი აღნიშნავს, რომ „ამჟამინდელი ქაოსის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორი გახდა ამერიკულ-დასავლური ოკუპაცია და არაბების მხრიდან მისი მხარდაჭერა. სხვა ყველა ვერსია უსაფუძვლოა და მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ ამ სიმართლიდან სხვა რამეზე გადაიტანოს საზოგადოების ყურადღება“.

„Moyers & Company“-სთან ბოლო ინტერვიუში ერაყელმა სპეციალისტმა რაედ ჯარარმა ზოგადად დაახასიათა ის, რაც დასავლეთში აუცილებლად უნდა იცოდნენ. როგორც მრავალი ერაყელი, იგი ნახევრად შიიტი და ნახევრად სუნიტია და ერაყში შეჭრამდე თითქმის არაფერი იცოდა მისი ნათესავების რელიგიურ იდენტურობაზე, რადგან რელიგიური სექტები სინამდვილეში არ წარმოადგენენ ნაციონალური ცნობიერების ნაწილს.

ჯარარი დარწმუნებულია, რომ ეს რელიგიათშორისი დაპირისპირება, რომელიც ანადგურებს ქვეყანას, ამერიკის შეჭრით და ოკუპაციით დაიწყო.

აგრესორებმა გაანადგურეს ერაყის ნაციონალური იდენტურობა და ის რელიგიურითა და ეთნიკურით ჩაანაცვლეს.

**დღეს შიიტები და სუნიტები მოსისხლე მტრები არიან იმ უროს წყალობით, რომლითაც დონალდ რამსფელდი, დიკ ჩეინი და სხვა მათი მსგავსნი არიან აღჭურვილნი. მათ აბსოლუტურად არ ესმით, თუ რა იმალება იმ ძალადობისა და ტერორის უკან, რომლებიც ახლა რეგიონს ანაკუწებს.**

სხვა სათაურები გვამცნობს ისლამური მოძრაობა „თალიბანის“ აღორძინების შესახებ ავღანეთში. ჟურნალისტი ანანდ გოპალი ამის მიზეზებს აღწერს თავის წიგნში „ცოცხლებს შორის კარგი ადამიანები არ არიან: ამერიკა, თალიბანი და ომი ავღანელის თვალით“.

2001-2002 წლებში, როდესაც ამერიკული ურო ავღანეთს მოხვდა, „ალ ქაიდას“ წევრები იქიდან მალე გაქრნენ, თალიბები კი გაიფანტნენ, რადგან მრავალი მათგანი, ტრადიციულად, ახალ დამპყრობლებს შეუერთდა.

მაშინ ვაშინგტონმა ტერორისტების პოვნის ყველანაირი იმედი დაკარგა. ძლევამოსილი პიროვნებები, რომლებიც მათ მმართველებად დასვეს, მალევე მიხვდნენ, რომ შეეძლოთ ვაშინგტონის მხრიდან უყურადღებობით ესარგებლათ და თავს დასხმოდნენ საკუთარ მტრებს, მათი ჩათვლით, ვინც აქტიურად თანამშრომლობს ამერიკელ დამპყრობლებთან.

**AlterNet**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სამი ქართველი თუ შეიყარა, უსათუოდ ოთხ პარტიას შექმნის, ამას ვერ ვხედავთ და იმ 1%-იანი რეიტინგის მქონე ათკაციანი პარტიების აქციებზე სიარულითა და ტაშიკვრით ვიკლავთ თავს, რომელთა ბოსებსაც 20-30-ათასლარიანი ხელფასები აქვთ? ვინ არიან ეს გოგო-ბიჭები, რომლებმაც პოლიტიკოსები დაირქვეს და ჩვენს წინამძღოლობას იჩემებენ?**

**იმისათვის, რაც ახლა უნდა ვთქვა, ბოდიშს ვუხდი ღორებს, ამ უწყინარ ცხოველებს, რადგან იმ ორფეხა ღორებზე უნდა ვილაპარაკო, რომელთა ღორობა ცხოველისას ბევრად აჭარბებს. რატომ დამჭირდა ამ მეტად სასარგებლო შინაური ცხოველის გახსენება? იმიტომ, რომ ახლახან მოწმენი გავხდით ადამიანთა ისეთი გაუმაძღრობისა, რომელიც დიდად სცილდება ზნეობის ყველა ნორმას...**

# ღორები

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნების კვირაძალზე თბილისის საკრებულოს დეპუტატებმა, ანუ ხალხის რჩეულებმა უფლებამოსილების შეწყვეტამდე მოასწრეს და ხელფასზე სამჯერ მეტი(!) ოდენობის პრემიები გამოიწერეს.

**ჩვენი ხელისუფლებისგან, ძველია ის თუ ახალი, ყველაფერს უნდა ელოდო კაცი, მაგრამ ამგვარი ღორობა ნამეტანია მაშინ, როცა მოსახლეობა სულს ღაფავს, პენსიონერებს შუქისა და გაზის გადასახადებისთვის ძლივს ჰყოფნით უბადრუკი 150 ლარი (თუ, რა თქმა უნდა, ჯანმრთელები არიან და წამალი არ სჭირდებათ!).**

ღორობის გარდა რა ეწოდება ამას?

ღორობა ღორობაა, მაგრამ ამ თავიანთი ღორობის გამართლება როგორ სცადა საკრებულოს თავმჯდომარემ (ჰმ!) თუ იცით? იცით, აბა, რა! ვის არ დაამახსოვრდებოდა მისი ინტელექტუალური (ჰო, ნიჭიერი!) ახსნა: ეს ამხელა პრემიები რომ დავირიგეთ, ჩვენთვის კი არ გვინდოდა, გაჭირვებულთა დასახმარებლად ქველმოქმედებას ვაპირებდითო. ესეც რომ არ იყოს, რა, არ გვეკუთვნის მაღალი პრემიები და ხელფასები, რასაც ჩვენ თქვენს საკეთილდღეოდ მუხლჩაუხრელად ვმუშაობთო...

არაფერს არ ვაჭარბებ და არც ვაშარჟებ. ზუსტად ასე თქვა იმ დედაგანათლებულმა და მამაცხონებულმა საკრებულოს თავმჯდომარემ.

რას ეტყვი, დაამუნათებ და დატუქსავ თუ კარგ საქციელზე მიუთითებ, რომ გვითხრას, ჩვენზე მაღლა მდგომმა მთავრობამ მოგვცა მაგალითიო? **თავდაცვის მინისტრი რომ პრემიის სახით 80 000 ლარს იღებს, ეს მისი ხელფასის რამდენი პროცენტიაო, რომ გვკითხოს, რას ვეტყვით?** ვეტყვით, მომავალი დიდგორისა და ბასიანის ბრძოლებში გამარჯვებებისა და ნიკოფსიიდან დარუბანდამდე საქართველოს საზღვრების გაფართოებისათვის მიიღო ავანსადო? იქნებ ვუთხრათ კიდეც, მაგრამ ისიც გვეტყვის, ამ ბოლო სამ დღეში ჩვენც ვაპირებდით თბილისისა და თბილისელების აშენებასო. რატომ ვერ გვეტყვის, ჭკუა დაუშლის თუ კაცობა?!

**ამ ე. წ. ჩვენი ხელისუფლების ქმედებებს კი მოვუძებნე, მგონი, ზუსტი სახელი, მაგრამ ჩვენ თვითონ ვინ ვართ, რა ჯიშისა და ჯილაგისანი, ვინ მეტყვის? ხალხი ვართ, ვითომ? კი გვითხრა დიდმა ილიამ საუკუნე-ნახევრის წინათ, ვინც ვიყავით, მაგრამ მას შემდეგ დიდად შევიცვალეთ — ღირსების გრძნობა გაგვიქრა და განათლებასა და განსწავლულობას ვუწოდებთ ამას.**

ილიას დროს თუ ქართველთა 80%-მა წერა-კითხვა არ იცოდა, ტელევიზორი და რადიო არავის ჰქონდა, ახლა ხომ ამდენივე პროცენტი ინტერნეტშია ჩართული და **ნუთუ მაინც ისეთივე ყრუები და ბნელები ვართ, როგორც საუკუნე-ნახევრის წინათ იყვნენ ჩვენი წინაპრები? სამი ქართველი თუ შეიყარა, უსათუოდ ოთხ პარტიას შექმნის, ამას ვერ ვხედავთ და იმ 1%-იანი რეიტინგის მქონე ათკაციანი პარტიების აქციებზე სიარულითა და ტაშიკვრით ვიკლავთ თავს, რომელთა ბოსებსაც 20-30-ათასლარიანი ხელფასები აქვთ?**

**ვინ არიან ეს გოგო-ბიჭები, რომლებმაც პოლიტიკოსები დაირქვეს და ჩვენს წინამძღოლობას იჩემებენ?**

ჭკვიანი კაცი სხვის შეცდომებზე სწავლობსო, — ნათქვამია. ჩვენ სხვის შეცდომებზე კი არა, საკუთარზეც ვერაფერს ვსწავლობთ. ასეთი მასობრივი გამოთაყვანება, ჩვენ რომ გვჭირს, სხვაგან არ შეიმჩნევა.

**ჩვენი ღორები მარტონი არ არიან. მათ უკან ძლიერი მტაცებლები დგანან, რომლებიც ანგელოზის ნიღბებით ეჩვენებიან ჩვენს ბრიყვ საზოგადოებას და ბრძენის მანტიამოსხმულები გვმოძღვრავენ: თქვენს ხელისუფლებს, მართალია, ღორული სიფათები და საქციელი აქვთ, მაგრამ სინამდვილეში დემოკრატიის შუქურები არიან, რომლებიც წაგიძღვებიან ბედნიერი მომავლისკენ, ანუ ნატოსკენო.**

იმ მტაცებელთა შორის ზოგჯერ სხვებზე გულწრფელიც გამოერევა ხოლმე და პირდაპირ გვეუბნება: მართალია, თქვენი ხელისუფლები ნამდვილი ღორიშვილები არიან, მაგრამ იცოდეთ, ისინი ჩვენი ღორიშვილები არიან და პატივისცემით მოექეცითო.

ჩვენს ხალხსაც მეტი რა უნდა: საკუთარ კაციშვილებს ძლიერი უცხოელის ღორიშვილები ურჩევნიათ!



**ისევ იმ პოლიტიკური «პარტიების» იმედად ვიყოთ, რომელთა ლიდერები უცხოური ძლვენით (გრანტით) ივსებენ გალორებულ მუცლებს?! ხომ ვცადეთ ბევრჯერ და არაფერი გამოვიდა. არც გამოვა, ვიდრე ეშტონი თუ რასმუსენი იქნებიან ჩვენი საქმის გამრიგენი, ვიდრე ჩვენს ფესვებთან არ დავბრუნდებით და ჩვენს დიდ წინაპრებს არ დავუგდებთ ყურს. იქნებ მაშინ მაინც მივხვდეთ, რომ ჩვენი თავი «ჩვენ უნდა გვეყუდნოდეს», იქნებ ვირწმუნოთ, რომ «ვინც არ არის კახაბერი», მას ნუ ვიტყვით კახაბერად...**



რა ითვლებოდა ყველაზე ულირს საქციელად წარსულში (და ახლაც)? — მათხოვრობა! მათხოვარს ჩვენში „გლახა“ ერქვა, უფრო სწორად, „ღვთის გლახა“, თუმცა გლახა გლახაა, ღვთის არის თუ ანგელოზის. ლეგენდა თუ მითი, ჩვენი ხალხის გამორჩეული თავმოყვარეობისა და სიამაყის შესახებ, ჩვენ თვალწინ გაქარწყლდა. **დღეს ქალაქი სავსეა ქართველი მათხოვრებით.**

**რა ვქნათ, ვის მივაკითხოთ რჩევისთვის? იქნებ, ისევ იმ პოლიტიკური „პარტიების“ იმედად ვიყოთ, რომელთა ლიდერები უცხოური ძღვენით (გრანტით) ივსებენ გაღორებულ მუცლებს?! ხომ ვცადეთ ბევრჯერ და არაფერი გამოვიდა. არც გამოვა, ვიდრე ეშტონი თუ რასმუსენი იქნებიან ჩვენი საქმის გამრიგენი, ვიდრე ჩვენს ფესვებთან არ დავბრუნდებით და ჩვენს დიდ წინაპრებს არ დავუგდებთ ყურს. იქნებ მაშინ მაინც მივხვდეთ, რომ ჩვენი თავი „ჩვენ უნდა გვეყუდნოდეს“, იქნებ ვირწმუნოთ, რომ „ვინც არ არის კახაბერი“, მას ნუ ვიტყვით კახაბერად,** იქნებ დავიჯეროთ, ბოლოს და ბოლოს, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“, რომ „თავია სიცრუე, ყოვლისა უბადობისა“ და **ჭიტლაყი ამოვკრათ იმ ღორებსა და ძაღლიშვილებს, ამდენი წელი რომ გვატყუებდნენ, თვითონ და მათი ნაშიერნი კი სრა-სასახლეებს იდგამდნენ აქ თუ სხვაგან.**

ახლა ვინც სრულ ჭკუაზეა და კაცობაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს, დაინახავს, რომ ჩვენი ხელისუფალნი არა მხოლოდ გაღორდნენ, არამედ გაგიჟდნენ კიდეც ან ჩვენ გვთვლიან გიჟებად. აი, მაგალითად, „ოცნების“ ბლოკის ერთ-ერთი ლიდერი ქალბატონი — თითქმის მთლად ლიდერი ვაჟბატონის ცოლი და დეპუტატი, დღეში ცხრაჯერ, კაპასი ბიცოლაჩემის მსგავსად, გაჰყვირის ტელეეთერში: არჩევნებმა აჩვენა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც ჩვენი ოპოზიცია, გაქრა პოლიტიკური სივრციდანო. ფა-ფუ, გაქრაო! „ნაციონალების“ ასეთივე ლიდერი, პრეზიდენტის ყოფილი ნოტარიუსი, პარლამენტის ყოფილი სპიკერი ამ ქალბატონს დასცინის,— ოცდაშვიდი ექვსზე მეტიაო. დასცინებს, აბა, რა! „ნაციონალებმა“ მეორე ადგილი აიღეს არჩევნებზე — 27%; მესამე ადგილზე გასულმა, მგონი, შვიდი პროცენტი მოაგროვა (თბილისის მერის არჩევნებს ვგულისხმობ). ოცდაშვიდი მართლაც მეტია შვიდზე, რაც, არა მგონია, იმ ბიცოლაჩემის მსგავსმა კაპასმა ქალმა არ იცოდეს, მაგრამ ეჭვი მაქვს (ძალიან გონივრული), რომ ორივე ჩვენ გვაბითურებს.

**კი, გვაბითურებენ ნამდვილად! ჩვენს დასანახავად ვითომ ჩხუბობენ, ცხადია, ისე კი ერთმანეთთან ჩახუჭუჭებულები არიან!**

ანდა ის რად ღირს, ქვეყანა რომ თავზე გვემხობა და ვითომ ქართული ტელევიზიები დღედაღამ იმაზე მსჯელობენ, სიყვარულით ესალმებიან თუ არა ერთმანეთს პრეზიდენტი (მეტი არაა ჩვენი მტერი, ის პრეზიდენტი არ იყოს!) და პრემიერმინისტრი (ანუ, როგორც ვასიკო ოდიშვილი ამბობს, პრემიეროვიჩი)!

ასე აღარ შეიძლება! უკან დასახევი გზა, ანუ ლოდინის დრო ჩვენ აღარ გვაქვს!

1941 წლის დეკემბრის ერთ სუსხიან დღეს ლეგენდარულმა სერჟანტმა მოსკოვის მისადგომებთან სანგარში მყოფ თვრამეტ პანფილოველ ჯარისკაცს მიმართა: „არც ერთი ნაბიჯი უკან! ჩვენს უკან მოსკოვია!“, ანუ სამშობლოაო და არც დაუხევიათ: თვრამეტმა ჯარისკაცმა 25 ტანკი ააფეთქა, თვითონაც დაიღუპნენ, მაგრამ სამშობლო გადარჩა!

ასეა ჩვენი საქმე ახლა!

**ასე თუ არ ვიზამთ, ჩვენც ისეთივე ღორები ვიქნებით, როგორიც არის ჩვენი ახალი თუ ძველი ხელისუფლება!**

**ზურაბ ცუცქირიძე**

## საქართველოს რკინიგზით რუსული კომპანიები არიან დაინტერესებულნი

**რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერმინისტრის სპეციალური წარმომადგენლის — ზურაბ აბაშიძის განცხადებით, „კარასინთან შეხვედრაზე აფხაზეთის გავლით რკინიგზის აღდგენაზე საუბარი არ ყოფილა“.**

„აფხაზეთის გავლით რკინიგზის აღდგენაზე კარასინთან საუბარი არ ყოფილა, რკინიგზის თემაზე საუბარი იყო, მაგრამ სხვა კონტექსტში. საქართველოს რკინიგზით დაინტერესებული არიან რუსული კომპანიები, მათი მხრიდან არის წინადადებები, რომ ჩვენი ტრანზიტი თავიანთი პროდუქციის ექსპორტისთვის გამოიყენონ, ეს იქნება ფოთისა და ბათუმის პორტების გავლით და საუბარია ნავთობპროდუქტებზე. საუბარია რკინიგზაზე, რომელიც აზერბაიჯანის გავლით მოდის და ეს ჩვენი რკინიგზისთვისაც ძალიან საინტერესო წინადადებაა“, — განაცხადა აბაშიძემ.



„დადგა დრო, პრემიერმინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნას საგანგებო კომპეტენტური სახელმწიფო კომისია, რომელიც სათანადო სამუშაოების ჩატარების კვალობაზე მიაღწევს, რომ ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს „საქართველო“!

საჯარო განხილვა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის დარბაზის



(მარცხნიდან) ანზორ ბაბუხადია, იაპონიის ელჩი საქართველოში კამოჰარა მეუღლითურთ და გოგი დოლიძე სულხან საბა-ორბელიანის სახლ-მუზეუმში (სოფ. ტანძია, 4.10.2010)

# განცხადება

ჩოხოსან რაინდთა დასი მხარს უჭერს საქართველოს დამსახურებული ეკონომისტის, „დედაენის“ საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებლის — ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატის, ჩვენი დასის დარბაზის წევრის, ბატონი ანზორ ბაბუხადიას წინადადებას, რომ ერთხელ და სამუდამოდ სახელმწიფო დონეზე გადაწყდეს, — რა უნდა ეწოდებოდეს ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ხალხთა ყველა ენაზე: „გრუზია“, „ჯორჯია“ და ა. შ. თუ „საქართველო“, როგორც ეს უკვე ოფიციალურად დაადასტურა იაპონურმა მხარემ.

ამ მოსაზრების თაობაზე, მან ჯერ კიდევ 2013 წლის 2 აგვისტოს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მეშვეობით ღია წერილით მიმართა საქართველოს იმჟამინდელ პრემიერმინისტრს, ბატონ **ბიძინა ივანიშვილს**, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ **დავით უსუფაშვილსა** და საქართველოს იუსტიციის მინისტრს, ქალბატონ **თეა წულუკიანს**.

წერილში აღნიშნულია, რომ **„დადგა დრო, პრემიერმინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნას საგანგებო კომპეტენტური სახელმწიფო კომისია, რომელიც სათანადო სამუშაოების ჩატარების კვალობაზე მიაღწევს, რომ ჩვენს ქვეყანას მსოფლიო ხალხების ყველა ენაზე ეწოდოს „საქართველო“!**

ჩვენდა სასიხარულოდ, ვიმეორებთ: ამ წინადადებას პირველი უკვე გამოეხმაურა იაპონიის სახელმწიფო, რომელმაც, საქართველოს ისტორიაში პირველმა, ოფიციალურ დოკუმენტში ჩვენი ქვეყანა მოიხსენია, როგორც **„საქართველო“.**

ეს ერთი და სხვა მრავალი!

**დასის დარბაზის სახელით:**

**გიორგი (გოგი) დოლიძე** — დასის მეთაური, პროფესორი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი;

**რეზო ჩხეიძე** — კინორეჟისორი, სსრკ სახალხო არტისტი;

**ჯუმბერ ლეჟავა** — მსოფლიო მოგზაური, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენის კავალერი;

**მიხეილ ჯიბუტი** — ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

**თენგიზ უთმელიძე** — ქორეოგრაფი, საქართველოს სახალხო არტისტი;

**ნინო სალუქვაძე** — მსოფლიო ჩემპიონი ტყვიით სროლაში, ოლიმპიური ჩემპიონი;

**ოთარ ჯანგიშერაშვილი** — რუსეთის სახალხო არტისტი, კ. სტანისლავსკის პრემიის ლაურეატი;

**ნაზი ნანიკაშვილი** — მსახიობი, ქ. აშდოდის (ისრაელი) ქართულენოვანი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი;

**ილია პატაშური** — საქართველოს დამსახურებული მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი;

**მურმან გელენიძე** — მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი;

**რევაზ ბალანჩივაძე** — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

**ჯემალ კვანტალიანი** — სპორტის დამსახურებლი მოღვაწე;

**ივანე ჯაფარიძე** — ჟურნალისტი, პროფესორი.

## მაკა ასათიანის განცხადება



**ტელეკომპანია „მაესტროს“ ერთ-ერთმა მფლობელმა მაკა ასათიანმა განცხადება გაავრცელა, რომელშიც უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს ის ტელეკომპანია „მაესტროს“ წილს ყიდის.** „დღეს ერთ-ერთმა გაზეთმა გაავრცელა ინფორმაცია თითქოს მე ვყიდი „მაესტროს“ წილს და რომ მყიდველი არის ქართველი ბიზნესმენი. ყველას გასაგონად მინდა ვთქვა, რომ ეს არ არის სიმართლე, არ იგეგმება წილის გაყიდვა და ეს საკითხი დღის წესრიგშიც არ დამდგარა. „მაესტროს“ გუნდთან ერთად ვგეგმავთ უამრავ სიახლეს და ვემზადებით ახალი სეზონისთვის“, — წერს მაკა ასათიანი.

# ანაკლიის პორტი უნდა აშენდეს, მაგრამ სად და როგორ?



**„საქართველო და მსოფლიოს“ დაკვირვებული მკითხველი უთუოდ შეამჩნევდა, რომ ჩვენს გაზეთში სისტემატურად ქვეყნდება თვალსაჩინო მეცნიერების, პრაქტიკოსი სპეციალისტების სტატიები, რომლებიც მიმართულია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის რაც შეიძლება სწრაფად და ეფექტიანად გაძლიერება-ამოქმედებისკენ.**

საქართველოს ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია, როგორც საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია, არის ისტორიული „აბრეშუმის გზის“ — აზია ევროპის სატრანსპორტო დერეფნის — თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აღდგენა-განვითარება.

ამ კომპლექსური ამოცანის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია შავი ზღვის სანაპირო ზოლზე საზღვაო და მშრალი პორტების დაგეგმვა-აშენების საკითხები. მათ შორისაა ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობაც.

ვოლუნტარისტ სააკაშვილის პერიოდის დილეტანტურ-პიარული ნეოსტახანოვური მშენებლობის კამპანიის („რვა საუკუნის მანძილზე ასეთი მშენებლობა საქართველოში არ ყოფილა“) მოძალებით ჭკუანასწავლი სამეცნიერო საზოგადოება, რომელსაც საშუალება მიეცა, კომპეტენტური აზრი და რჩევა მიაწოდოს ახალ ხელისუფლებას, მაქსიმალური საჯაროობის პირობების დაცვით ამოქმედდა, ამას თუნდაც ჩვენი გაზეთის პუბლიკაციები მოწმობს.

**8 ივლისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებაში განიხილეს პრობლემები, რომლებიც ანაკლიაში პორტის მშენებლობას უკავშირდება.**

ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველოში უამრავი შესაძლებლობა და პერსპექტიული პროექტი არსებობს შავი ზღვის რესურსების ასათვისებლად. მაგრამ, ამასთან, სანაპირო ზონა დღევანდელ რეალობაში უზარმაზარ ანთროპოგენულ დატვირთვას განიცდის, განსაკუთრებით, ნავსადგურების მშენებლობისას, „რომელიც ხშირად დაკავშირებულია ზღვის ფართო აკვატორიის დაკავებასთან, მოლებისა (სპეციალური ჰიდროტექნიკური ნაგებობების) და ტალღასატეხების აგებასთან, რაც სანაპირო ზონის რეჟიმის დარღვევას იწვევს და ნეგატიურ შედეგებს იძლევა“. ამ შედეგებიდან ყველაზე უფრო პრობლემური ძირითადი ნაპირების ნგრევა და დეგრადაციაა.

ყველა პროექტი დაკავშირებულია ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ საკითხებთან, მოქმედებს მათ ყოველდღიურ ყოფასა თუ ცხოვრების ტრადიციულ წესზე, არცთუ იშვიათად, მკვეთრად უარყოფითი თვალსაზრისით. მაგალითად, სამეგრელოს დაბლობ ზონაში მდინარე ენგურის აუზში არც ერთმა ხელისუფლებამ, დაპირების მიუხედავად, დღემდე არ გაიყვანა არხი, რომლის არქონა უკიდურესად ართულებს იმ ზონაში მცხოვრებთა არსებობას.

ნავსადგურების მთავარი დანიშნულება ტვირთბრუნვის ზრდაზე ზრუნვაა. ეს თავისთავად. მაგრამ განხილვაზე გამოთქმული მოსაზრებების მიხედვით მომავლის პორტებში მთავარი აქცენტი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვაზე გაკეთდება, ეკონომიკური განვითარების ცენტრად უნდა იქცეს ისინი. სწორედ მაშინ იქნება დაკავშირებული სანავსადგურო მშენებლობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან.

ამ რთულ სამშენებლო პროგრამაში ჩართული არიან იაპონელი მეცნიერები და სპეციალისტები, რომლებიც საინტერესო წინადადებებს სთავაზობენ ქართველ კოლეგებს. მათი აზრით, გამოსაკვლევია ორი ოპტიმალური ლოკაცია — ანაკლიისა და სუფსის.

არსებობს მოსაზრება, რომ სოფელ განმუხურთან აიგოს პორტი, მაგრამ ამ წინადადების განხორციელებაზე ფიქრი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთთან მოგვარდება ურთიერთობა.

დადებით შედეგს მოიტანს ენგურისთვის ახალი კალაპოტის გაჭრა. ამით შეჩერდება მოლამვის ინტენსიურობა, გარანტირებული იქნება პორტისკენ მიმავალი არხის დაცვა. სპეციალისტების აზრით, ეს დაგვიცავს ყულევის არხის უარყოფითი მომენტის გამეორებისგან.

ხაზგასმით ითქვა, რომ ქართველი სპეციალისტების გამოცდილებისა და იაპონური ტექნოლოგიების სიმბიოზი მოგვცემს სასურველ შედეგს, მაგრამ საბოლოო დასკვნის გამოტანა შესაძლებელი იქნება მხოლოდ საჭირო მოდელირების განხორციელების შემდეგ, რადგან ის არის უმაღლესი მსაჯული.

**აკადემიკოსმა ერეკლე გამყრელიძემ, მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოსმა მდივანმა „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში განაცხადა, რომ განყოფილების გაფართოებულ სხდომას ესწრებოდნენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.**

— მოხსენება ანაკლიის პორტის მშენებლობის ადგილების ვარიანტების შესახებ, — თქვა მან, — წარმოადგინეს ამ საქმის პროფესიონალებმა ლომინაძემ და ძიძიკაშვილმა. მათ გაითვალისწინეს ადრინდელი კვლევების მასალები, რომლებიც თავის დროზე შეისწავლა და გააანალიზა აკადემიკოსმა არჩილ კიკნაძემ. მეცნიერის ეს კვლევები, რატომ ვერ გეტყვით, მაგრამ ძალიან მკვეთრად გააკრიტიკეს. არგუმენტები, რომლებიც მის წინააღმდეგ წარმოადგინეს, ჩემთვის სრულიად არასაკმარისი იყო, მით უმეტეს, რომ, ჯერ ერთი, კარგად ვიცნობდი ბატონ არჩილს, როგორც ბრწყინვალე პიროვნებას, ძალიან მაღალი კვალიფიკაციის, საერთაშორისო აღიარების მქონე სპეციალისტს. მეორეც იმიტომ, რომ მისი კვლევები უმაღლეს მეცნიერულ დონეზე იყო შესრულებული.

განხილვამ გვაჩვენა, რომ საკითხი გაცილებით რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, რადგან ბევრ ასპექტს მოიცავს. პორტის მშენებლობისთვის უნდა შეირჩეს ისეთი ადგილი, რომელიც ეკოლოგიურად უსაფრთხო იქნება, არ დასჭირდება დიდი რაოდენობით დამცავი ნაგებობების აშენება და ა. შ.

იყო ლაპარაკი ხელოვნურ არხზე, რომელიც დაცული იქნება მდინარეთა დანატანით შევსებისგან. ჩვენ წინ გვაქვს ყულევის არხის გაყვანის დროს დაშვებული უმძიმესი შეცდომები, რომელთა გამოც აუცილებელი ხდება არხის სისტემატური ამოწმენდა, ეს კი უდიდეს მატერიალურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული.

გასათვალისწინებელი იქნება ისიც, რომ პორტი შეიძლება სრულად ვერ დაიტვირთოს. ცნობილია, რომ რკინიგზა იმდენად გამტარუნარიანი არ არის, რომ საჭირო რაოდენობის ტვირთი მიიტანოს სანაპიროსთან, ამიტომ საინტერესო ჩანს წინადადება ისეთი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის თაობაზე, რომლებიც ინოვაციური განვითარების შესაძლებლობას მოგვცემს, ე. ი. არა მხოლოდ გავიტანოთ ტვირთები პორტების მეშვეობით, არამედ მივცეთ მათ სამეცნიეროტექნიკური სიახლეების პოლიგონების დატვირთვაც.

შევეცდებით, შევაჯამოთ დღევანდელი განხილვის შედეგები და ანალიტიკური მოხსენებით წარვდგეთ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭოს სხდომაზე, განვიხილოთ და გარკვეული რეკომენდაციებით მივმართოთ ჩვენი ქვეყნის მთავრობას.

**არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





# ყველაფერი პიცის შესახებ

**ჯერ კიდევ 1835 წელს ალექსანდრე დიუმა წერდა, რომ „პიცა – ეს იტალიელთა სიბრძნისა და მოხერხებულობის ერთგვარი ნაზავია – ცალ-ცალკე პურის პატარა ნაჭრით, პამიდვრით, ნივრით, ზეთითა და მომცრო თევზით ადამიანი ვერ დანაყრდება, მაგრამ ამ ყველაფერს თუ ერთად მოუყრი თავს, დანაყრდები კიდეც და დიდ სიამოვნებასაც მიიღებ“. პიცას გაცილებით ადრეც აცხობდნენ, ვიდრე იტალიელები მას ეროვნულ კერძად გამოაცხადებდნენ.**





გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ პიცა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ყველაზე გავრცელებული კერძია. მისი წარმოშობის სათავე უძველეს დროში უნდა ვეძებოთ. ადამიანმა როგორც კი ცომის მოზელვა და მისი ნაღვერდლისგან გახურებულ ქვაზე გამოცხობა ისწავლა, პიცაც გაჩნდა.

დანამდვილებითაა ცნობილი, რომ ხმელთაშუა ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები ოდითგანვე აცხობდნენ ხმიადს, რომელსაც ზევიდან ზეითუნის ზეთს უსვამდნენ და სეზონური ბოსტნეულით რთავდნენ. ასეთი პური გემრიელიც იყო და პარალელურად თეფშის მოვალეობასაც ასრულებდა.

**ზუსტად როდის და რომელმა ერმა გამოიგონა პიცა, ამაზე კულინარიის ისტორიის მკვლევარები დღემდე ვერ თანხმდებიან, მაგრამ პიცის პროტოტიპად ნამდვილად გამოდგება ძველი ეგვიპტური კვერი, რომელსაც ექვსი ათასი წლის წინათ საფუვრიანი ცომისგან ამზადებდნენ. შემორჩენილია ცნობები იმის შესახებაც, რომ ჩვენს ერამდე მე-5 საუკუნეში სპარსი მეომრები ლაშქრობის დროს საკუთარ ფარზე აცხობდნენ პურს, რომელსაც მერე ყველითა და ფინიკებით რთავდნენ. მსგავსი კერძი უკვე ლეგენდად ქცეული ეტრუსკების მენიუშიც შედიოდა.**

თანამედროვე პიცის უშუალო წინაპარი შექმნეს ანტიკურ საბერძნეთში, სადაც უმ ცომზე ყველს, ხახვს, სხვადასხვა მწვანილსა და ბოსტნეულს ალაგებდნენ, ზევიდან ზეითუნის ზეთს ასხამდნენ და მერე აცხობდნენ. ასეთ პურს ბერძნულად „პლაცუნტოს“-ი ერქვა და მას პლატონიც კი მოიხსენიებს თავის ნაწარმოებში ძველბერძნული წვეულების აღწერისას.

ძველი რომაელები ბერძნებისგან ნასახსოვრებ იმავე კერძს „პლაცენტა“-ს უწოდებდნენ. მათ ბერძნული რეცეპტი კიდევ უფრო გაართულეს და კვერზე ყველის, ბოსტნეულისა და ზეთის ხილის გარდა დაფნის ფოთლები და თაფლი დაამატეს. სხვათა შორის, არსებობს ხმელთაშუა ზღვის ტერიტორიაზე პიცის შემოტანის ლეგენდაც, რომლის თანახმადაც ბოსტნეულიანი პურის, „პიცეას“ რეცეპტი ძველ რომში აღმოსავლეთიდან დაბრუნებულმა რომაელმა ლეგიონერებმა ჩაიტანეს.

პიცა რომ დანარჩენ სამყაროში სწორედ ხმელთაშუა ზღვიდან გავრცელდა, ამის დამადასტურებლად ერთ-ერთი უძველესი კულინარიული კრებული „De Re Coquinaria“-ც კი კმარა, რომელიც ადრექრისტიანულ ეპოქაში ვინმე მარკ ჰავისუ აპიციუსმა შეადგინა, სადაც ასეთი რეცეპტია მოყვანილი: „ცომზე გაანაწილეთ ზეითუნის ზეთი, ქათმის ხორცი, ყველი, ნიგოზი, ნიორი, პიტნა, პილპილი და გამოაცხვეთ. მერე თოვლში გააგრილეთ და მიირთვით“. სხვათა შორის, მსგავსი კერძის ნარჩენები ვეზუვის ამოფრქვევის შედაგად გაქვავებული პომპეის ნანგრევებშიც კი იპოვეს.

აქამდე არსებული ყველა თეორია, პიცის ხმელთაშუა ზღვისპირული წარმოშობის თაობაზე, თავდაყირა დააყენა ნორვეგიელმა მეცნიერმა რიდბერჰოლცმა, რომელმაც განაცხადა, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ ტაფებზე ვიკინგები თურმე ბოსტნეულით, საქონლის ხორცითა და თევზით მორთულ კვერებს აცხობდნენ და სწორედ ეს კერძია თანამედროვე პიცის წინაპარი.

ასეთ პურს სპეციალური მცხობელები — **პიცაიოლები** დილაუთენია აცხობდნენ (სხვათა შორის, პიცის მცხობელებს დღესაც ასე ქვიათ) და მას ღამის თევზაობის შემდეგ დაბრუნებული მეთევზეები ყიდულობდნენ. ყველაზე დიდი მოწონებით პამიდვრით, ანჩოუსებითა და ნიორით მორთული პიცა სარგებლობდა. მე-18 საუკუნეში პირველი პიცერიებიც გაჩნდა და ამ დროისთვის პიცას უკვე სამეფო კარზეც მიირთმევდნენ. პიცის ნამდვილი ტრიუმფი კი 1870 წელს, იტალიის გაერთიანების შემდეგ, დაიწყო.

ასე იყო თუ ისე, ბოსტნეულით მორთული პური საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ღარიბების საჭმელად ითვლებოდა. პიცის ღარიბების რაციონიდან დიდგვაროვნების მაგიდებზე გადანაცვლების ისტორია ევროპაში პამიდვრის გამოჩენის შემდეგ დაიწყო, როცა ნეაპოლელმა ღატაკებმა ხმიადის გამოცხობა პამიდვრით დაიწყეს. პამიდვრით, ზეითუნის ზეთით, გამოყვანილი მუცლის ქონითა და სურნელოვანი მწვანილით დამშვენებული მრგვალი პური იტალიელ გლეხებსა და მეზღვაურებს შორის განსაკუთრებულად პოპულარული მე-17 საუკუნეში გახდა.

1772 წელს სიცილიის მეფე ფერდინანდ პირველი ღამით ჩუმად ესტუმრა სახელგანთქმულ ნეაპოლელ პიცაიოლას, ანტონიო ტესტას, მეტსახელად ელვას. მეფე გაოცებული დარჩა კერძების მრავალფეროვნებითა და მათი მომზადების ხარისხით.

მეფის მზარეულები „დაზვერვაზე“ წავიდნენ და მოიპოვეს რეცეპტები, მაგრამ ახალმა კერძებმა სამეფო მენიუში ფეხი ვერ მოიკიდა. ამის წინააღმდეგი დედოფალი იყო. ის პიცას მდაბიოთა საჭმელად თვლიდა და ამიტომ წინ აღუდგა მეფის სურვილს. ამგვარად, ამ კერძის სამეფო კარზე მოხვედრის პირველი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

გავიდა წლები და ფერდინანდ მეორემ, რომელიც წინაპარივით დიდი გურმანი გახლდათ, სამეფო კარისა და პიცის დაპირისპირება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

საინტერესო ისტორია აქვს მსოფლიოში ყველაზე სახელგანთქმულ პიცა „მარგარიტას“. 1889 წელს იტალიის მეფე უმბერტო I ცოლთან ერთად ნეაპოლში ისვენებდა და ადგილობრივი საფირმო კერძის — პიცის გასინჯვა მოინდომა. სამეფო კარზე იმ დროისთვის სახელგანთქმული პიცაიოლი **რაფაელე ესპოზიტო** მიიწვიეს. მზარეულმა სამნაირი პიცა გამოაცხო: ერთი — პამიდვრით, ზეითუნის ზეთითა და ნიორით; მეორე — ყველით, ლორითა და რეჰანით; მესამე — იტალიური დროშის ფერებში: წითელი პამიდვრებით, თეთრი მოცარელათი და მწვანე რეჰანის ფოთლებით. დედოფალი მარგარიტა ამ „პატრიოტული“ პიცით ისე აღფრთოვანდა, რომ პიცაიოლს სამადლობელო წერილიც კი გაუგზავნა. მადლიერმა მცხობელმა ამ დიდად მომენტის უკვდავსაყოფად საკუთარ ნახელავს დედოფლის სახელი დაარქვა.

„მარგარიტაზე“ არანაკლებ პოპულარულია (განსაკუთრებულად ამერიკაში) პიცა „Pepperoni“, რომელიც ძეხვიანი პიცის სახეობაა და პილპილიანი ძეხვი „პეპერონით“, პამიდვრის სოუსითა და ყველით მზადდება. სხვათა შორის, პამიდვრის სოუსი და ყველი ამ კერძის აუცილებელი და უცვლელი ინგრედიენტია. ევროპაში ძალიან დიდი მოწონებით სარგებლობს „ოთხი ყველის პიცა“, რომელიც ოთხი სხვადასხვა სახეობის ყველისგან კეთდება და „Pizza Bianco“-ს (თეთრი პიცის) ჯგუფში შედის.

**თეთრი პიცა ყველ მოცარელასთან ერთად (ჩვენი ჭყინტი სულგუნის ანალოგი) ძალიან ჰგავს ჩვენებურ ხაჭაპურს. როგორც რომში მცხოვრები ქართველები ყვებიან, როცა ხაჭაპური ენატრებათ, პიცა ბიანკოს კალცონეს (დახურული პიცა) უკვეთავენ.**

„Pizza Rustica“ საერთოდ არ ჰგავს ჩვენთვის ნაცნობი პიცის არც ერთ სახეობას. მას, ტრადიციულად, აღდგომას აცხობენ და იტალიის სხვადასხვა რეგიონში „Torta Pasqualina“, „Pizza Rustica“, „Pizza Chiena“-ს ან „Tortano“-ს ეძახიან. იგი საკმაოდ პოპულარულია ამერიკაში მცხოვრებ იტალიელ ემიგრანტთა შორის და ლორის, სალიამის, წიწაკის, ყველი პეკორინოსა და მაგრად მოხარშული კვერცხის გულსართითაა გატენილი.

**უცნაურია, მაგრამ ევროპაში პიცა იტალიიდან არ გავრცელებულა. პიცა, პირველ იტალიელ ემიგრანტებთან ერთად ჯერ ამერიკას მოედო და მერე სწორედ იქიდან დაბრუნდა ევროპაში.** 1905 წელს ნიუ იორკში პიცის მამამთავრის, ჯენარო ლომბარდის, გახსნილი პიცერია დღესაც მუშაობს. მე-20 საუკუნის ორმოციან წლებში კი ამერიკელებმა საკუთარი „ამერიკული პიცის“ სახეობასაც ჩაუყარეს საფუძველი, როცა ცომის კიდეები აამაღლეს და ასე უფრო მეტი გულსართის დამატების საშუალება მიეცათ.

პიცის 200-ზე მეტი სახეობა არსებობს და პიცის მცხობელთა ფანტაზია მართლაც უსაზღვროა.

ორიგინალურობით გამოირჩევა სახელგანთქმული ამერიკელი შეფ-მზარეულის ვოლფგანგ პაკის საავტორო პიცა შებოლილი ორაგულითა და ხიზილალით, რომელიც ლოს-ანჟელესის სუპერპოპულარულ რესტორან „სპაგოს“ მენიუში 1982 წლიდანაა შეტანილი და დღემდე უზარმაზარი მოთხოვნილებაა მასზე.

პიცის სახეობათა სიმრავლის გადამკიდე, იტალიის მთავრობა იძულებული გახდა, შემოეღო „ნამდვილი პიცის“ სტანდარტი ანუ D.O.C., რომლის თანახმადაც პიცას რომ პიცა ერქვას, ამისათვის მისი ცომი აუცილებლად ხელით მოზელილი და ხელითვე გაწელილი უნდა იყოს და საგანგებო ღუმელში 300-400°C-ზე მხოლოდ შეშაზე უნდა ცხვებოდეს.

**არ უნდა მოასხათ პიცას მაიონეზი! ეს პუნქტი განხილვას არ ექვემდებარება და არც ერთი ჭეშმარიტი იტალიელი არ მოითმენს პიცის ასეთ დამცირებას.**

იმისათვის, რომ პიცის ცომი იყოს ხრაშუნა, ჯეიმი ოლივერი, ცნობილი ინგლისელი მზარეული, რომელმაც კულინარიას არაერთი წიგნი და შოუც კი უძღვნა, პატარა საიდუმლოს გვიმხელს: ცომში უნდა ჩაამატოთ სემოლინა, ანუ მაგარი ჯიშის ხორბლის ფქვილი. ეს თითქმის იგივეა, რაც ჩვენებური მანანის ბურღული.

სოუსი, რა თქმა უნდა, აუცილებლად თავად უნდა მოამზადოთ სალი, მწიფე, პამიდვრებისგან. სჯობს ისეთი ჯიშის იყოს, ცოტა წვენი რომ აქვს.

მზა პიცას, როგორც წესი, არომატულ, უფრო ხშირად წიწაკიან და ცხარე ზეითუნის ზეთს ასხამენ ხოლმე. პიცერიებშიც ამ ზეთთან ერთად მოგართმევენ და გეტყვიან: „გემრიელად მიირთვით!“





**კოპი ლუვაკი** ყავის სახეობაა მისი გადამუშავების მეტად ორიგინალური ხერხით. ყავის მომზადების საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ მუსანგები (გარეული თხის ჯიშია) ჭამენ ყავის ხის მწიფე მარცვლებს, მის რბილობს გადაამუშავებენ, ხოლო თვითონ ყავის მარცვლებს — არა. ადამიანები მუსანგების ექსკრემენტებს აგროვებენ, რეცხავენ და ახმობენ მზეზე. ყავის განსაკუთრებული გემო განპირობებულია ფერმენტ ცივეტინით, რომელსაც მუსანგის კუჭის წვენი შეიცავს. ამბობენ, რომ ეს ყავა განსაკუთრებული არომატით და გემოთი გამოირჩევა.



თბილისი, დ. ბაქ




# კერძები, რომელთა გასინჯვას ვერასოდეს გაბედავდით

**მსოფლიო მდიდარია გამორჩეული კერძებით, დელიკატესებით, სანელებლებითა და არომატებით. ზოგიერთ ქვეყანაში შეიძლება ძალიან უცნაური, ზოგჯერ კი საშინელი კერძიც კი შემოგთავაზონ. მათი გარკვეული კატეგორიის გასინჯვას მხოლოდ განსაკუთრებით მაგარი კუჭისა და ნებისყოფის ადამიანი თუ გაბედავდა.**




**თოლიას ღვინო** — ასე უწოდებენ ამ სასმელს ინუიტები (კანადელი ესკიმოსები). ამ უცნაური სასმელის რეცეპტი ასეთია: მკვდარ თოლიას ათავსებენ ჭურჭელში, ასხამენ წყალს და დებენ მზეზე. ევროპელები, რომლებმაც ამ ღვინის გასინჯვა გაბედეს, ასე აღწერდნენ მას: „თუ თქვენ გახსნით „ტოიოტას“ კარბურატორს და დალევთ იქ დარჩენილ სითხეს, მაშინ წარმოიდგენთ, თუ რა გემო აქვს ამ საზიზღარ სასმელს“. ღვინოს მხოლოდ ერთი პლიუსი აქვს: ის ძალიან მალე ათრობს, სამაგიეროდ, საშინელი ნაბახუსევი იცის.



**ჰაუკარლი** ისლანდიური ეროვნული კერძია, რომელიც წარმოადგენს გრენლანდიური პოლარული ზვიგენის გახრწნილ ხორცს. პოლარული ზვიგენის ახალი ხორცი კი თურმე მომწამვლელია დიდი რაოდენობით ამიაკის შემცველობის გამო. ამიტომ ხორცს ჭრიან ნაჭრებად, ათავსებენ კონტეინერებში და დგამენ მზეზე 5-7 კვირის განმავლობაში ან მეტხანს (სეზონის მიხედვით). შემდეგ ნახევრადგახრწნილ ხორცს იღებენ, კიდებენ კაუჭებზე და კვლავ აჩერებენ მზეზე 2-3 თვე. ამ ხნის განმავლობაში ხორცის ნაჭრები გარეკანით იფარება. სუფრაზე მიტანის წინ ამ კანს აჭრიან და მხოლოდ შუაში დარჩენილ მოყვითალო შეფერილობის ხორცს მიირთმევენ.



**ჯეკფრუტი** ბანგლადეშის ეროვნული ხილია. ეს არის ამქვეყნად ყველაზე დიდი ხილი, რომელიც კი ხეზე იზრდება. მწიფე ხილის კანს და თესლს გააჩნია სპეციფიკური დამპალი ხახვის სუნი, მაგრამ რბილობი გემრიელია და ანანასის გემო აქვს.



**ტუნძიდანი,** ანუ **ბიჭების კვერცხები** ჩინური პროვინციის — ჩეძიანის ტრადიციული კერძია. ამ კერძის მოსამზადებლად კვერცხებს ხარშავენ შარდში, რომელიც შეგროვებულია მხოლოდ მომწიფების ასაკს მიუღწეველი ბიჭუნებისგან. სითხის ადუღების შემდეგ კვერცხებს ამოიღებენ და ტეხავენ, რათა სითხემ შიგნით შეაღწიოს. ხარშვის პროცესი მთელ დღეს გრძელდება. კერძი მზად ითვლება, როცა ნაჭუჭი დასკდება. ამბობენ რომ ტუნძიდანს ოდნავ მარილიანი გემო აქვს.



**ლუტეფიკსი** ტრადიციული სკანდინავიური თევზის კერძია. ესაა საშობაო დელიკატესი, რომელიც პოპულარულია ნორვეგიაში, შვედეთსა და ფინეთის ზოგიერთ რაიონში. კერძის მოსამზადებლად გამხმარ თევზს ალბობენ სოდის ხსნარში 3 დღის განმავლობაში, შემდეგ ხსნარიდან იღებენ და წყალში აჩერებენ რამდენიმე დღით. ქიმიური რეაქციის გამო თევზის რბილობი ჟელესმაგვარი კონსისტენციის ხდება და იღებს სპეციფიურ მძაფრ სუნს. ამის შემდეგ ლუტეფიკსს წვავენ ტაფაზე ან ღუმელში.



**კოვუაკი** გრენლანდიაში მცხოვრები ესკიმოსების ეროვნული კერძია. სელაპის ტყავში ათავსებენ 400-მდე გამოუშიგნავ თოლიას და სხვა ფრინველს, ტყავიდან ამოტუმბავენ ჰაერს და გარშემო კარგად წაუსვამენ ქონს ჰერმეტულობისათვის. შემდეგ მას ათავსებენ მიწაში 3-18 თვემდე, შემდეგ ამოთხრიან, ასუფთავებენ ფრთებისგან და უმად მიირთმევენ. კივიაკს მწარე და აყროლებული ყველის გემო აქვს.



**ბალუტი** არის მოხარშული იხვის კვერცხები, რომლებშიც უკვე განვითარებულია ჩანასახი. კერძი საკვებად გამოიყენება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში — ვიეტნამში, კორეაში, კამბოჯაში, ლაოსში, ტაილანდსა და ჩინეთის ზოგ რაიონში. ბალუტი გემოთი საქონლის მოხარშულ ღვიძლს წააგავს.



**ასწლოვანი კვერცხი** ჩინური სამზარეულოს პოპულარული საუზმეა. მას შემედგნაირად ამზადებენ: კვერცხს უსვამენ ჩაის, მარილის, სოდისა და ნაცრის ნარევს, შეახვევენ ბრინჯის ქაღალდში, შემოლესავენ თიხით, ჩააწყობენ კალათებში და მიწაში ფლავენ 4-5 თვე. ეს კეთდება იმისათვის, რომ კვერცხამდე ჰაერმა ვერ შეაღწიოს და ის დარჩეს ტუტე გარემოში მთელი ამ დროის განმავლობაში. 3-4 თვის განამვლობაში კვერცხის ცილა გადაიქცევა ჟელესმაგვარ, ნახევრად გამჭვირვალე დრეკად მასად, ხოლო გული მომწვანო-მონაცრისფრო პასტისმაგვარ მასად, რომელსაც ამიაკის დამახასიათებელი სუნი აქვს.



**სიურსტრომინგი** შვედური ეროვნული კერძია, რომელიც წარმოადგენს კონსერვირებულ დამწნილებულ სტავრიდას. გასუფთავებულ თევზს აწყობენ ღია ჭურჭელში, ამარილებენ, ასხამენ წყალს და ტოვებენ ჰაერზე, რათა დადუღდეს. ამის შემდეგ თევზს ათავსებენ კონსერვის ქილებში, რათა კიდევ გააგრძელოს დუღილი. საბოლოოდ ის იღებს სპეციფიკურ სირბილეს და დამახასიათებელ მყრალ სუნს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ვენერა — ორსახიანი კატა

ვენერა ცნობილი გახდა თავისი ანომალიური შეფერილობის გამო – მისი სახე არის ნახევრად შავი, მწვანე თვალით; ნახევრად ყავისფერი, ცისფერი თვალით. ბიოლოგები ასეთებს ქიმერებს ეძახიან – მათ ორგანიზმში შერწყმულია გენეტიკის ორი, სამი ან მეტი ნიშანი. ვენერას აქვს გვერდები „ფეისბუქში“ და „ინსტაგრამში“.



# ყველაზე ამოუხსნელი ანომალიები



ჩინეთში არსებობს მდინარე ჩანჩქერით, რომელიც ზამთრობით არასოდეს იყინება, -30 გრადუს ტემპერატურაზეც კი. სამაგიეროდ, შუა ზაფხულში, როცა ძალიან ცხელა, ნაკადის გარკვეული ნაწილი აუხსნელი მიზეზის გამო ყინულოვანი ხდება.



ვულემი არის პრეისტორიული მცენარე, რომლის არსებობის თვით ფაქტიც კი დიდი ხნის განმავლობაში ავსტრალიის სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდა. ეს მცენარე ფიჭვის სახეობაა, რომლის ასაკიც 150 მილიონ წელს ითვლის.



არსებობს ბუნებრივი მოვლენა სახელწოდებით „ჭექა-ქუხილის ზონა“. ეს არის მაღალი ძაბვის ზონა, რომელიც წარმოიქმნება დედამიწაზე მეხის ჩამოვარდნის შედეგად. ამ ადგილის გავლის დროს ადამიანი იღუპება. საბედნიეროდ, ენერგეტიკული ველი მეხის ჩამოვარდნიდან მხოლოდ რამდენიმე წუთს არსებობს და მალევე ქრება.



ყაზახეთში მდებარე პაწაწინა ბუნებრივი წყალსაცავი არ შრება თვით პაპანაქება ზაფხულშიც კი და წყალი მასში ყინულივით ცივი რჩება. აქ არ ხარობს წყალმცენარეები და არ ბინადრობენ თევზები. წყალსაცავის სრული გამოკვლევის ჩატარება ვერ ხერხდება, რადგან აკვალანგისტებს, სავსე ჟანგბადის ბალონითაც კი, 3 წუთის შემდეგ გაგუდვა ეწყებათ ამოუცნობი მიზეზის გამო.



გამოიკვლიეს რა ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანისა და ანტარქტიდის ფორმები, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მათი კონტურები საოცრად ემთხვევა ერთმანეთს. გამოთქმული იყო აზრი, რომ უზარმაზარი მეტეორიტის ჩამოვარდნის გამო ანტარქტიდის კონტინენტი თითქოს გაიტყორცნა დედამიწის მეორე მხარეს. სხვათა შორის, ამ აზრს საკმაოდ ბევრი მიმდევარი ჰყავს.



რომთან ახლოს მდებარეობს ირიდიუმის ანომალია. ამ ადგილას ნიადაგში ირიდიუმის შემცველობა 300-ჯერ აჭარბებს ნორმას. მისი ფენა დევს კაინოზოურ და მეზოზოურ გეოლოგიურ საზღვრებს შორის, ანუ იქ, სადაც გადაშენდნენ დინოზავრები. ასეთივე ანომალიები ნაპოვნია ირლანდიაში, კასპიის ზღვის პირას და ესპანეთში. შესაძლებელია, ეს არის მეტეორიტის ჩამოვარდნის კვალი.




ნულოვანი დრეიფი არის იდუმალი მოვლენა, რომელიც ყველა მაღალი სიზუსტის ზემგრძნობიარე ხელსაწყოს ახასიათებს. უზუსტესი მეტეოროლოგიური გაზომვების დროს შეცდომები მეორდება უცვლელი შუალედებით. გარემო გამუდმებით ცვლის პარამეტრებს და გავლენას ახდენს ხელსაწყოების შკალებზე. თუ რა იწვევს ამ ცვლილებას, ჯერჯერობით გამოკვლეული არაა.



ინდოეთში, ასამის შტატში, არის „ჩამოცვენილი ფრინველების ველი“. ყოველი წლის აგვისტოში, შუაღამისას, აქ ციდან ცვენას იწყებენ ფრინველები. ისინი ნახევრადუგრძნობ მდგომარეობაში არიან და გაფრენასაც არ ცდილობენ, როცა ადამიანს ისინი ხელში აჰყავს. რა განაპირობებს ჩიტების ჩამოცვენას, აუხსნელია.



კანოს სპორები არის ცოცხალი მიკროორგანიზმები, რომლებიც ქარვის ნატეხში აღმოაჩინა მეცნიერმა რაულ კანომ. საოცარი ისაა, რომ მინერალში ცოცხალი ორგანიზმები 25 მილიონი წლის წინათ მოხვდნენ.



Drosolides — ეს სიტყვა ბერძნულიდან ითარგმნება, როგორც „ნესტის წვეთები“. ასე ეწოდება მოვლენას, რომელიც რეგულარულად მეორდება ყოველ ზაფხულს კუნძულ კრეტას სანაპიროსთან. მოვლენა ხდება გამთენიის ხანს, როცა ჰაერში წყლის წვეთები კონდენსირდება და სქელი ნისლი წარმოიშობა. უამრავი თვითმხილველი აღწერს, თუ როგორ იმართება ბრძოლის სცენა მათ თვალწინ ფრანკო-კასტელოს ციხესიმაგრესთან ახლოს. გამოკვეთილად ისმის ყვირილი, საბრძოლო წამოძახილები და იარაღის ხმა. მირაჟი წარმოიქმნება ზღვის სანაპიროზე, ნელ-ნელა მოდის ციხესიმაგრისკენ და მის კედლებთან წყდება. ისტორიკოსები ყვებიან, რომ ზუსტად ამ ადგილას 150 წლის წინათ გაიმართა ბრძოლა ბერძნებსა და თურქებს შორის. სწორედ ამ ბრძოლის გამოსახულება, რომელიც დროში მოგზაურობს, იკვეთება კუნძულის სანაპიროზე ფრანკო-კასტელოს ციხესიმაგრესთან დილის ნისლში.



## მზის სათვალეები ხისგან

**მზისგან დამცავი სათვალე დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე მოდური აქსესუარია, თანამედროვე დიზაინერები კი უფრო წინ წავიდნენ და გამოიგონეს ამ პოპულარული აქსესუარის ხისგან დამზადებული მოდელი.** ხის მზისგან დამცავი სათვალეები შექმნეს კომპანია Qoowl-ის დიზაინერებმა. ისინი ერთი ჩვეულებრივი ხის დაფით ატარებდნენ ექსპერიმენტებს და სრულიად შემთხვევით გამოუვიდათ სათვალეები. სათვალეს მინები არ აქვს, მზისგან გიცავენ ხის დაფები, რომლებსაც აქვთ ჭრილები. ეს ორიგინალური სათვალე სულ რაღაც 14 გრამს იწონის. მოდური დიზაინი და აქსესუარის გარეგნობა ნამდვილად მოეწონებათ ღია და არაორდინალური ნივთების მოყვარულებს.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე დიდი ბაღი

**ულამაზეს ქალაქ დუბაიში მსოფლიოში ყველაზე დიდი ბაღი გაიხსნა. იგი 72 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზეა გადაჭიმული და დაახლოებით 45 მილიონი ყვავილითაა მორთული.**

ბაღის ადმინისტრაციის განცხადებით, უამრავი ყვავილი, რომლებიც ამჟამად აღნიშნულ ბაღშია წარმოდგენილი, აქამდე სპარსეთის სანაპიროზე არასოდეს უხარებიათ.

ქალაქი დუბაი ამჟამად მსოფლიოში მხოლოდ ყველაზე მაღალი შენობით აღარაა ცნობილი. ამიერიდან მისი ცნობადობის ნუსხას კიდევ ერთი, ეს ულამაზესი და უდიდესი, საოცარი ბაღი შეემატა.











# უკვდავი გამოგონებები

ინსტრუმენტებისა თუ საყოფაცხოვრებო ტექნიკის გაუმჯობესების მუდმივი პროცესი ჩვენს ცხოვრებას უფრო ადვილს, მოსახერხებელსა და პრაქტიკულს ხდის. რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, არსებობს ისეთი გამოგონებებიც, რომლებიც საუკუნეებს ითვლის და გაუმჯობესება არ დასჭირვებია.



ეკლიანი მავთული მე-19 საუკუნეში ოკლაჰომაში გამოიგონეს და დღემდე ღობედ ყველაზე უსაფრთხო საშუალებაა.



დიზაინერებს 1950 წელს მოუვიდათ ბრწყინვალე იდეა, შეექმნათ სრულყოფილი ესთეთიკური ინტერიერი – ცელოფანში საჰაერო ბუშტები, რომელიც დღეს ფართოდ გამოიყენება შესაფუთი ტკაცუნა ცელოფნის სახით.



ფურცლების სამაგრი სკრეპი დღემდე შეუცვლელია. მე-19 საუკუნეში შექმნილმა ამ გამოგონებამ ფართო მოხმარება ჰპოვა და თანამედროვე ოფისებში ხშირად შევხვდებით მას.




1900 წელს გამოგონილმა ბუზის საკლავმა ფართო მოწონება ჰპოვა, ვინაიდან დღემდე გამოიყენება მწერების დასახოცად და მას ნებისმიერ ოჯახში შეხვდებით.



არქეოლოგთა მტკიცებით, პირველი ჩაიდანი თიხისგან გამოძერწეს 1279 წელს ჩინური იუანის დინასტიის მეფობის დროს. დღეს არსებობს მინის, თუჯის, ტიტანის, რკინისა და სხვა მეტალის ჩაიდანი, თუმცა საუკუნეების მანძილზე მისი დიზაინი არ შეცვლილა და ძირითადად სახელურისგან, ცხვირისგან, მუცლისა და სახურავისგან შედგება.



ის, რაც 1894 წელს უილიამ ჰუკერმა გამოიგონა, 1903 წელს კი ჯონ მასტმა გააუმჯობესა და რომლის საშუალებითაც მღრღნელებისა და პარაზიტებისგან გამოწვეული ათასი დაავადება ბავშვებს თავიდან აარიდეს, სათაგური იყო.



# სასწრაფო დახმარების გამოძახება მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში იქნება შესაძლებელი

**უახლოეს მომავალში საკანონმდებლო ცვლილებები მომზადდება, რომელთა მიხედვითაც სასწრაფო სამედიცინო გამოძახება დარეგულირდება.**

როგორც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში (033) განაცხადეს, ჯერჯერობით საკანონმდებლო ინიციატივა არ მომზადებულა, თუმცა გეგმაში არის და უახლოეს მომავალში დაიწყება მუშაობა იმაზე, თუ როგორ დაასტაბილურონ არამიზნობრივი გამოძახებები.

სასწრაფო სამედიცინო ბრიგადების რაოდენობის გაზრდა ვერ აღმოფხვრის ამ პრობლემას მაშინ, როდესაც მხოლოდ თბილისში დღე-ღამეში 2 000 და მეტი გამოძახებაა.

„მთავარია, ადამიანებმა განსაზღვრონ, როდის არის საჭირო გადაუდებელი დახმარება“, — აღნიშნავენ ცენტრში და დასძენენ, რომ არსებობს ოჯახის ექიმები და ამბულატორიები, რომლებსაც შეუძლიათ მიმართონ ისეთ სიტუაციებში, რომელიც გადაუდებელი არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში, არამიზნობრივ გამოძახებაზე მისულმა ბრიგადამ, შესაძლოა, რეალური საფრთხის ქვეშ მყოფ ავადმყოფთან მისვლა დააგვიანოს და ეს მძიმე შედეგით დასრულდეს. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრს თბილისში 13 ფილიალი აქვს, რომლებიც ტერიტორიული პრინციპით არის გადანაწილებული და მთელ ქალაქს მოიცავს.

აღნიშნული პრობლემა ჯერ კიდევ ჯანდაცვის მინისტრობის კანდიდატმა დავით სერგეენკომ 2012 წლის ოქტომბერში დასვა და განაცხადა, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას მოსახლეობა ხშირად არამიზნობრივად, ტაქსის ფუნქციით იძახებენ, ამიტომ, გამოძახებების რაოდენობა უნდა შეიზღუდოს.

# თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილია

**გიორგი ალიბეგაშვილი, „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის მესამე ნომერი, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გახდა. კენჭისყრისას ალიბეგაშვილის კანდიდატურას 37-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 8 წინააღმდეგი იყო.**



გიორგი ალიბეგაშვილი დაიბადა 1959 წელს. 1976 წელს დაამთავრა თბილისის 47-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1982 წლიდან 2006 წლამდე მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამომცემლობის უმცროს რედაქტორად.

1991-1992 წლებში იყო სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის სასწავლო დარგის პრორექტორი, ხოლო 1994-1995 წლებში — თბილისის მერიის განათლების სამმართველოს უფროსი. 1997 წლიდან 2005 წლამდე იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში; 2004-2005 წლებში — ამავე ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 2005 წლიდან 2006 წლამდე ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ფილოლოგიის მიმართულებით. 2009 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში.

ახალ საკრებულოში კოალიცია „ქართულ ოცნებას“ პროპორციული სიით 13, ხოლო მაჟორიტარული სიით 24 წევრი ჰყავს, „ნაციონალურ მოძრაობას“ — 7, ნინო ბურჯანაძის პარტიას — სამი და „დავით თარხან მოურავი — პატრიოტთა ალიანსს“ — 2 წევრი; კიდევ ერთი წევრი — ალეკო ელისაშვილი — დამოუკიდებელი კანდიდატია.

## გერმანული მედია:

# მერკელი ობამას პუდელი არ არის!

**გერმანულმა მასმედიამ მოიწონა ხელისუფლების გადაწყვეტილება ქვეყნიდან აშშ-ის ჯაშუშის გაძევების შესახებ. ბევრი გამოცემის აზრით, ჯაშუშის გარშემო ატეხილმა სკანდალმა აშშ-ის ქედმაღლობა წარმოაჩინა და გერმანია დაამცირა.**



გაზეთმა „**ზიუდდოიჩე ცაიტუნგმა**“ გერმანიის ხელისუფლების გადაწყვეტილებას აშშ-ის სასარგებლოდ შპიონაჟში ბრალდებული გერმანიის დაზვერვის თანამშრომლის ქვეყნიდან გაძევების შესახებ „ამერიკული ქედმაღლობის წინააღმდეგ უპრეცედენტო საპროტესტო აქტი“ უწოდა. გამოცემის ჟურნალისტები წერენ, რომ ბოლო მოვლენების გათვალისწინებით, ანგელა მერკელმა დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს ედვარდ სნოუდენის მიმართ და მას პოლიტიკური თავშესაფარი შესთავაზოს.

გერმანიის თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა კარლ თეოდორ გუტენბერგმა კი გაზეთ „ბილდს“ განუცხადა, რომ **ბარაკ ობამას ადმინისტრაცია თავისი საქციელით გერმანიაში ანტიამერიკული განწყობის გაღვივებას უწყობს ხელს. „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგი“** წერს, რომ აშშ და გერმანია დიპლომატიური ომის ზღვარზე იმყოფებიან.

**„ეს სუპერსახელმწიფო აქამდე ვერ მიხვდა, რომ დიდი ხანია, საქმე აღარ აქვს ნაწილობრივი სუვერენიტეტის სახელმწიფოსთან და მას ვეღარ აკონტროლებს. მერკელი ობამას პუდელი არ არის!“** — წერს გამოცემა.

ჟურნალისტმა იაკობ აუგშტაინმა კი „შპიგელში“ დაწერა, რომ აშშ-მა კვლავ დაამცირა გერმანია: „მწარე სიმართლეა ის, რომ გერმანიასა და აშშ-ს შორის ურთიერთობა ძაღლისა და მისი მეპატრონის ურთიერთობას ჰგავს“.



# გარდაიცვალა ვალერია ნოვოდვორსკაია

**მოსკოვში 64 წლისა გარდაიცვალა ვალერია ნოვოდვორსკაია — რუსი ლიბერალი საზოგადო მოღვაწე, პარტია „დემოკრატიული კავშირის“ დამაარსებელი. რუსული მედიის ცნობით, გარდაცვალების მიზეზი ინფექციურ-ტოქსიკური შოკი გახდა.**

ნოვოდვორსკაია ერთ-ერთი პოლიტიკოსი იყო, რომელმაც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ გაილაშქრა.

მოგვიანებით, რუსეთში „ჰომოსექსუალობის პროპაგანდის“ საწინააღმდეგო კანონების მიღების წინ ნოვოდვორსკაია ლგბტ საზოგადოების მხარეს დადგა.



# ლენტეხის რაიონის რამდენიმე სოფელი გარე სამყაროს მოწყვეტილია

**ძლიერმა წვიმამ და მეწყერმა ლენტეხის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელი გარე სამყაროს მოწყვიტა.** სტიქიამ განსაკუთრებით დააზარალა სოფლები ფანგანი და ლევშერო. მოვარდნილმა წყალმა ადგილობრივებს საცხოვრებელი სახლები და საკარმიდამო მიწის ნაკვეთები დაუტბორა. წყალმა წაიღო პირუტყვი, განადგურებულია ნათესები. ზარალის ოდენობას სპეციალური კომისია დაადგენს.



მოგემსახურებით მსუბუქი კომფორტული ავტომობილით სახლიდან სახლამდე
თბილისი — ბათუმი — თბილისი.
ტელ. 585-79-99-69

**მკურნალობა მამაკაცებისთვის**

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009